ლიტერატურული გაზეთი

№24 (256) 27 დეკემბერი 2019 - 16 იანვარი 2020 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიანა ანფიმიადი

მარსზე წყალი იპოვეს

ბიჭი

7 საათი. გაღვიძების დრო. საბანი მარჯვნივ გადავაგდე, წამოვხტი. იატაკი ცივია, იკბინება. მეორე ფეხი. აი, მარჯვენა ჩუსტი, მარცხენა ჩუსტი. ფეხი ჩავდგი. დედა, ალექსიმ გაიღვიძა! რვა საფეხური, სამზარეულოში ჩავდივარ. დედას ვარდისფერი ხალათი აცვია, ვარდისფერია ვარდი, დედას ხალათი, ბლოკნოტი, ვაშლი. არა, ვაშლი ყოველთვის ვარდისფერი არ არის. ხმა მოდის, საყვარელი ხმა, შორიდან, მიახლოვდება. ალექსი, შემომხედე. ალექსი, შეხედე, დედა გიყურებს, თვალები სულ ახლოს მოაქვს და ცხვირზე გკოცნის, დედას ტკბილი სუნი აქვს. ცხვირი ცივი მაქვს. ალექსის ცივი ცხვირი აქვს.

— დე, ხომ არ შეგცივდა? პირი დაიბანე, კბილები გაიხეხე და ჩაიცვი.

კბილები გაიხეხე, ალექსი. ჯაგრისზე კბილის პასტა წაუსვი, ვარდისფერი პასტა, როგორ დაგავიწყდა თუ დამავიწყდა, როგორცაა. მარწყვის გემო აქვს. ცოტას ჩავყლაპავ რა, ცოტას. ალექსი, კარგად გაიხეხე — მარჯვნივ, მარცხნივ, უკანა მხრიდან, ენაც უნდა გაიხეხო. რა სასაცილოა. პირი დაიბანე, განსაკუთრებით თვალები ამოიბანე, იქ რაღაცები გროვდება ხოლმე, წირპლი — დედა ასე ეძახის. ალექსის არ უყვარს ასეთი სიტყვები.

— დე, ჩაიცვი და ისაუზმე. ყიყლიყო ხომ გინდა? ჩაის დალევ თუ კაკაოს?

გუშინ ალექსიმ ჩაი დალია, დღეს — კაკაო.

— კაკაო.

— კარგი, ჩაიცვამ თუ მოგეხმარო?

ალექსი ტანზე იცვამს. ჯერ თავი უნდა გაყო მაისურში, მერე მარჯვენა ხელი, მერე მარცხენა ხელი, მკლავში თავი არ გაგეტეევა. რა სასაცილო ხარ, ალექსი. შარვალი ადვილია, დედამ თქვა, მარტო თასმიანი შარვლები, ელვას ვერ იკრავს. ჯერ თასმის ერთი ბოლო მოკეცე, მერე მეორე მოკეცე, მერე გადააჯვარედინე, მერე გამოსწიე. ყოჩაღ, ალექსი, რა მაგარი ხარ!

— ცოტა ხანს აცადე, გაცივდება, დე.

ცოტა ხანი რამდენია?

— სამი წუთი აცადე, რომ პირი არ დაიწვა.

— მოლეკულებს ჭამს ალექსი და მოლეკულებს აყოლებს.

— ალექსი, ცოტა ჩქარა, ხო?

ალექსი, ჭამე ყიყლიყო. არ მინდა ყიყლიყო. ჭამე-მეთქი ყიყლიყო,

ალექსი, დააყოლე კაკაო. არ მინდა. ჩქარა დააყოლე. დედა, ალექსიმ ჭამა დაამთავრა.

— კარგი ბიჭი ხარ. ჩანთა მზად გაქვს, ფეხსაცმელი სუფთაა. მე გამოგიყვან დღეს, სადილის მერე მოვალ.

— რომელ საათზე მოხვალ?

— სამიდან ოთხამდე. ოღონდ, დე, გთხოვ, არ ინერვიულო, 10 წუთი თუ დამაგვიანდა, რა.

— ხუთის ათ წუთამდე?

— ჰო, ჩემო პატარა ციფერბლატო.

— ცისფერბლატი რა არის?

— არაფერი. სწრაფად ჭამე, გვაგვიანდება.

ფანჯრიდან ყურება კარგია. მარჯვნივ მიმავალი მანქანები დათვალე. ერთი, ორი, ოცდაათი... შავი მანქანების რაოდენობა ორჯერ მეტია წითელზე. ამ ბოძის მერე კიდევ თექვსმეტი ბოძია და მივალთ.

— არ დაიღალე? დაასვენე ტვინი.

— ოცდაცამეტი... რატომ წავიდა მარცხნივ, მერამდენე იყო? აუ, ამერია, აუ...

— ნუ ტირი, დე. მოდი, ჩამეხუტე.

ალექსი დედას ეხუტება. დედას ტორტის სუნი აქვს. ტორტი დაბადების დღეზე უნდა გაჭრან, სანთლების გარეშე. ცეცხლი არ მომწონს თუ არ მოსწონს? რა ვქნა.

აი, სკოლა, ალექსი, ეს შენი სკოლაა.



ივანე ამირხანაშვილი

არჩევანის თავისუფლება და ყოფიერების ხაფანგი

ის იყო კონტრასტებისა და პარადოქსების ოსტატი. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ პიროვნული, ადამიანური ხასიათით იყო ასეთი. ხედვის ამპლიტუდა ჰქონდა თავისებური — პოლუსურად ხედავდა სამყაროს, ადამიანებს, საგნებს, მოვლენებს. ფსიქოლოგიური მარგინალიზმი ახასიათებდა და აქ იყო სრულიად მართალი თავის გამოხატვაში. ამის საუკეთესო დადასტურებაა მისი „ორი მოთხრობა მრგვალთავაზე“ — ფსიქოლოგიური დეტექტივის საუკეთესო ნიმუში თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში.

გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ბოლოს ქართულ სააზროვნო სივრცეში მოხდა ისეთი მოვლენები, რომლებიც მოსალოდნელი იყო, თუ გავითვალისწინებთ პოლიტიკური წნეხის დაღმავალ დინამიკას, და მოულოდნელიც, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ სხვაგვარად მოაზროვნეთა თავისუფლებამ მყისიერი და მკვეთრი ფორმები მიიღო. ეს პროცესი ყველაზე თვალსაჩინოდ მწერლობაში გამოვლინდა. პროცესს ჰქონდა ბინარული სახე, გამოიკვეთა ორი მთავარი კატეგორია — მწერლები, რომლებიც ზემოდან დაშვებული თავისუფლების ჩარჩოებში ქმნიან ადაპტაციის უნარის მქონე ობიექტივისტურ კონცეპტებს, და მწერლები, რომლებიც ამ ჩარჩოებს მიღმა გადიან და ქმნიან სუბიექტივისტურ, ადაპტაციის უნარის არმქონე ტექსტებს.

ლიტერატურულ ნონკონფორმიზმსაც ორი სახე ჰქონდა: ობიექტივისტური და სუბიექტივისტური.

პაატა ნაცვლიშვილი ვეფხვისტყაოსანი VI-VII

II

რაულ ჩილაჩავა

მეთუნე

ჩემი დღეები ჩემს იმედებს ეყო ძიძებად,
მაგრამ ძიძები ბერდებიან, კვდებიან ნელა.
ყველა მათგანთან განშორებას ვეჩვევი ძნელად,
სულ უფრო მიჭირს ნამსხვრევების შეკოწიწება.
თითქოს ჩონგურზე ავათრთოლე ძველი სიმები
და დავიწყებულ მელოდიას ამაოდ ვეძებ...
მე ვარ მეთუნე, გამოვფინე ქოთნები მზეზე
და მეშინია ქარების და თავსხმა წვიმების.

ღიაა კარი...

როგორ ჩამოდნა, ჩაილია სურვილთა სია,
როგორ გახუნდა, გაიცრიცა ოცნების რუკა!..
ყველა საზღვარი უკან დარჩა, დიდი ხნის უკან
და ციხის ბოლო გალავანში მიცოცავს სვია.
თქვენ მეცოდებით, მენანებით, სატრფოს გენებო,
მე რომ მეგონა, არ იქნება თქვენი დაცხრობა!
თურმე მთავრდება სიყვარულით გაუმაძღრობაც...
ღიაა კარი, შემობრძანდით, ვისაც გენებოთ!

IV-V

III

ჯუანშერ ტიკარაძე

***

მზის მაცდურო სხივო
ღამის ნაკრუხალი შფოთვებისგან ილუზიების დამჩეკავო
ალმაცერო სიზმრებო
ცეცხლმოკიდებულ ჟრუანტელში დემონების გამომღვიძებლებო
ქალაქის სვემიხდილო ვარსკვლავებო
საფლავების ქვებზე აცეკვებულებო მიცვალებულების ბაცი ნათებით
მაცოცხლებელო და მკვლელო ჰაერო
შეუმჩნევლად ჩასუნთქულო დღე-ღამეში 22 741-ჯერ კვირაში 159 187-ჯერ
მთვარის უხილავო ათინათო
ჩაბნელებულ ვიტრინაში მანეკენის ცრემლიდან არეკლილო
მოგონებებო ბინდმოდებული ქუჩების
ბურუსიდან გამომსხლტარი მანქანების გაწელილო ფარნებო შუქნიშნებო ლამპიონებო
სიცოცხლე რომ მიყვარს იმიტომ კი არ გებღაუჭებით კალთაზე
სიკვდილის მეშინია

VIII-IX

როსტომ ჩხეიძე

საგალობლად კაცისა და აქლემისა

XII-XIII

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაწყისი პირველ გვერდზე

დედის ჩანაწერები

დრო

ალექსი სულ კითხულობს, რომელი საათია, როდისაა შუადღე, როდის დაღამდება, რამდენ წამში მოვალ სახლში, რამდენი წუთი აქვს დავალების დასაწერად და სათამაშოდ, საჭმელად და სხვა საჭირობებისთვის.

მივხვდი მიზეზს. მეგონა, გუშინ დამავიწყდა კრებაზე წასვლა, რომელიც სინამდვილეში დღესაა. დღესაა დედლაინი, რომელიც სინამდვილეში გუშინ იყო და სხვა ვინმე თუ არ დამეხმარა დროის ორიენტაციაში, ისე როგორ გამოვა?

ჰოდა, მეხმარება ალექსი — „დედიკო, 360 წუთში განახავ“.

დედა

ალექსი თვლის პლანეტებს:
მერკური
იუპიტერი
მარსი
ვენერა
სატურნი
ურანი
დედამიწა
მიყურებს:
— დედას მიწა, დედას მიწა.

მისამართი

შენ ხარ ჩემი მისამართი — მითხრა ამ დილით.

ძილის წინ

— ალექსი, ტვინი უფრო მთავარია თუ გული?
— გული.
— რატომ?
— იმიტომ, რომ ტვინი იძინებს.

გულის ფანცქალი

„გულის ფანცქალი მინდა“ — დილიდან ითხოვს ალექსი.

პატარა ბიჭი

პატარა სკვერში ვიყავით, ალექსი ქვიშაში თამაშობდა. საქანელასთან ერთი პატარა, დიდთვალება ბიჭი იყო ცოტა შელახული ფეხსაცმელებითა და იდაყვებთან მოთხვრილი ჯემპრით. თავისთვის ლაპარაკობდა, ყური დავუგდე.

— დედა, აი, ათი წუთიც ვიკატავებ და წამოვალ.

— დედა, აი, ერთიც დავტრიალდები და წამოვალ.

— დედა, ჩამოვსრიალდები ახლა, მიყურე.

კარგად მივიხედ-მოვიხედე და დედა მაინც ვერ დავინახე.

ჩვენ რომ მოვდიოდით, ბებომ მოაკითხა, შაოსანმა.

ქება

„ასფურცელას“ თანამედროვე ვერსია — სხვები რომ წლობით იზრდებიან, ეს დღეობით. სკოლაში წასვლამდე ალექსი ამბობდა, რომ იყო სამი წლის და უნდოდა სოსკა, სკოლის პირველი დღის მერე, როცა მადლობა გადავუხადე, რა კარგი ბიჭი ხარ-მეთქი, მითხრა, რომ შვიდი წლისაა, დღეს მასწავლებელმა შეაქო და სტიკერი ჩაუკრა და ალექსიმ მამას უთხრა, რომ 18 წლისაა და მისი მანქანა უნდა.

ასე იზრდებიან ბავშვები, როცა აქებ.

ბაბუაჩემი

81-ს რომ ვიქნები, ბაბუაშენი ვიქნები და კარაქიან პურს არ მაჭმევ — მემუქრება ალექსი.

მეტაფორები

— ჰაერი შუშაა,
ცა თოვლის ბაბუას სახლის ჭერია,
ალექსი დედიკოს კვირტი.

ლექსი

ბიჭმა ლექსების წერა დაიწყო:
„ქალაქში არის შემოდგომა
შემოდგომაში არის ნოემბერი
ნოემბერში არის წვიმა
წვიმაში არის წვეთი
წვეთში არის ფორტეპიანო“.

მეგობარი

დღეს დილით ფოფომ მითხრა, ალექსის ისეთი ბუმბულია ხელი აქვს, ეზოში რომ ჩავდივართ, სულ მას ვკიდებ ხელსო. ეზოში სულ მე დამსდევს და სულ მეკითხება, რამდენი წლის ხარო, რცხვენია ლაპარაკიო.

სამაგიეროდ, ინგლისურის ყველა ასო იცის და სიტყვების შედგენაც შეუძლია, წარმოიდგინე, ყველა ასო თავიდან ბოლომდეო.

რვეულები

ალექსის რვეულები წამოვიღე სკოლიდან, როგორც წესი, მინაწერებით და ნახატებით ძალიან ბევრს ვიგებ ხოლმე.

როგორ უჭირს ერთ ადგილას გაჩერება და როგორ აძალებს თავს ჩემი ბიჭი. ერთ ადგილას მიუწერია „ალექსი, ასჯერ დაჯექი“ — ეტყობა, ბევრჯერ ადგა და დაჯდომა მოსთხოვეს. მეორეგან — „წუთი ძალიან ძნელია“ და მესამეგან ჩამოთვლილი აქვს: „გაკვეთილის ბოლომდე დარჩა 30 წუთი, 20 წუთი, 15, წუთი, 10 წუთი :)“

რისგან შედგება?

თავის თავს უსვამს კითხვას:

— ალექსი რისგან შედგება? ალექსი შედგება ადამიანისგან და სისხლისგან, არა? :)

მატარებელი

რომ დაღამდა, გაუფართოვდა თვალები:

— დე, მატარებელი ღამეში შევიდა.
მერე შუქი ჩააქრეს მატარებელში
— დე, ღამე მატარებელში შევიდა.

ექიმთან

დღეს ექიმთან ვიყავით ჩაწერილები. ზუსტად მივედით, მაგრამ სანამ ანკეტა იპოვეს, ჩვენი რიგი გავიდა და სხვა შევიდა, მერე კიდევ სხვა და, მოკლედ, ნახევარი საათი რიგში მოუნია ალექსის ყოფნა. თან საშინლად ცხელოდა და ძალიან გაღიზიანდა, მობეზრდა და ტირილი და წუწუნი დაიწყო. ერთი მელოტი კაცი ამოიჩემა, იტირებდა, მივიდოდა და ეტყოდა — მაკოცე — ის კაცი აკოცებდა. კიდევ მაკოცე. შენ რა კაი ტიპი ხარო, კარგად იმხიარულა იმან.

მერე ჩვენი დრო რომ მოვიდა, ექიმმა, თვითმფრინავი გამასწრებსო და ვერ მიგვიღო.

ნუ, მოკლედ, წამოვედით იქიდან და კიდევ წაიწუწუნა, ის კაცი სადა�აა.

საღამოს ვკითხე, რას გადაეკიდე იმ კაცს, რა გინდოდა-მეთქი და თავზე ნათურა ჰქონდა და მომეწონაო.

პრიალა თავი ჰქონდა და განათება ირეკლებოდა და შუქ-ჩრდილებს ამუღამებდა ბიჭი.

მშიშარა

მშიშარა ბავშვებს რას უშვრებით? ქარის ზუზუნი რომ გიგანტური ბუზის ხმა ჰგონია და ხვლიკები — საშიში დინოზავრები?

მშიშარა დედა

მშიშარა დედებს? სკოლაში რომ შვილებს უშვებენ?

რა ეშველება, როცა აღარ ვეყოლები.

მასწავლებელი

მგონი, მართალი იყო გიგა, პირველ კლასში არ შეხვიდეო, რომ მითხრა. სანამ ეგენი ჩაფსმას და ტირილს გადაეჩვევიანო. ყველა განაკაწრზე და დალურჯებულ ფეხზე შენ უნდა ინერვიულოო. რატომ უნდა გაიკაწრონ-მეთქი, ვუთხარი, სკოლაა თუ უღრანი ტყე. გეგონოსო. რანაირები არიან — პაწუკები, საყვარლები.

ალექსი? თავიდან ძალიან მეშინოდა. სხვა მასწავლებლები ასეთ ბავშვებზე რას არ ამბობდნენ — იკბინებიან, სხვას ურტყამენ, თავს იზიანებენ, ვერაფერს გააგონებ, გაკვეთილს შლიან, გენიოსები არიან, ცალკე ყოფნა ურჩევნიათ, ბავშვები არ უყვართო.

ის კი შემოვიდა, ყველა მერხი გადათვალა და ფანჯარასთან დაჯდა. მშვიდია და საყვარელი. ამოიჩემებს რამე ნივთს და დადის იმითი — ხან წიგნია, ხან გატეხილი სათლელი. კიდევ ფანქრებს ჭამს. ფსიქოლოგმა თქვა, შფოთვააო, ნერვიულობს ძალიანო. წერა უყვარს, სულ გაავსო თავისი რვეული ქართული, არაბული, ინგლისური ანბანით. პირველ კლასშივე სხაპასხუპით კითხულობს და არითმეტიკაც იცის. სკამზე ჯდომა უჭირს. ვეუბნები, ალექსი, მიდი, დაფა გაწმინდე; ალექსი, მოდი, ხელი ჩამომართვი; ალექსი, აბა, გარეთ გადი და ნახე დერეფანში ჩვენი ნახატები ისევ კიდია? ალექსი, აბა, ბავშვები დათვალე და გვითხარი, ვინ აკლია; ალექსი, მოდი, მათემატიკის დავალება ერთად გავასწოროთ. ზოგჯერ ორჯერ უნდა გაუმეორო, სადღაც დაფრინავს.

ზოგჯერ ძირს წვება. ბავშვებს ძალიან უკვირთ. ერთ დღეს თეკლა გვერდით მიუწვა და გულზე ხელი დაადო, მერე ააყენა და მერხთან დასვა. სიმღერის გაკვეთილზე ყურებზე ხელს იფარებს, დერეფანში რომ ვუშვებ, იქ მღერის. ძალიან ჭკვიანია. გამრავლების ტაბულა იცის, უარყოფითი რიცხვები, თასმას ვერ იკრავს.

გაკვეთილებს სახლში მეცადინეობს, დედა ეხმარება — ეხმარება რა, ეხმარებოდა. ძალიან გაგვირთულდა მდგომარეობა, როცა ის ამბავი მოხდა. ერთი კვირა არ უვლია, მერე მამამ მოიყვანა, თქვა, რომ დედა იმ სამარშრუტოში იჯდა, გომბორზე რომ გადატრიალდა.

თქვა, რომ მალე გარდაიცვალა, არ უწვალია. მითხრა, რომ ალექსიმ ვერ გაიგო, სადაა დედა, რომ სულ ელოდება და ეძებს და ამიტომ, თუ ცუდად მოიქცა, არ გავუჯავრდე. ცოტა ხანს დაველოდო.

მაგიდაზე ასტრონომიის დიდი წიგნი დაუდო, ლოყაზე აკოცა და წავიდა.

3 საათიდან ალექსიმ შფოთვა და კარისკენ ცქერა დაიწყო. ვერაფრით დავამშვიდე. ამ დროს ძალიან რთულია მისი ყურადღება მიიპყრო — ხატვაც შევთავაზე, დაფის გაწმენდაც, ეზოშიც ჩავედით, კალკულატორიც ვათხოვე.

— სამიდან ოთხამდე დედა მოვა ალექსისთან, — მითხრა, როცა მასთან მივედი და ჩავეხუტე.

ვერაფერი ვუთხარი.
ოთხი გახდა.

— დედამ თქვა, რომ 10 წუთი თუ დააგვიანდა, არ ინერვიულოს ალექსიმ.

ალექსიმ წუთების თვლა დაიწყო, ხმამაღლა, წამები, წუთები, წამები, წუთები... ბავშვებს ჯერ გაუკვირდათ, მერე ჩათვალეს, რომ რაღაც თამაშია და აყვნენ.

კლასში 20 ბავშვი წამებს ხმამაღლა ითვლიდა, ითვლიდა და ითვლიდა.

— ქართულის მასწავლებელო, დედა სადაა? — მკითხა ბოლოს, როცა წუთების თვლით დაიღალა და საათიც 5 საათს გადასცდა. ახლა კიდევ უფრო გართულდება, ბავშვებს მშობლები მოაკითხავენ.

მის მერხთან ვდგავარ თავდახრილი. მისი ასტრონომიის წიგნი დავინახე და დაუფიქრებლად წამოვროშე:

— ალექსი, დედა მარსზე გაფრინდა.

არც დაფიქრებულა, განერვიულდა, სახე წამოუწითლდა და თვალები ცრემლებით აევსო. სხაპასხუპით, ძალიან ჩქარა, ავტომატის ჯერივით მომაყარა:

— პლანეტა მარსი: მასა — 6.4185*1023კგ, დიამეტრი — 6790კმ, სიმკვრივე — 3.934 გ/სმ3, გრავიტაცია ეკვატორზე — 3.69 მ/წმ2 ანუ 0,376გ, წნევა — 0,7-0, 9 კპა. საშ. მანძილი მზიდან — 227936637კმ, საშ.ორბიტ.სიჩქარე — 24077 მ/წმ. ატმოსფეროს ძირითადი შემადგენლობა — ნახშირბადი – 95,32%, აზოტი — 2,7%, არგონი — 1,6%, ჟანგბადი – 0,13%.

მერე ცრემლიანი თვალები მომანათა და გაბრაზებულმა მიყვირა:

— მარსზე წყალი არაა, იქ რა უნდა ქნას დედამ?

ვერაფერი ვუთხარი. ჩახუტება ვცადე, მაგრამ არ მიმიკარა. ისე ღონივრად მკრა ხელი, ლამის უკან გადავვარდი. ამ დროს მამამ მოაკითხა და წაიყვანა — მტირალი, აღშფოთებული, ხელებსა და ფეხებს იქნევდა და დედას ითხოვდა.

* * *

ძალიან დავიღალე. შინ მივედი და მივხვდი, რომ ვერც რვეულებს გავასწორებ, ვერც ხვალინდელ გაკვეთილს დავგეგმავ, ვერც ახალ დავალებებს მოვამზადებ. ლეპტოპი დაუფიქრებლად გავხსენი — გიგას დაველაპარაკები, იქნებ ცოტა დავმშვიდდე.

თითებმა საძიებო განყოფილებაში თავისით აკრიფეს — მარსი.

„მეცნიერებმა მარსზე წყლის მასის არსებობის დამადასტურებელი საბუთი აღმოაჩინეს. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ პლანეტის სამხრეთ ნაწილში, ყინულის საფარის ქვეშ, დაახლოებით 20 კმ სიგრძის ნაპირის მქონე ტბაა განლაგებული“ — წავიკითხე ერთ-ერთ ვებგვერდზე.

საათს შევხედე. ძალიან გვიანია, ეძინება, მაგრამ ბლოკნოტში მშობლების ტელეფონები მაინც მოვიძიე და ალექსის მამას დავურეკე.

— დიახ, — ნახევრადმძინარე, მოგუდულმა ხმამ გამცა პასუხი.

— ალექსის ვერ დაველაპარაკები?

უცებ გამოფხიზლდა.

— იცით, ხვალ სკოლაში მოსვლას მეც ვაპირებდი, ასე როგორ შეიძლება, ასე დაუფიქრებლად როგორ შეიძლება!

— ალექსი დამალაპარაკეთ, რა.

— სძინავს. თუმცა, ერთი წუთით...

ტელეფონში მშვიდი სუნთქვა მესმის, მხოლოდ ფშვინვა, ბავშვის. თანაბარი ხმაურით სუნთქავს. დედა ამბობდა, რომ პოლიპები აქვს.

— ალექსი, მეცნიერებმა მარსზე წყალი აღმოაჩინეს. გესმის, ალექსი, წყალი აღმოაჩინეს, — ჯერ ხმამაღლა, მერე ჩურჩულით, მერე კი ვერ ვლაპარაკობ, და მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებს, სულელურ სიტყვებს წარმოვთქვამ.

მეორე მხარეს დუმილია, მერე ტელეფონი ძირს დავარდა, შემეშინდა. ტელეფონთან მამა მოვიდა:

— რა უთხარით? უხარია, ხტუნაობს, ხელებს იქნევს და ოთახში დარბის.

— დაველოდები.

მოვიდა. ჩქარა სუნთქავს, ოდნავ უსტვენს კიდეც სუნთქვისას:

— ქართულის მასწავლებელო, ხვალ ალექსი მოვა სკოლაში და აღარ იტირებს, — მეუბნება და ტელეფონს მითიშავს.

დასაწყისი პირველ გვერდზე

ვაჟა გიგაშვილი სუბიექტივისტური ნონკონფორმიზმის წარმომადგენელია. ის არ არის დისიდენტი, მაგრამ განსხვავებულია მკვეთრი გადახრით საერთო ცენტრიდან... მის ხასიათში ჭარბად არის მოცემული რადიკალიზმი, რომელიც თაობის მთავარ ნიშნად გამოიკვეთა. იგრძნობა მასში იდეური სიახლოვე გურამ რჩეულიშვილთან. თუ შორს წავალთ, შეგვიძლია ტიპოლოგიურ პარალელად ლუი ფერდინანდ სელინის ხორკლიანი სტილი ან ჩარლზ ბუკოვსკის თავისუფალი მორალი ავიღოთ, მაგრამ ეს მხოლოდ მსგავსების დადასტურება იქნებოდა და არა შინაგანი კავშირის გამომხატველი ფაქტი. სხვათა შორის, თუ შინაგან კავშირებზე მიდგა საქმე, მაშინ უფრო რეალური იქნება, ვისაუბროთ იმ გავლენებზე, რაც ვაჟა გიგაშვილის შემოქმედებამ იქონია თანამედროვე ქართულ პროზაზე. 2000-იანი წლების დასაწყისიდან ახალგაზრდა ავტორები ვაჟა გიგაშვილის მიმართ ამჟღავნებენ ისეთ პიეტეტს, როგორიც, საერთოდ, საკულტო მწერლების მიმართ აქვთ ხოლმე. მისი სტილი ერთგვარი სტიმული აღმოჩნდა პროზაიკოსთა სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთათვის. ვაჟა გიგაშვილის „სტანდარტი“ — მოტივების, ანტურაჟის, ტიპაჟის სახით — შეიძლება შეგვხვდეს ზაალ სამადაშვილის, ბექა ქურხულის, რეზო თაბუკაშვილისა და სხვათა ტექსტებში, სადაც პირდაპირი გავლენა თუ არა, თანაგანცდის, სოლიდარობის, შინაგანი სტიმულირების სულისკვეთება მაინც იგრძნობა.

ვაჟა გიგაშვილის თხრობის სტილი გადამდებია, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლებისა და სტიქიურობამდე მისული უშუალობის გამო. ეს ის მწერალია, რომელსაც უნდა გაუგო და თუ ვერ გაუგებ, მაშინ უნდა აღიარო, რომ ვერც მიიღებ.

ვაჟა გიგაშვილი ხშირად იხსენებდა ერთ შემთხვევას თავისი შემოქმედებითი ცხოვრებიდან, როდესაც ბიძას, დემნა შენგელაიას, მოთხრობა მიუტანა წასაკითხად. დემნამ თურმე პირველი ფრაზიდან უკანასკნელ ფრაზამდე გულდასმით ასწორა ტექსტი და ბოლოს უთხრა, აი, ასე უნდა წეროო.

ალბათ ბევრი მიზეზი არსებობდა იმისა, თუ რატომ არ უნდა მოსწონებოდა მხცოვან მწერალს ახალგაზრდა დებიუტანტის ნაწერი, მაგრამ მთავარი აქ უთუოდ კონიუნქტურის ფაქტორი იყო. შენგელაია აღიარებდა კონიუნქტურის ძალაუფლებას, გიგაშვილი კი არ ცნობდა კონიუნქტურას, რადგან ის ნონკონფორმისტი, სუბიექტივისტი, სხვაგვარად მოაზროვნე გახლდათ.

მწერალს ვერ უბრძანებ, ვერ აუკრძალავ, ვერ ასწავლი, ვერ გაწვრთნი. თუ ვინმე ემორჩილება ამ გარეგან იმპერატივებს, ის, რაღა თქმა უნდა, მწერალი არც არის.

ჩვენი ლიტერატურის ისტორიიდან ვიცით, რომ შეიძლებოდა მწერალი სხვაგვარად მოაზროვნე ყოფილიყო, მაგრამ თუ მისი სტილი გარკვეულწილად თანხვდებოდა ოფიციალურ სტანდარტებს, მაშინ ნაწარმოების გამოქვეყნებაზე პრობლემა არ ჰქონდა.

ვაჟა გიგაშვილს რედაქტორები თავიდან უარს იმიტომ ეუბნებოდნენ, რომ სტილი აშინებდათ — თავისუფალი, ლაღი, იმპულსური სტილი, რომელშიც არაფერი იყო მათთვის მდგრადი, უცვლელი, ბოლომდე სანდო. ავტორი არც ნორმებზე ფიქრობდა, არც აკრძალვებზე და, როგორც ჩანს, არც მკითხველზე. თავისთვის წერდა, თავისუფლად, შეუზღუდავად.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ თემაზე ვაჟა გიგაშვილი თვითონაც გულახდილად საუბრობდა, როდესაც იხსენებდა, თუ როგორ უთხრა თავაზიანი უარი გიორგი შატბერაშვილმა, როდესაც მას „ცისკარში“ მოთხრობა „დღე და ჟამი“ მოუტანა:

„იმ შორეულ წლებში, ახალგაზრდული მაქსიმალიზმით, ვერაფრით გამეგო და ვერაფრით ამეხსნა, როგორ ახერხებდა ბევრი უნიჭიერესი და უკეთილშობილესი პიროვნება ამ ორჭოფულ ცხოვრებას, რომ ერთის მხრივ ლაღი და ძლიერი შემოქმედი, მეორე მხრიდან დაშინებული, მორჩილი და აშკარა სიცრუეზე ხელის მომწერიც ყოფილიყო...

ეს იწვევდა ქრონიკულ გულარძნილობას... ეს იწვევდა მუდმივ შინაგან ამრეზილობას...

ეს ამრეზილობა ფსიქიკის მუდმივ მდგომარეობად, ხასიათად ყალიბდებოდა...

ამ ამრეზილობის მატარებელი იყო იმ მოთხრობის („დღე და ჟამი“) გმირი, გიორგი შატბერაშვილს რომ მივუტანე 1957-ში...

ეს ამრეზილობა იყო ფრიად საშიში გადამდები ვირუსი, მავნე საბჭოური იდეოლოგიისათვის... მისი გავრცელების შანსის დაშვება კი — უდიდესი დანაშული და მავნებლობა „დიადი სამშობლოს“ მიმართ.

ეს ამიხსნა (არა ამ სიტყვებით, არამედ მოიარებით) გიორგი შატბერაშვილმა და მე ეს გავიგე.

აი, რატომ არ შეიძლებოდა ამ მოთხრობის დაბეჭდვა“.

ივანე ამირხანაშვილი

არჩევანის თავისუფლება და ყოფიერების ხაფანგი

იმ დროს მარტო იდეოლოგიური თვალსაზრისით არ იწუნებდნენ ნაწარმოებებს. მხატვრულ მხარესაც აქცევდნენ ყურადღებას და თუ ამ მხრივ ნაკლს შენიშნავდნენ, უარის თქმა აღარ უჭირდათ. იდეოლოგიამდე აღარ მიდიოდნენ, ლიტერატურულ ხარვეზებზე აპელირებდნენ, უსწორებდნენ, მიუთითებდნენ, ისე, როგორც ამას დემნა შენგელაია აკეთებდა ვაჟა გიგაშვილის სადებიუტო ოპუსის კითხვისას.

ერთი სიტყვით, სტილიც იდეოლოგიზებული იყო და თუ გინდოდა შენი ნაწერი გამოქვეყნებულიყო, რეალობისთვის ანგარიში უნდა გაგეწია, იმაზეც უნდა გეფიქრა, როგორ წაგიკითხავდნენ, რა თვალით შემოგხედავდნენ.

წერისას მკითხველი არასოდეს მაინტერესებდაო, იტყვის ვაჟა გიგაშვილი იმ ამბიდან ძალიან დიდი ხნის შემდეგ, სიბერისას: „როცა ვწერდი და რასაც ვწერდი, არასდროს მკითხველზე არ მიფიქრია... არასოდეს ერთ სიტყვასაც კი არ გადავაბრუნებ ვინმეს მოსაწონად, — წერდა ის, მაგრამ იქვე დასძენდა, — შემდგომში კი, როცა აღმოჩნდება, რომ შენს ამ ოპუსს, ნამოქმედარს სხვები კითხულობენ, ეს, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა“-ო.

ბუნებრივია, ეს ფიგურული აზრია, პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. თვითონ წერა, როგორც პროცესი, თავისთავად გულისხმობს მკითხველს, როგორც ოპოზიციას. აქ უფრო კონიუნქტურული მკითხველი, ოფიციოზის თვალი, თავისუფლების შემზღუდავი არბიტრი იგულისხმება. საერთოდ მკითხველს რომ არ უგულებელყოფს, ეს ბოლო ფრაზაშიც კარგად ჩანს. ასე რომ, პოზიორობა უნდა გამოვრიცხოთ. თუ რაიმე არ ჩანს ვაჟა გიგაშვილის შემოქმედებაში, ეს პოზიორობაა.

სამაგიეროდ, ჩანს იმპულსურობა. ზემოთ მოყვანილი თვალსაზრისიც იმპულსურობის გამოხატულებაა. იმპულსურობა მისი მწერლური ხასიათის ნიშანია.

ამ ნიშანზე როსტომ ჩხეიძეც ამახვილებს ყურადღებას. მისი აზრით, ვაჟა გიგაშვილის ნაწარმოებებში ბევრი რამ იმპულსურია, ქვეცნობიერი და გაუცნობიერებელი მოტივების ტალღები მოდის თითოეული მოთხრობიდან.

რატომღაც მგონია, რომ ასევე იმპულსურად არის შემოსული მის წარმოსახვაში ჯაყო ჯივაშვილის ლიტერატურული რეინკარნაცია — ნოდარ ყაფლანიშვილი, მთავარი პერსონაჟი რომანისა „ერთი ვინმე ყაფლანიშვილი“.

პირველი პუბლიკაციის შესავალში ვაჟა გიგაშვილი წერს, რომ მოთხრობილი ამბავი მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოების გამოძახილი და ერთგვარი გაგრძელებაა.

რომანის დრო და სივრცე 1990-იანი წლების საქართველოს სინამდვილეს მოიცავს. თუმცა დასაწყისიდანვე იკვეთება ინტერტექსტობრივი მინიშნებები: მოქმედება ლიახვის ხეობიდან იწყება. ნაშინდარიც გამოჩნდება. ორი მთავარი პერსონაჟიდან ერთი აგრესიული, დაუნდობელი, ბუღასავით ჯანიანია; მეორე — სუსტი, გამხდარი, გაძვალებული, ავადმყოფური შესახედაობისა; მესამე, რა თქმა უნდა, ქალია, ბედისწერის ნიშნით აღბეჭდილი.

პირველი არის ნოდარ ყაფლანიშვილი, ახალი ქართველების ტიპური წარმომადგენელი, გავლენიანი ნუვორიში, აგრესიული, დაუნდობელი, მაგრამ შინაგანად მშიშარა, რომელიც იწყებს ლიახვის ხეობაში არსებული წინაპართა საკუთრების დაბრუნებას; მეორე — იორამ შათირიშვილია, ნიჰილიზმით შეპყრობილი, გაღატაკებული ინტელიგენტი, რომელიც საბუთების მოწესრიგებაში ეხმარება ნოდარ ყაფლანიშვილს. სავსებით ნიშანდობლივია ერთი დეტალიც, იორამს ლაპარაკისას ენა ებმის; მესამეა — ზეინაბი, იორამის მეუღლე.

ძველ საბუთებზე სამუშაოდ იორამი ნაშინდარში მიდის. ზეინაბს არ სურს ნაშინდარში წასვლა, ცუდი წინათგრძნობა აქვს, მაგრამ ქმარს მაინც გაჰყვება.

ნოდარ ყაფლანიშვილი ზეინაბზე ძალადობს. იორამი ამას ძალიან გვიან გაიგებს. კონფლიქტის დროს ზეინაბი პისტოლეტით კლავს ნოდარს. მკვლელობას იორამი დაიბრალებს. „მე მოვკალი!“ იორამის ამ ფრაზას ასოციაციურად ეგნატე ნინოშვილის პერსონაჟთან, სპირიდონ მცირიშვილთან, მივყავართ. ეს ფრაზა, რომელმაც მე-19 საუკუნის ქართული ინტელიგენციის ისტორიაში სიმბოლური კოდის როლი შეასრულა, ვაჟა გიგაშვილმა გააქტიურა როგორც ეთიკური იმპერატივი.

მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე იორამმა გაარკვია, რომ ნაშინდარის სასახლე და მამულები ხევისთავების საგვარეულოს ეკუთვნის. მას ძალით დაპატრონებია ვინმე ნამოჯამაგირალი ჯაყო ჯივაშვილი, ნოდარის პაპის მამა. ნოდარი, ყაფლანიშვილობით რომ იწონებდა თავს, სინამდვილეში ჯივაშვილი ყოფილა.

დაბოლოს, მთავარი დეტალი. ზეინაბს ნოდარ ყაფლანიშვილისგან რჩება სამი თვის ჩანასახი. ჯაყოს შთამომავლობა გრძელდება.

მეთოდური თვალსაზრისით, ყველაფერი ნათელია. ვაჟა გიგაშვილი იღებს მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ პარადიგმას და ქმნის მის თანამედროვე ვარიანტს. ლიტერატურული თვალსაზრისით, ცოტა არ იყოს, რთულად არის საქმე. ერთი შეხედვით, ეს პოსტმოდერნისტული ცდა არის, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, შესაძლოა სულ სხვა დასკვნა მივიღოთ.

ზუსტად განსაზღვრა, ნიშანდება, ერთმნიშვნელოვნად აღიარება იმისა, რომ ეს არის სწორედ პოსტმოდერნისტული ნაწარმოები, მიუხედავად არაერთი დამთხვევისა და სტილისტური ნიშნებისა, მაინც არ შეიძლება, რადგან ავტორს აქვს ისეთი შინაგანი იმპულსები, რომლებიც არ არის მიმართული თემის პოსტმოდერნისტული გახსნისკენ.

მაგრამ რა ვუყოთ ინტერტექსტუალურობას, რომელიც არის ყველაზე მეტად შესამჩნევი ტენდენცია. მეტიც, ეს არის მიზანი, მთავარი მიმართულება და საშუალება ჩანაფიქრის გადმოსაცემად. ინტერტექსტუალურობა უფრო ღრმად მიდის, ვიდრე ჩვეულებრივ უნდა მიდიოდეს. აქ ვხედავთ არა მარტო მითითებას, მინიშნებას ან „გადაწერას“, არამედ გაგრძელებას, თემის განახლებას დროსა და სივრცეში, ანუ ყველაფერ იმას, რაც პოსტმოდერნიზმის საერთო საოპერაციო საშუალებებში შედის.

პერსონაჟები იმეორებენ ლიტერატურულ პროტოტიპებს, მათ აქვთ კავშირი გენეტიკურ წინამორბედებთან, მაგრამ, ამავე დროს, დამოუკიდებლად განაგრძობენ მოქმედებას.

არის ბევრი პოსტმოდერნისტული დეტალი, მაგრამ არ არის მთავარი პოსტმოდერნისტული ხერხები — ირონია და დეკონსტრუქცია. ვაჟა გიგაშვილი მიზნად არ ისახავს მიხეილ ჯავახიშვილის ტექსტის იდეური ან იდეოლოგიური სტრუქტურის დაშლას.

ის არც სტილს სესხულობს. ვაჟა გიგაშვილის სტილი ეკონომიური, ლაკონიური და პრაქტიკულია, არ ახასიათებს მეტაფორიზმი, ჰიპერბოლიზმი, გროტესკულობა, რომლებიც მიხეილ ჯავახიშვილის სტილის სპეციფიკური ნიშნებია. თუმცა ვაჟა გიგაშვილთან გამოკვეთილია დიალოგის პრიმატი, რაც ბუნებრივია, რადგან ტექსტი კინოსცენარის პრინციპით არის დაწერილი. ირონიისა და დეკონსტრუქციის ნაცვლად ვხედავთ მკაცრ რეალიზმს: 90-იანი წლები, ველური კაპიტალიზმი, პოლიტიკური ანარქია, რაც ერთობლიობაში ქმნის ნიადაგს ჯაყოიზმის აღმოცენებისათვის. რომანის კონცეფციაც იოლი ამოსაცნობია, ჯაყოიზმი, ისევე, როგორც ყვარყვარიზმი, ქართული ავთენტური პრობლემაა.

პოლონელ პარადოქსალისტს სტანისლავ ეჟი ლეცს აქვს ერთი ასეთი ფრაზა: „ლიტერატურაში ყველაფერი არის ნათქვამი, ყველაფერი არ არის ნაფიქრი“.

პირველად იყო თქმა, შემდეგ — ფიქრი, რომელიც ხანდახან შეიძლება არც იყოს, ან იყოს, მაგრამ დაგვიანებით. ვაჟა გიგაშვილის რომანი არის „ნაფიქრი“ წინამორბედის „ნათქვამზე“. მწერალმა შექმნა თავისი ვერსია და ეს ვერსია თავისუფალი არჩევანია. ამიტომ მას ვერ მიუსადაგებ მოდური მიმდინარეობის კანონებს. ცალკეული დამთხვევები არ ნიშნავს თანხვედრას მთლიანობაში. მწერალი თუ თვითონ არ მიაკუთვნებს თავს რომელიმე მიმდინარეობას, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ის ნამდვილად ეკუთვნის ამ მიმდინარეობას. ვაჟა გიგაშვილი იყენებს პოსტმოდერნისტულ ელემენტებს, მაგრამ პოსტმოდერნისტი არ არის.

კაცმა რომ თქვას, კონცეპტუალური ჩარჩოები მას არც სჭირდებოდა, რადგან მეტისმეტად გახსნილი იყო ცხოვრების მიმართ, მუდმივი დიალოგი ჰქონდა მასთან და უაღრესად მგრძნობიარე რეცეპტორებით აღიქვამდა რეალობას, დროს, მოვლენებს როგორც ადამიანურობის ფაქტორებს. შეეძლო ამ გრძნობის გადმოცემა, გადმოდება, გაზიარება ისე, რომ ცხოვრების შუაგული შენამდე მოეტანა, ეჩვენებინა არსებობის ყველაზე ადამიანური, საყოველთაო, უტყუარი ფორმა და ეგრძნობინებინა შენთვის ყოფიერების ფატალურობა. ისე, როგორც იმ მოთხრობაშია, დასაწყისში რომ ვახსენე. მოჯადოებული წრე, ხაფანგის შეგრძნება: როცა იცი, რა მოხდება, მაგრამ არ იცი, რა უნდა ქნა.

რაულ ჩილაჩავა

ჩემი ვარსკვლავით ნაკლები ციდან...

ცა გახლეჩილი ბროწეულია
და ალისფერი მარცვლები სცვივა.
ხანდახან სცხელა, ხანდახან სცივა
სივრცეს ლალ-ბალახშ-ძოწეულიანს.
მე მთელი ღამე სხეულში მცრიდა,
ვხურავდი ფანჯრებს, ვხურავდი კარებს.
თავს დამყურებდა ბებერი მთვარე
ჩემი ვარსკვლავით ნაკლები ციდან.

ზაფხულის ბოლო ღამე

ცის საწნახელში ღამე წურავს ვარსკვლავთა მტევნებს,
საგანთიადოდ მათრობელა წამოვა წვიმა.
ზაფხულის განძი შემოდგომის დარბაზში მიმაქვს,
რომლის თაღებქვეშ მე აქამდე მრავალჯერ ვევნე.

ვუცდი და ველი, რომ საცაა დასცხებს მერეხი,
ელვის სიმებზე „გაუდეამუსს“ დაუკრავს გრგვინვა
და შემახსენებს ერთხელ კიდევ, რა ვარ და ვინ ვარ,
არარსებული ჩემი სკოლის დაფა და მერხი.

ტალღების გემო

ტკივილის ცივი სარეცლიდან როდესაც დგები,
ქვეყანა თითქოს ბურუსშია, ვერაფერს ხედავ.
შენი ცხოვრების უდაბნოში არ მოჩანს ხე და
ბრმად მიუყვები შინისაკენ დატკეპნილ ბილიკს.
სადა ხარ, ზღვაო მოლივლივევ, სადა ხარ, გემო,
მე ეს ხმელეთი არ მიტოვებს უმცირეს იმედს.
ღამე სიზმარში ჩაშვებული ღუზაა მძიმე
და თვით ძილშიაც არ მასვენებს ტალღების გემო!

სამოთხის ჩიტი

ნუთუ ამ ფრინველს ჩემი ბუდე შურს,
რომ არ ეშვება შეთვალულ ვენახს!
კენკავს ციცქას და კენკავს ბუდეშურს
და მერე იწყებს მთვრალივით სტვენას.
მზემ ჩამოსძახა ცელქურად „ჭიტა“
მოულოდნელად კარს მომდგარ ენკენს...
მიდი, ფრინველო, უსტვინე, კენკე,
მე შენ ჩაგთვალე სამოთხის ჩიტად!

ყვავილთა გლოვა

კედლები გახდნენ მეგობრები, თანამდგომები,
ზოგჯერ ვიფიქრებ, აიდგამენ სულ მალე ენას,
ბოლოს და ბოლოს რომ შეჩერდეს ეს სისხლის დენა,
შეწყდეს ერთხელაც მობობოქრე სულში ომები.
ქოთნის ყვავილებს სასიცოცხლო აკლდება ძალა,
მე მაინც ვრწყავ და მაინც ვცდილობ მათ გადარჩენას,
მაგრამ ისინი მისტირიან პატრონს, მარჩენალს,
და როგორც ვხვდები,
ცრემლს და გლოვას ამაოდ ვკრძალავ.

სინანული

ვცადე გაქცევა... ვცადე ბევრჯერ, თუმცაღა დღემდე
ვერ მოვახერხე დატოვება ცოდვილი ტანის...
მეც მქონდა ჩემი ნეოლითი... ეპოქა ტანის...
და ასე შემდეგ... ასე შემდეგ... და ასე შემდეგ!
ახლა ყველაფერს ერთნაირად ვხედავ შეკვეცილს —
ოცნებებს, ფიქრებს, ციფრებს, სიტყვებს,
ზმნებს და ზმანებებს...
და სინანული ოდინდელი თავს არ მანებებს,
რომ საკუთარ თავს ვერა, ვერა, ვერ გავექეცი!

განგაშის გრძნობა

ჯიხვს მოვუგრიხე თითქოს მე რქანი,
ფეხი დავადგი უცნობ ქიუხებს
და სეტყვისა და თოვლის სიუხვეს
წინ დავახვედრე სულის მერქანი.
მინახავს მკაცრი მზერა მესაჭის
და ახლა იგი კვლავ მომაგონდა,
როგორც ელმავალს რწევა ვაგონთა,
როგორც ოწინარს ჩუმი მესა ჭის.
ვერ დაამარცხებს მარტო კილვა მტერს,
მასთან დუელი ჩემი წესია.
თითქოს მიხმობდეს მზის ეკლესია,
მე მივუყვები წელთა კილვატერს.
ვენდობი მხოლოდ ბუნების ნობათს
და ვეუბნები უარს ავანსებს.
ვფიქრობ ცხოვრების ავანჩავანზე
და ყელში მიჭერს განგაშის გრძნობა!

დავწერ დანარჩენს...

ვერ გამოვდივარ სახლიდან გარეთ,
სადაც ქარები ტირიან მწარედ
და ყვინთავს ქვეყნის ოთხივე მხარე

ნისლში ისე, რომ არ ელოდება
მაშველს... ნაღველი მაწევს ლოდებად,
თან ჩემთან ერთად სხვაც მეცოდება,

ვისაც ციკლოპმა დაადგა თვალი,
ყველას სანაცვლოდ მოსთხოვა ვალი,
არ შეარჩინა ხორცი და ძვალი
დაულეწავი... ვინც სიზმარშია
და გარს ავლია ძილის არშია
და ეჩვენება, თითქოს არ შია,

თუმცა შია და სწყურია კიდეც...
რომც ჩამოინგრეს სამყაროს კიდეც,
და ჩემს მოსავალს დუშმანი მკიდეს,

მე კარში მაინც უნდა გავიდე
და ასოები საალფავიტე,
რომლებიც თვალწინ ჯადოდ დავიდე,

შევკრა სიტყვებად და სტრიქონებად,
თან ჩავაყოლო ჭკუა-გონება,
როგორც განძი და როგორც ქონება,

რომ ვინმეს მაინც შეეკრას სუნთქვა,
დაეწყოს ტანის, გულ-ღვიძლის თუთქვა,
აღმოხდეს: დღემდე არავის უთქვამს,

რაც ახლა ითქვა და დაიწერა,
და თუ მზე ისევ ამოინვერა,
დავწერ დანარჩენს...

ჩვენთან...

ჩვენთან ზაფხულში საზამთროს ჭამენ,
ზაფხულის არაყს ზამთარში სვამენ,
კეთილ საქმეზე ამბობენ: „ჰამენ!“

ჩვენთან დგებიან მამლებზე ადრე,
შვილებს არქმევენ ციალებს, ბადრებს,
უსმენენ ალვებს, ცაცხვებს და ჭადრებს.

ჩვენთან მღერიან „ჩელას“ და „ნანას“,
თესავენ სიმინდს, მარგლავენ ყანას
და ახსენებენ კოლხეთის ხანას.

ჩვენთან უსმენენ მწუხრზე ვასაკებს,
არ უმალავენ ერთურთს ასაკებს,
ჩვილებს უთხზავენ ზღაპრებს გასაგებს.

ჩვენთან ქალიშვილს მზითევს ატანენ,
თვით ტკბილეულსაც პიმპილს ატანენ,
სძულთ სიტყვა სამტრო და სასატანე.

ჩვენთან ზღვის პირზეც ქოლგით დადიან,
ხმალშემართული უყვართ დადია
და სჯერათ მხოლოდ ის, რაც ცხადია.

ჩვენთან ერთმანეთს ჭილოფშიც სცნობენ,
მსჯელობენ მარსზე, ფეხბურთზე ბჭობენ
და სხვის სატკივარს მაშინვე გრძნობენ.

ჩვენთან არასდროს გეტყვიან არას,
ფულს ეძახიან უბრალოდ ფარას,
ლექსებს უძღვნიან ღრუბლების ფარას.

მე კი სხვაგან ვარ, არა ვარ ჩვენთან
და ცივი ზამთრის ნამქერი მფარავს!

სექტემბრის ღამე

სექტემბრის ღამე დედამიწის ტრიალს მიჰყვება,
ჩემი ჭრიჭინა უკანასკნელ სიმღერას მღერის
და უკვე თითქმის სულთმობრძავი ბალახის ღერი
ბედნიერ დღეთა დასასრულის ამბავს მიყვება.
.გავყურებ ზეცას მთიების და მთვარის მაყრიანს,
ვიხუტებ გულში უძილობით დაჭმუჭნულ საბანს.
ვერ დაარქმევდა სახელს, ალბათ, ამ სურათს საბაც:
წარსულის ფსკერზე მწოლს
მომავლის ბელტებს მაყრიან.

ერთხელ...

ვათვალიერებ ძველ სურათებს, წიგნებს, ნაწერებს,
თვალს რომ აბრმავებს, სულს რომ ხუთავს,
გულს რომ აჩერებს,
ამ ცრემლებს წყნარი ოკეანეც ვერ გააჯერებს.
ღამემ იმატა... დადგა გრილი გარიჟრაჟები,
ფოთლებს უტევენ შემოდგომის ქარის რაშები,
შენ კი სადა ხარ, სად დაყოვნდი, ახლა რას შვრები?
ვებრძვით დუმილით უშენობას მე და თემური,
სურსათიც, წყალიც უფეროა და უგემური
და სევდის კატა მკერდს გვიფხოჭნის,
როგორც ლემური.
არა, რაიმე უჩვეულო ჩემთან არ ხდება,
უბრალოდ ძველი ოცნებები აღარ ახდება
და ჩემი ბორცვიც ერთხელ მწვანედ აბალახდება!

გული

გული არ ცხრება, გული თავის საქმეს აკეთებს,
ქაჩავს და ქაჩავს დღე და ღამე მეწამულ სითხეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორა ხარო, მეზობლებმა ყასიდად მკითხეს,
მეც ვუპასუხე, რომ კოსმოსურს ვმართავ რაკეტებს.
ბევრმა არც იცის, გული თუ აქვს, დადის უგულოდ,
ბედნიერია, არ აშინებს სეტყვა თუ თქეში.
მე კი დავდივარ სატკივართა უსიერ ტყეში
და ხეს ავძახი: „კიდევ რამდენს გავძლებ, გუ...გულო?“

შემოდგომის სონეტი

მორჩა სეზონი ბაყაყების და ვასაკების,
შემოგარენში უჩვეულო სიჩუმე სუფევს.
ცხელი ზაფხულის ნასუფრალით ივსებენ უბეს
ხელმოცარული და წვრილფეხა ავაზაკები.

ხეივანს მიღმა ძველ ფარდულში ყავას აქებენ,
შიშით უმზერენ საავდრო და საწვიმარ ღრუბელს.
ტბა ემსგავსება კოსმოსიდან დანახულ გუბეს,
რომელიც იხვებს მათ სანუკვარ ჰავას აგებებს.

ჯერ სიმწვანეა, მაგრამ დიდხანს არ გასტანს ასე,
ცვივა ფოთლები სიარულით გაცვეთილ გზაზე
და ფრინველების ფრთხიალს ახლავს სიცივის განცდა.

მე ახლა თითქოს ფოსტაში ვარ, ვხსნი ამანათებს
და მეჩვენება, ეს-ესაა შემომანათებს
შუქი სექტემბრის წიაღებში ჩამალულ განძთა.

ბინის დალაგება

ვალაგებ ბინას, მაგრამ ნივთებს ვეღარ ვეხები,
კარ-ფანჯრებს სცივათ, ხოლო ავეჯს სტკივა ფეხები,
სარკიდან მიმზერს ღამის ლანდი პირგამეხებით.

დრო გამყავს, თორემ სულ ერთია, სად რა იდება,
რომელი ფოტო, რომლის გვერდით დაიკიდება,
ისეც წამია სოფლის კრულვა, სოფლის დიდება.

ეს დალაგება ჰგავს ქვიშაზე სახლის აგებას,
შუა ზამთარში ხორშაკსა და პაპანაქებას,
უაზრო ლაქლაქს, როცა უნდა ენა დაგებას.

წლების დოლაბში დღეთა ჩემთა ცვივა მარცვლები,
გარეთ ვაშლის ხე ნაყოფისგან ნელა იცლება,
ჩემს ბინაში კი ტკივილების გადანაცვლებით
ტკივილთა ჯამი, სამწუხაროდ, არ შეიცვლება!

გადასასვლელზე

გადასასვლელზე გადადის დედა საბავშვო ეტლით,
ამუხრუჭებენ ზედიზედ „ვოლვო“, „ბეემვე“, „ბენტლი“.

არც შუქნიშანი ანთია, არც პოლისმენი დგას,
ქალს ისე უჩერდებიან, ისე უთმობენ გზას.

ქალაქი მზეში ბანაობს, ქალაქს აცვია ფარჩა,
ქუჩაში ქალი გადადის, სხვა ვინმე თითქოს არ ჩანს.

ეტლში პატარა ტიტინებს, ეტლია მისი „ბენტლი“,
მისთვის ჯერ კიდევ კეთდება სხვა —
წუთისოფლის ეტლი.

როსმე ის იგრძნობს სიცივეს, ნახავს ხანძრების ალს,
ჯერ კი ქალს ეფერებიან და გზას უთმობენ ქალს.

ქალს მხრებზე გადაჰფენია უხვი წყალობა მზის,
ვინ იცის, სულაც მის ეტლში ქვეყნის მეეტლე ზის!

მენდეთ... ვიცი... მინახავს!..

მოეფერეთ ერთმანეთს, სანამ კიდევ დროა,
სანამ ეს დედამიწა თქვენი სამკვიდროა,
სანამ არ დაქცეულა სიყვარულის ტროა!

ნუ გადადებთ შეხვედრას, ნუ გადადებთ ალერსს,
ნუ გადადებთ ხვევნას და კოცნას უმხურვალესს,
დღევანდელი დღე მუდამ ამჯობინეთ ხვალეს.

გულისსწორს თუ ახლობელს ნუ აკადრებთ უარს,
ჭკუა თუ აგიხირდათ, არ უსმინოთ ჭკუას,
იგი ზოგჯერ ბრმაა და იგი ზოგჯერ ყრუა.

ღვინოც სვით და არაყიც, დააყოლეთ ყავა,
მზემ რაც უნდა ანათოს, ბოლოს ჩრდილად ჩავა.
მენდეთ... ვიცი... მინახავს!.. რაულ ჩილაჩავა!

ჯილა

ძალა ერთობაშია, ზოგჯერ — გართობაში,
გადაგვივლის გრიგალი ანუ ქართა ბაში,
გართობით და ერთობით რომ არ გავიხაროთ,
კაცი ხარ და ახალე პირში — ავი ხარო!
გრიგალების დრო არის, ზეიმი აქვს გრიგალს,
ჯერ ვერავის ვპოულობ მასთან შეურიგალს.
არ გამოგვდის ერთობა, გართობაშიც ვცოდავთ,
უკვე წაქცევაზეა ჩვენი ძველი ოდა.
ისევ შემოგვეჩვია არაბი და სპარსი,
ლამის ვეღარ გავიგო ჩვენი ყოფის არსი.
რა სჭირს, რა ემართება ქართულ გვარს და ჯილაგს?
ვის, ვის ვუთხრა ალალად: „შენ ხარ ჩემი ჯილა!“

ღამე წისქვილში

შემოსევიან წისქვილს ჭინკები,
სახემწითური, როგორც ინკები.
შეურხევიათ ზღაპრების სიმი
და ეს პირველად უგრძნია სიმინდს.
მერე უგრძნია წისქვილის ქვასაც,
მისგან გავიგე, გიამბობთ რასაც.
ჭინკები მსხდარან ცეცხლის გარშემო,
უფროსს ჩიბუხი, როგორც ორშიმო,
ამოუვლია ღადარში ჩუმად
და ჩიბუხიდან წასული კუმა*
შემოხვევია მთელ წისქვილს ნისლად,
ზედ დაჰფენია წალამად, ისლად.
ხოლო წისქვილი სულ ფქვავდა, ფქვავდა
და... მეწისქვილე თავის ლანდს ჰგავდა.

*კუმა (მეგრ.) — კვამლი

დანგრეულ სახლში

კარგა ხანია, სოფლად აცივდა,
ხეებს ფოთლები თითქმის დაცვივდა.
მოსწყინდა ღამეს დღესთან ჯახირი,
საღამოს ადრე წვება ნახირი.
მთვარეს ავლია ღრუბლის აშია,
ვარსკვლავი — ცაში, მთვარე — ჭაშია.
დანგრეულ სახლში სანათით დადის
და თავის პატრონს დაეძებს ლანდი!

ექსპრომტი

რაც მე მინდა — აღარაა,
რაც არ მინდა — სავსეა.
თმა მთასავით ჭაღარაა,
ვერ დავმალავ — ასეა!
რაც მავნეა, რაც ავია, —
სულ უცხოა, სულ ჭრელი...
გული დარდის საცავია,
სიყვარულის ჭურჭელი.

ნუ დამპატიჟებთ...

ნუ დამპატიჟებთ, სამწუხაროდ, ვეღარ გეახლებით,
ზამთრის ზვავებმა ყველა გზა და კარი ჩაკეტეს.
დევს ცხრაკლიტულში, რაც ვიშრომე, რაც გავაკეთე
და ჩავლილ დღეთა მოწმეებად დგანან სახლები.
აზის ბეღურა წყალდაწრეტილ, დაღლილ შადრევანს
და წყურვილს იკლავს შერჩენილი ციცქნა წვეთებით.
თითქოს საღამომ მომიჭირა ბინდის ღვედები,
მაგრამ ჯერ კიდევ ეძნელება ჩემი წათრევა.

გაუქმებული სადგური

დიდი ხანია, რაც ამ ბაქანზე
მატარებლები არ ჩერდებიან
და ბიჭუნები ჩავლილ ვაგონებს
ცნობისმოყვარედ აჩერდებიან.
გარშემო თითქმის ჩაკვდა ცხოვრება,
არავინ მოდის, არავინ მიდის,
და მხოლოდ ხალხში, ვით სინამდვილე,
ცოცხლობს წარსულის ლამაზი მითი.
დაისის პირზე მზე მიადგება
მინებჩალეწილ სალაროს სარკმელს,
ხოლო მოსაცდელ დარბაზში სკამთა
სიცარიელეს ირეკლავს სარკე.
მიაქვთ შორეთში სადგურის სევდა
ლიანდაგების ელვარე ხაზებს
და მხოლოდ ზოგჯერ სემაფორები
კრთებიან მთვრალი მეისრის ხმაზე.

მზესუმზირები

ამ მზესუმზირებს უვანგოგოებს,
სურთ თვალი მოჭრან სოფლის გოგოებს.
ო, მათ ბრდღვიალთან თვითონ მზე რაა!..
ყოველ მათგანში უფლის მზერაა!
„სონიაშნიკები“... „სონჩეგლედები“...*
აქეთ — პრინცები, იქით — ლედები,
არ მავიწყდება, სულ თითო-თითოდ
მხურვალე ხელებს როგორ მიწვდიდა...
მზეები დაბლა ჩამოსულიყვნენ
და ცას ათბობდნენ დედამიწიდან!

*სონიაშნიკი, სონჩეგლედი — მზესუმზირა უკრაინულად და ბულგარულად.

კიდევ ერთი დღე

თითქოს დაკეტეს მუზეუმის მძიმე კარები,
კიდევ ერთი დღე საუკუნოდ წარსულს ბარდება.
ვუმზერ ცხოვრებას ვიტრინაში, როგორც არტეფაქტს,
ვათვალიერებ, მაგრამ ახლოს ვერ ვეკარები.
თითქმის სამყაროს ნახევარი დაცარიელდა,
დარაბებს მიღმა შუქს აქრობენ, შლიან საწოლებს
და ღამე, როგორც ახალგაზრდა დევის საცოლე,
დაშლილ თმებს იწნავს დედამიწის დასალიერთან..

ზამთრის წინათგრძნობა

თვალსაწიერი ჭილყვავებმა შავად დაფარეს,
დღის მხურვალება შეუმჩნევლად განიბნა ქარში.
მალე ცისკიდე დედამიწის გულმკერდზე გაშლის
ფიფქებით ნაქსოვ უზარმაზარ თოვლის ტრაფარეტს.

თბილი ამინდის მოლოდინი უკვე აღარ ღირს,
ჰაერი თითქოს ილესება ყინვის ეშვებად.
გამოცოცდება ღელის პირზე ციცქნა ბაყაყი
და შუა წყალში თავგანწირვით გადაეშვება.

განაჩენი

მაინც არ წაგშლი. იყავი. დარჩი.
ნუ ესტუმრები პოეტის სენაკს.
შენ ახლა ჰგავხარ ჩემს თვალში მკვდარ ჩიტს,
რომელთან ერთად მწყუროდა ფრენა.
ამოვსებულა ცხოვრება ღამით,
მთებს დასწოლია ღრუბელი მძიმე.
მთელ სამყაროში არ ისმის ჩქამი
და კრახი ჰქვია ამჟამად იმედს.
მაგრამ მე გავძლებ... მე გამიძლია,
გამიყვანია გაღმა ბორანი.
ჩემი ტრფიალი ჩემი ღვიძლია,
რომელსაც კორტნის ეჭვის ყორანი.
ისედაც ვიცი, არ გკითხავ მიზეზს
გაბრაზების და სხვასთან დარჩენის.
როგორც შენ გინდა, იარე ისე,
ატარე მხრებით ეს განაჩენი!

როცა მოვედი, მაშინ წახვედი...

მზის სხივი შავად დაასკდა ასფალტს,
დღემ უმძიმესი გალეწა კალო.
გაწყდა მოთმენის ბაგირი ასფა
და მაფშალია სიკვდილზე გალობს.
შენ დღემდე ჩემი რჩეული გერქვა,
მეგონა, შენთვის მეც ვარ რჩეული.
დღეს სული მოჰგავს გამოხრულ მერქანს,
ბოლო ჟანგბადით სუნთქავს სხეული.
გზა დაღმართისკენ მიიბაწრება,
საცაა, უფსკრულს მიაღწევს კიდეც.
აქ უაზროა სხვისთვის გასწრება,
დროა, საკუთარ ჭირნახულს ვმკიდე.
მე მეშინია მაღლა ახედვის,
ცა ჰგავს საწუთროს უჟმურ გარეკანს.
როცა მოვედი, მაშინ წახვედი
და მალე ჩემი ჟამიც დარეკავს.

მსხვერპლშეწირვა

თავს ზემოთ როცა არაა ძალა,
თავს ქვემოთ რაღას ელოდე უნდა.
ტანი დაიყო ხორცად და ძვალად,
სულია თოვლის გამდნარი გუნდა.
ამჟამად ჩემთვის არც თოვს და არც წვიმს,
მორიგი დღეა, კუშტი, უფერო.
წარსული მოჰგავს გაფრენილ არწივს,
რომლის კვალს სული უნდა ვუბერო.
სამყაროს მიღმა კოსმოსურ სხივთა
ბრიალით სივრცე მაინც არ თბება.
სანამ ვიქცევი უსულო ნივთად,
მე, ალბათ, ჩემი დამემართება.
არ ვიქნებოდი ამნაირ დღეში,
მე რომ დაცული მქონდეს ძირები.
წამოვა ერთხელ ვარსკვლავთა თქეში,
რომელსაც მსხვერპლად შევეწირები.

ოქტომბერი

ქსოვს შემოდგომა ბურუსის ჯვალოს,
ალვებს დასცვივდა ბამბა და ბურტყლი.
ფუღუროს თავზე კოდალა წვალობს,
ჩირგვიდან მოჩანს ყურები კურდღლის.
ხეებს მჭკნობარე ფოთლები უთრთით,
სინათლე გარბის მზის ბილიკებით
და ჩემთვის ყელში გასაჩრელ ბურთით
ასპარეზობენ თითქოს ჭინკები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალითა მით ძლიერითა სამყარო შექმნა რომელმან,
ზეგარდმო არსთა შთაბერა სული მოწყალე მშრომელმან,
მოგვცა ფერადი ქვეყანა კაცთათვის კარგის მდომელმან,
განსაჯის ყოვლი ხელმწიფე მსაჯულმან მიუდგომელმან.

დასაწყისი. პირველი სტროფი. ვეფხისტყაოსნის უცნობი ხელნაწერი. ჩვ. წ. ა. XXI ს.

პაატა ნაცვლიშვილი

ვეფხვისტყაოსანი

ფრაგმენტი მომავალი წიგნიდან

ყვეგის დასაწყისი

დიდი ხანია, მეწადა რაღაც საინტერესო, ორიგინალური, თან დოკუმენტური და თან ზღაპრული ტექსტის წაკითხვა და რაკი ჩემთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურულ სივრცეებში ასეთს ვერაფერს გადავაწყდი, გადავწყვიტე, თავად მეცადა და ჩანაფიქრის განხორციელებას ნაირობიში შევუდექი, სადაც დილიდან არააფრიკულად, კარგა ბარაქიანად იწვიმა და ჯომო კენიატას საერთაშორისო აეროპორტის ერთი უკაცრიელი დარბაზის კუთხეში მჯდარი მე მასაი-მარაზე, ლომვეფხვზე, კორბეტის საფლავზე ან დუბაიში გადაჯდომაზე კი არ ვფიქრობდი, არამედ იმაზე ვიჭყლეტდი ტვინს, როდისრა-როგორ უნდა დამეწერა, ვეფხვისტყაოსანს რომ ვეფხისტყაოსნობაც დასტყობოდა და ირაკლი რედაქტორის მიერ საჩემოდ მოზომილ ორ გვერდშიც ჩავტეულიყავი, რადგან რაგინდარა ტექსტის დასაწყისის მნიშვნელობაც კარგად ვიცი და ისიც, თუ როგორ არ უყვარს ირაკლი რედაქტორს მის მიერ წინასწარ დაგეგმილის გადაკეთება ავტორის ჭკუაზე და სწორედ ამიტომაც იყო, რომ როცა აფრიკაში წასვლის წინ დავურეკე, დამამუნათასავით — კი დავპირდით მკითხველს ამ გაზაფხულზე, რომ შენი ვეფხვისტყაოსნის ფრაგმენტებს დავბეჭდავდით, მაგრამ თუ დროზე არ მომაწოდე ტექსტი და თუ წლის ბოლო ნომერში ორი გვერდი არ იკმარე, მირჩევნია, ტყუილი გამოგვივიდეს და მომავალი წლისთვის მოგისროლოთ შენც და შენი ვეფხვისტყაოსანიცო, რაზეც მე ვუპასუხე, რომ მკითხველის მოტყუებას ჯობდა ის ორგვერდიანი საბანი ჩემი ტექსტისთვის ისე დამეხურა, როგორც გასწვდებოდა, რადგან თუ უწყინარ საგაზეთო ტყუილს დღევანდელი მკითხველი იქნებ ვერც შეამჩნევდა, „ლიტერატურული გაზეთის“ ისტორიის მომავალი დაკვირვებული მკვლევარი, აუცილებლად მიაქცევდა ყურადღებას და მერე ვეღარავინ დაადგენდა, ავტორის ბრალი იყო ეს შეუსრულებელი დაპირება თუ რედაქციისა და იქვე აღვუთქვი კიდეც, რომ ტექსტს თავის ფოტოებიანად აუცილებლად ჩავტევდი იმ ორ გვერდში, მაგრამ სწორედ ამის მერე დაიწყო ჩემი თავის მტვრევა და ტვინის ჭყლეტა, თუ როგორ ჩამეპრესა ერთი ბენო საგაზეთო ფართობში ყველაფერი, რისი თქმაც პირველ ფრაგმენტში, გნებავთ, პროლოგში, მინდოდა და რომლის გარეშეც ყველა დანარჩენი ფრაგმენტი, რაგინდ მართლა ვეფხისტყაოსანი დამეწერა, გაუგებარი დარჩებოდა მკითხველისათვის, რის გამოც ჩემი ტექსტისთვის პროლოგი გაცილებით მნიშვნელოვანი მგონია, ვიდრე ვეფხისტყაოსნისთვის გახლავთ მისი დასაწყისი, რომელიც ტექსტმეცნიერთა ერთი წყების თანახმად, შეიძლება სულაც არ იყოს რუსთაველის დაწერილი და რომელიმე გაწაფული გადამწერის ინტერპოლაციას წარმოადგენდეს, ისევე როგორც ვთქვათ, ინდო-ხატაელთა ამბავი, რომელიც რუსთველოლოგთა დიდ ნაწილს გვიანდელ ჩანართად მიაჩნია და აქ მხოლოდ იმიტომ გამახსენდა, რომ როცა ირაკლი რედაქტორს ჩემი ვეფხვისტყაოსნის ის ანონსი შევთავაზე, პირველ ფრაგმენტად სწორედ ინდოთა ამბავი მქონდა შეგულებული, რადგან ინდოეთი თავისი ხატაეთით მაშინ უკვე მოვლილი მქონდა, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ თხრობის დაწყება კენიით ჯობდა, სადაც სინამდვილეში დამთავრდა ყველაფერი, რაკიღა დასასრულიდან დაწყება პრზაში ნაცადი ხერხია და ამიტომ სანამ კენიაში არ წავედი და საკუთარი თვალით არ ვნახე კორბეტის საფლავიც და კენიის კენწეროებიც, პროლოგის საქმე საკმაოდ გაურკვეველი იყო, ხოლო როცა მე და ავსტრალიელი ჯოზეფი ჩვენ-ჩვენი მეუღლეებით კენიას ვეწვიეთ, კორბეტის საფლავიც ვინახულეთ, გვირგვინითაც შევამკეთ და ადგილობრივ ხელოსანს, რომელსაც, მგონი, ფრანკო ერქვა, საფლავის კეთილმოსაწყობად ფულიც დავუტოვეთ, სწორედ მაშინ გამოიკვეთა ვეფხვისტყაოსნის დასაწყისის, ანუ პირველი ფრაგმენტის, ანუ შესავლის, ანუ დასაწყისის კონტურები და მეორე საღამოს, როცა იმ ცნობილი ტრიტოპის ხის აივნიდან წყალსატევის გარშემო შემოჯარულ ნადირ-ფრინველს ვადევნებდით თვალს, მე ვახსენე ღმერთი, ძალითა მით ძლიერითა სამყარო შექმნა რომელმან, და ერთდროულად დავიწყე ფიქრი ამ ტექსტზეც და დიდი ბრიტანეთის დედოფალზეც, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ, როცა მე ერთი წლისაც არ ვიყავი, ხოლო ის ჯერ კიდევ პრინცესა ბრძანდებოდა და სწორედ მაშინ, როცა მამამისს ლონდონში ეძინა და არავინ იცოდა, რომ იგი დილით ვეღარ გაიღვიძებდა, ამ აივანზე, უფრო სწორად, ამ აივნის წინამორბედზე მდგარი, ზუსტად ამგვარად შემოჯარულ ნადირ-ფრინველს უყურებდა მაშინდელი ტექნიკური სიახლის — 16-მილიმეტრიანი კინოკამერის ობიექტივიდან, ზუსტად ისე, როგორც 2019 წლის 25 ნოემბრის საღამოს ჩემი ნინო უმზერდა თავისი პანასონიკ-ლუმიქსით კამეჩებს, ანტილოპებს, გვირგვინოსან წეროებს, ბაბუინებსა თუ სპილოებს, რომლებიც იმ მაშინდელი სპილოების შვილიშვილები თუ იქნებოდნენ, რადგან სპილო 60 წლამდე ცოცხლობს, და რომლებიც ისე დარბაისლურად მიმოდიოდნენ და ისე სოლიდურად მიმოიქნევდნენ ხორთუმებს, თითქოს კარგად იცოდნენ, რომ ბრიტანეთის პრინცესა ელიზაბეთი, რომელიც 1953 წლის 5-6 თებერვლის ღამეს სწორედ ამ ჭანჭრობში მოდარბაისლე მათ წინაპრებს კენიური კენწეროებიდან კინოკამერის ობიექტივს უმიზნებდა, იქიდან უკვე ელიზაბეთ მეორედ ჩამოვიდა მეფე-მოკვდა-გაუმარჯოს-მეფეს პრინციპით და მე წარმოვიდგინე, რომ ამ დარბაისელმა ცხოველებმა ისიც კარგად იცოდნენ, თუ ვინ იყო ის იდუმალი უცნობი ქალბატონი, რომლის სახე ასე მისტიკურად აღბეჭდილიყო ბუკინგემის სასახლის აივანზე პრინცესას ქორწილის დღეს, 1947 წლის 20 ნოემბერს გადაღებულ ოფიციალურ საქორწინო ფოტოზე და ისიც, რომ ჩემს ინტერნატამდელ სტუდენტებს, როცა ჟურნალისტური ოსტატობის კურსის ფარგლებში მათთვის ინფორმაციის მოპოვების ანბანი თუ საიდუმლოებანი უნდა მესწავლებინა, საშინაოდ ხშირად ვავალებდი, რომ გაერკვიათ, როდის და რა ვითარებაში გამეფდა თუ გადედოფლდა ელიზაბეთ მეორე და წლების განმავლობაში მათ ამის დადგენა უჭირდათ, სანამ ერთ მშვენიერ დღეს ერთმა მშვენიერმა ჯგუფმა ერთი მშვენიერი გოგონას თაოსნობით არ იაზრა, რომ გია ჭანტურიასთან მისულიყვნენ, იმას უეჭველად ეცოდინებაო, და მართლაც მისულან გია ჭანტურიასთან, ოღონდ არა იმასთან, პოლიტიკოსთან, ახალი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერთან, რომელიც მხედრიონობის დროს ჩაცხრილეს მანქანაში, და არც იმასთან, საქართველოს ელჩი რომ იყო აზერბაიჯანში და მერე საქართველოს ნავთობკორპორაციას რომ ედგა სათავეში, არამედ მესამესთან, აწგანსვენებულ ისტორიკოსთან, ისტორიის მასწავლებელთან, რომელიც დიდბრიტანეთის დედოფლის ისეთი ფანი იყო, რომ დედოფალს მასთან მიმოწერაც გაუბამს და თავის იუბილეზეც დაუპატიჟია და სწორედ ამ გია ჭანტურიამ უამბო ჩემს სტუდენტებს ელიზაბეთის გადედოფლების პერიპეტიები, მაგრამ ჯიმ კორბეტის ვინაობა არც მას სცოდნია და თუმცა სტუდენტებს ის დავალება ჩავუთვალე, ხოლო ზოგიერთ მათგანს უკვე სახელიც მოუხვეჭავს, როგორც, ვთქვათ, პოპულარულ ტელეწამყვანსა თუ გენერალურ დირექტორს, მათ დღემდე არ იციან, ჯიმ კორბეტის კავშირი ელიზაბეთის გადედოფლებასთან, ალბათ არც მისი წიგნები წაუკითხავთ და ამ სახელისა და გვარის გაგონებაზე, იმ მკითხველისა არ იყოს, ვინც ჩემი სპორტული ჟურნალისტიკით გატაცება იცის, უპირველესად ალბათ ლეგენდარული ამერიკელი მძიმეწონოსანი მოკრივე გაახსენდებათ, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, რომელმაც მანამდე დაუმარცხებელი ჯორჯ სელივანის უხეშ ძალას 1892 წლის 7 სექტემბერს ახალორლეანში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის გამართული შეხვედრისას დახვეწილი ტექნიკა დაუპირისპირა, რის გამოც მას „ჯენტლმენი ჯიმი“ შეარქვეს და რომელიც ისტორიულად პირველ შოუმენად და სექს-სიმბოლოდ ითვლება, ვის ორთაბრძოლებსაც სწორედ ამიტომ უფრო მეტი ქალი ესწრებოდა ხოლმე, ვიდრე მამაკაცი, რომლებიც თავის მხრივ ყველანაირად ცდილობდნენ მისთვის მიებაძათ, მაგრამ ეს შეუძლებელი გახლდათ, რადგან ჯიმკორბეტისნაირი ხალხი, როგორც იტყვიან, საუკუნეში ერთხელ იბადება, თუმცა ეს გამოთქმა, რომელიც იოსებ ჟორდანიების შემთხვევაში სწორია, ამ შემთხვევაში მთლად ზუსტი არ არის, რადგან მე-19 საუკუნეში ორი ჯიმ კორბეტი დაბადებულა, მე-20 საუკუნეში დაბადებული სამი გია ჭანტურიას მსგავსად, და ორივეს ისეთი კვალი დაუტოვებია თავ-თავის საქმეში, დღემდე რომ არ წაშლილა და დღემდე რომ აღაფრთოვანებს მრავალ ადამიანს, მათ შორის მეც, ვინც აფასებს მაგარ, ლეგენდარულ სპორტსმენებს, მაგრამ ამავე დროს იცის, რომ ჯიმ კორბეტის ჯუფთი სპორტსმენი სხვაც არაერთი იყო ისტორიაში, ჯიმ კორბეტი კი, რომელმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე იხსნა, რომელმაც 30 წელიწადში 8 კაციჭამია ვეფხვი მოკლა და ზედაც 2 კაციჭამია ლეოპარდი მიაყოლა და რომლის სახელსაც ატარებს სულ პირველი ეროვნული ნაკრძალი ინდოეთში და ინდოჩინეთში მობინადრე ვეფხვის ერთი ქვესახეობა, სრულიად უნიკალური ადამიანი იყო და როდესაც მე, 12 თუ 13 წლისა, „კუმაონის კაციჭამიებს“ ვკითხულობდი, ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ მთელი 55 წლის შემდეგ ავტორის საფლავზე ჩავიდოდი კენიის პატარა ქალაქ ნიერიში და რომ მანამდე ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვებოდი მის ნაკვალევს ინდოეთისა და ნეპალის საზღვარზე მის ავსტრალიელ, ინდოელ, გერმანელ, მორიშელ თუ ბრაზილიელ ფანებთან ერთად და რომ კორბეტის უნიკალური ცხოვრებისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის შემსწავლელ ამ საერთაშორისო ჯგუფს სწორედ მე დავარქმევდი კორბეტჰუდს და რომ გარკვეული დროით მე თავადაც ამ კორბეტჰუდის ნაწილად ვიქცეოდი, რათა პასუხი გამეცა ბევრ იმ შეკითხვაზე, რომლებიც ბავშვობაში იმ და კიდევ სხვა წიგნების კითხვისას მიჩნდებოდა, როცა ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ზოგჯერ თავად შეკითხვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მასზე პასუხი და რომ შეკითხვაში ხშირად უფრო მეტი ცოდნა ჩანს, ვიდრე პასუხში, ხოლო ცოდნა ისეთი უნდა სოსო ჟორდანიას რომ აქვს და აქ არ შეიძლება არ გავიხსენო 2006 წელს გამოცემული მისი წიგნი „ვინ დასვა პირველი შეკითხვა“ და კიდევ სხვა წიგნები, რომელთაგან უმთავრესია „ადამიანის ევოლუციის ახალი მოდელი“, რომელიც ორი წლის წინათ გამოიცა ინგლისურ ენაზე და სადაც სოსო ჟორდანია, ჩარლზ დარვინის თავგადაკლული თაყვანისმცემელი, ადამიანის ევოლუციის ახალ თეორიას აყალიბებს, რომელსაც ჩემთვის უცნობმა, მაგრამ საზოგადოდ, როგორც ჩანს, ცნობილმა ბრაზილიელმა ბიოლოგმა ვლადიმირ ალონსომ ევოლუციის ყველაზე რევოლუციური თეორია უწოდა და მე არ ვიცი, რას უყურებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და რა უნდა გააკეთოს მეტი სოსო ჟორდანიამ, რომ იგი აკადემიის წევრად აირჩიონ, ან რა უნდა გააკეთოს მეტი გია დვალმა, რომლის კოსმოლოგიკურმა კვლევებმა სამყაროს მემბრანულობის თეორიაში საყოველთაო აღიარება მოიპოვა, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ ისინი თავის რიგებში მიიღოს, რაც, სხვათა შორის გია დვალსა და სოსო ჟორდანიას კი არა, ისევ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას სჭირდება თავისი ავტორიტეტის გამაგრებისა და გასაერთაშორისოებისათვის, თავისი მიმქრალი დიდების ასაღორძინებლად და აკადემიის მესვეურნი ძალიან ცდებიან, თუ ელიან, რომ ან ერთი შეეხვეწება მათ აკადემიკოსობას და ან მეორე და არიან ასე ყოველდღიურ კამერულ და შინაურ ღონისძიებებში ჩაკმაყოფილებულები, მაშინ როცა სოსო ჟორდანიას



ეროვნული ბიბლიოთეკა



წიგნი იაპონიაში სამეცნიერო პრემიას ღებულობს ადამიანის ევოლუციის ახალი თეორიის შექმნისათვის, ხოლო გია დვალი მორჭმით ზის მიუნხენში, მაქს პლანკის ინსტიტუტის დირექტორის სავარძელში და რაკი ეს კოხტა სიტყვა ვახსენე, ისევ უნდა დავუბრუნდე ვეფხვისტყაოსანს, ან, უფრო ზუსტად ვეფხისტყაოსანს იმ თავისი ღმრთისაგან სვიანი, მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარმრავალი, ყმიანი, მოსამართლე, განგებიანი და, რაც მთავარია, მორჭმული როსტევანით, უებრო მეომრითა და წყლიანი მოუბრით, რომელიც ბავშვობაში, როცა ვეფხისტყაოსანს ჯერ ვერ ვკითხულობდი და დედაჩემი მიკითხავდა, ამ მორჭმულის გაგონებისას მოჭმული მეგონა, თუმცა ვინ მოაჭამა, რა და რატომ, დანამდვილებით არ ვიცოდი, რადგან ბავშვობაში თუმცა კითხვების კორიანტელი გვიდგას თავში, პასუხების სიზუსტე დიდად არ გვაღელვებს და ხშირად საკმაოდ ზერელე თუ არაზუსტი პასუხები პიტალო ჭეშმარიტებად მიგვაჩნია, ხოლო უფრო ხშირად ჩვენივე პასუხებით ვცდილობთ ჩვენი შეკითხვების ახსნას, როგორც, მაგალითად, ერთხელ, საბავშვო ბაღიდან შინ დაბრუნებულმა მშობლებს ვუთხარი, მასწავლებელმა დაგვაბარა, მშობლებს უთხარით, ყვების ფული გადაიხადონო, და ყვების ფული რა არისო, მამაჩემმა და როგორ თუ რა არის, ზღაპრებს რომ გვიყვებიან, მასწავლებლებს ფული ხომ უნდათ-მეთქი და აუტყდა ყველას ხარხარი და მე კარგა ხნის მერეღა გავიგე, რომ ჭამას სახაზინო ენით თურმე კვება რქმევია, ხოლო უკვე მაშინ რიგიან და პრესტიჟულ საბავშვო ბაღებში მშობლები თურმე ფულსაც იხდიდნენ ხეირიანი კვებისათვის, მაგრამ რაკი მე კვება, ანუ ჩემი ენით, „ყვება“ ზღაპრების მოყოლა მეგონა, მინდა ამ ჩემს ტექსტში ზღაპრული ამბებიც შევიტანო, თუმცა აქვე იმასაც დავძენ, რომ დღემდე არავის მოუგონია იმაზე ზღაპრული ამბები, ვიდრე სინამდვილეში ხდება ხოლმე და აქ ისევ ის ზღაპარი მახსენდება, ახალგაზრდა ქალი ხეზე რომ პრინცესად ავიდა და იქიდან რომ ჯერ კიდევ ძლევამოსილი, მზე-რომ-არასოდეს-ჩადის იმ იმპერიის დედოფლად ჩამოვიდა და რომელიც მერე თავისთან ისე იბარებდა ბურებთან ომგამოვლილ და სტალინთან თუ რუზველტთან შენობით მოლაპარაკე ჩერჩილს, როგორც დაგიბარებია და ვინც რა უნდა თქვას, მე ეს ამბავი არანაკლებ ზღაპრული მგონია, ვიდრე ალისა ლიდელის თავგადასავლები საოცრებათა ქვეყანასა თუ იმიერსარკეთში, ან ის, რომ რომელიმე ბაყაყი უცებ ქალად გადაიქცეს ან რომ პრინცმა საღათას ძილით მძინარე მზეთუნახავი ერთი კოცნით ერთბაშად გააღვიძოს და თუ ვინმეს ეს ზღაპრები უფრო ენიაზება, უფრო ეზღაპრება თუ ეზღაპრულება, მათი ნებაა, მე კი სინამდვილე ყველა გამოგონილ ზღაპარზე აღმატებული ზღაპარი მგონია და ამ დროს მახსენდება დიდი ლევ ტოლსტოის სიტყვები, რომ როგორც კი ადექვატურად იქნება მოთხრობილი სინამდვილეში მომხდარი ამბები, გაქრება ყოველგვარი მოთხოვნილება გამონაგონზეო და ძნელია ამ სიტყვებში ეჭვის შეტანა, რადგან კარგად იცოდა დიდმა ლევმა, ანუ ლეომ, ანუ ლომმა, ანუ სიმბამ, რასაც ამბობდა, ხოლო სიმბა და კენია, ლომი და აფრიკა ისევე განუყრელია, როგორც ვეფხვი და ინდოეთი, თუმცა ჯერ ლომისა და კენიისა უნდა ვთქვა, რადგან ახლა ნაირობის აეროპორტში ვზივარ და ემირატების რეისს ველოდები დუბაისკენ, ანუ არაბეთისკენ, სადაც ოდესღაც იყო როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი, მორჭმული, მაღალი, მდაბალი და ასე შემდეგ და სხვა ძე არ ესვა მეფესა და გაამეფა თავისი ქალიშვილი, ლეკვი-ლომოსა-სწორია პრინციპით, თუმცა, დიდბრიტანეთის მეფისაგან განსხვავებით, საამისოდ სიკვდილი არ დასჭირვებია და მე კი მოვკვდი ამდენი ლოდინით ნაირობის აეროპორტის რამდენიმედან ერთ მოსაცდელ დარბაზში, რომელიც მართლა უკაცრიელია, რადგან ჩვენ რომ მოვედით, უახლოეს რეისამდე მთელი 6 საათი იყო დარჩენილი, ჩვენს რეისამდე ცულაც 8, ხოლო ასე ადრე იმიტომ მოვედით, რომ წინა დღეს აფრიკული საფარიდან დაბრუნებისას სწორედ იმ გზაზე, რომელიც ნაირობისა და მომბასას აკავშირებს და რომელსაც ვერ ავცდებოდით ნაირობიდან აეროპორტისაკენ მომავალნი, კოკისპირული წვიმისა და გზის უთავბოლო რეკონსტრუქციის გამო ისეთი საცობი იყო, ნახევარი საათის გზას სამი საათი მოვუნდით და ამიტომ დღეს ადრიანად დავიჭირეთ თადარიგი, მაგრამ რაკი დღეს, 1 დეკემბერს, კვირაა, მოძრაობა შედარებით თავისუფალი იყო და ვართ ახლა ცარიელ აეროპორტში და კაცი არაა ჩვენი პატრონი და რაც გინდა ჰქენი — თუნდაც ტერორისტული აქტი მოაწყე, თუმცა ამერიკის საელჩოს ამფეთქებელ კენიაში ტერორისტული აქტით ვერავის გააკვირვებ, მე კი ამ საპასუხისმგებლო საქმეში არავითარი გამოცდილება არ გამაჩნია, ამიტომ ვზივარ და ამ ტექსტს ვწერ, ისე როგორც მეწერება და თან ვცდილობ, არაფერი მნიშვნელოვანი არ გამომრჩეს და რაკიღა ვხედავ, რომ სათქმელის ძირითადი ნაწილი უკვე მითქვამს, ვცდილობ, სადმე წერტილიც ჩავაკვეხო, რათა ირაკლი რედაქტორმა და მკითხველმა არ იფიქრონ, რომ ან ტექსტის წინადადებებად დალაგება მიჭირს, ან აპოლინერი დამემართა, ან ულიპომ წამომიარა და ან მძიმის გარდა სხვა სასვენ ნიშანს არ ვცნობ და რომ განსაკუთრებით ვერ ვიტან წერტილს, რადგან ის ყველაზე მცირე ნიშანია ნებისმიერ დამწერლობაში, ქართული იქნება, თუ ლათინური თუ სუაჰილი, მაგრამ ჩემი ფეხები — ჰაკუნა მატატა — ირაკლი რედაქტორსაც და მკითხველსაც უნდა ვუთხრა, რომ თუმცა თითოწინადადებიანი მოთხრობა-ნოველების წერის მთელი დუჟინი გამოცდილება მაქვს, წერტილი ჩემი უსაყვარლესი სასვენი ნიშანია, გინდა ეულად იჯდეს სადმე და გინდაც გაორებული იყოს ან გასამებული, მაგრამ ცალკე დამჯდარი წერტილი მაინც სულ სხვაა, იმ თავისი ერთადერთობითა და კატეგორიულობით, რადგან წერტილი არის ყველაფრის დასაწყისი და ამავე დროს დასასრული და ყველაფერი მოქცეულია ორ წერტილს შორის, თუნდაც ეს ორი წერტილი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები იყოს, ან, ვთქვათ, ნაინიტალი და ნიერი, ან პირიქით — ნიერი და ნაინიტალი, ან გარდაცვალებისა და დაბადების თარიღები, რომლებიც ჯიმ კორბეტის შემთხვევაში 1955 და 1875 წლებია და ჩვენი ვეფხვისტყაოსნის ამბავი სწორედ მისი გარდაცვალებიდან და საფლავიდან იწყება და ჩვენი აფრიკული მოგზაურობაც გარდაცვალებით დაიწყო და ჯოზეფმა, ამ მეორე ვეფხვისტყაოსანმა, დედამისის პანაშვიდზე მითხრა, მამაჩემი 49 წლისა გარდაიცვალაო, ჩემი ძმა 59 წლისაო, ბებიაჩემი 79 წლისა და აგერ, ახლა კიდევ დედაჩემი 89 წლისაო და ბოლოცხრიან რიცხვთა ამ რიგში 69 წელიღაა დარჩენილი და მე ალბათ 69 წლისა უნდა მოვკვდეო და ჯოზეფის ამ ნუმეროლოგიურ მისტიკაში მე სიკვდილის შიში კი არა, ყველაფრის ვერმოსწრების შიში დავინახე, რადგან მართლა ძალიან ძნელია, 69 წლამდე მოასწრო ყველაფერი, როცა უკვე 65-ისა ხარ და იმდენი გაქვს გასაკეთებელი, დარვინს ალბათ არც კი დაესიზმრებოდა, მაგრამ მე სულაც არ მგონია საფუძვლიანი ჩემი მეგობრის შიში და არც ის მიმაჩნია ბოლომდე გამართლებულად, რომ კენიიდან დროზე ადრე წავიდა თავის ნინოსთან ერთად თავიანთ კენგურუებიან კონტინენტზე, აქაოდა, ავად ვარო და შეგვატოვა მე და ნინო სპილოებსა და ჟირაფებსა და ლომებსა და ზებრებსა და აღა ხანის ზღაპრულ სასტუმრო „სერენას“ იმ შუა სავანაში, სადაც ისე თავისუფლად მიმოდიოდნენ ზოოლოგიის უხვად ილუსტრირებული სახელმძღვანელოდან გადმოსული ეს ცხოველები, თითქოს ცხოველები კი არა, ცხოველების როლების შემსრულებელი მსახიობები ყოფილიყვნენ და თითქოს მათ გარშემო ეს ამდენი ფოტომონადირე არ ირეოდა, რომელთა შორის მე და ნინოც ვიყავით, და ჩვენც გამალებული ვაჩხაკუნებდით ფოტოკამერებს და ვცდილობდით, ყველა და ყველაფერი ჩაგვეტია პატარა ელექტრონულ ჩიპებში, მაგრამ ამას, რა თქმა უნდა, ვერ ვახერხებდით, იმდენი მშვენიერობა იყო ირგვლივ, და ვინ იცის, რამდენჯერ ვინატრე ის ჩემი ბავშვობისდროინდელი ფანტასტიკური გამოგონება, როცა ფოტოების გადაღება თვალის ერთი ჩაპაჭუნებით მოხდებოდა, თუმცა ვერც ეს გამოგონება დაიტევდა ნადირ-ფრინველთა უთვალავ ფერს, მაგრამ ეს სიმრავლე არაფერი გახლდათ იმ ჟრიამულთან შედარებით, რომელიც თურმე აქ ცხოველთა მიგრაციის დროს ატყდება ხოლმე, როცა ცხოველები ისე ფარავენ აფრიკის მწვანე ბორცვებს, როგორც რუსთავიორის მიერ გაბევრებული მიტინგის მონაწილენი პარლამენტისწინა მოედანს თბილისში, ხოლო ეს აფრიკის მწვანე ბორცვები, რომლებიც ოდესღაც მხოლოდ ჰემინგუეის წიგნის სათაური იყო ჩემთვის, ახლა გაცოცხლებულიყვნენ, ირგვლივ შემომწყობოდნენ და ჩემი აპარატის ობიექტივი და ჩიპი მთლიანად გადაემწვანებინათ და გადაევსოთ, ისე რომ სპილო კი არა, სპლიყვიც ძლივსღა ეტეოდა, ხოლო ჟირაფს ის წაგრძელებული კისერი სულაც კადრსგარეთ რჩებოდა და საშველად დედაჟირაფს უხმობდა, რომელმაც არ იცოდა, რომ მის შვილს ეს სახელი — ჟირაფი — მე დავარქვი სპლიყვის ანალოგიით, რადგან, ინტერნეტის თანახმად, ჟირაფის შვილს თითქოს ბოჟიკი კი ჰქვია, მაგრამ ეს სიტყვა არც ერთ ლექსიკონში არ დასტურდება და არავინ იცის, საიდან გაჩნდა, ხოლო მისი ხსენებისას უწინ ცნობილი უნგრელი ფეხბურთელი ბოჟიკი გაახსენდება ადამიანს, პუშკაშის, ჰიდეგკუტის და გროშიჩის თანა(დიდ)გუნდელი, ვისაც, ჩემი ავსტრალიელი მეგობრის მსგავსად, ჟოზეფი თუ იოჟეფი, ანუ იოსები ერქვა და ვისაც გვარსა და სახელში თითო ქართული ჟ-ს გარდა არანაირი კავშირი არ ჰქონია ჟირაფთან, რომელიც იოჟეფ ბოჟიკამდე არავის უნახავს საქართველოში, თუ ფიროსმანს არ ჩავთვლით, რომელმაც კაცმა არ იცის, სად, როგორ და რა ფორმით ნახა ბუნების ეს უეგზოტიკურესი ქმნილება, რომლის რამდენიმე წარმომადგენელი იმ დღეს დეკორაციასავით მიწებებოდა კენიის ცას და გულგრილად გაჰყურებდა ანცად მოზიმზიმე ზებრებს, რომლებიც თავიანთი ფერებითა და მოხატულობით მე პირადად ყველაზე ლამაზ და ყველაზე შთამბეჭდავ ცხოველებად მიმაჩნია იმავე ჟირაფებთან, ლეოპარდებთან, ოკაპებთან და, რასაკვირველია, და რაც მთავარია, ვეფხვებთან ერთად, რომლებიც, როგორც ცნობილია, აფრიკაში არ არიან და თუ ინდოეთის გარდა სადმე არიან, მხოლოდ ფოტოების, ფიტულების ან ტყავის სახით, როგორც, ვთქვათ, ჩემი ტექსტისთვის იმთავითვე შეგულებულ ბრაიან ვოლკის იმ ფოტოზე, რომელიც 2015 წლის 10 აპრილს დალასშია გადაღებული და რომელზეც ფოტოაპარატს უცხო მოყმე ვინმე აღუბეჭდავს, რომელიც ვეფხვის ტყავზე დადებულ წიგნს ჩასჩერებია და თუ ვისმეს აინტერესებს, ვინ არის ეს უცხო მოყმე, ვისია ის ტყავი ან რა წიგნს კითხულობს უცხო მოყმე, ანდა ვინ არის ბრიტანეთის სამეფო ოჯახის ზემოთ უკვე ნახსენებ ოფიციალურ საქორწინო ფოტოზე აღბეჭდილი ის უცნობი ქალბატონი, ვეფხვისტყაოსნის მომდევნო ფრაგმენტ(ებ)ს ან ჩემს ერთწინადადებიან ნოველებს უნდა დაელოდოს, ისე როგორც ვეფხისტყაოსნის მკითხველი ელოდება უცხო მოყმის ვინაობის დადგენას, რასაც ესოდენ ბრწყინვალედ აკეთებს ავთანდილი და რაკი ავთანდილი ვახსენე, აქ არ შეიძლება არ გავიხსენო ავთანდილ მერაბაშვილი, სამხრეთ ამერიკაში გადახვეწილი ქართველი ემიგრანტი, მკვლელი, მილიონერი და ქველმოქმედი, რომელმაც გუტსავო დე ლა ტორეს ესპანურად ათარგმნინა ვეფხისტყაოსანი და რომელმაც ბუენოს-აირესსა და სანტიაგო-დე-ჩილეში ვიკტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის განკითხვათა“ რამდენიმე ტომი გამოსცა და ამ საქმეებით შეეცადა, სამაგიერო პატივი მიეგო რუსთაველისთვის, რომელმაც იგი სიკვდილს თუ არა, მრავალწლიან პატიმრობას გადაარჩინა 1926 წელს, როცა მან გრიგოლ ვეშაპელი მოკლა პარიზში რამდენიმე გასროლით, თუმცა ეს ვრცელი თემაა და მას ვეფხვისტყაოსნის რომელიმე მომდევნო ფრაგმენტში მივუბრუნდები იმ სხვა თემებთან ერთად, რომლებიც ამ პროლოგში მეტ-ნაკლებად მოვნიშნე და რომლებიც მომავალში ფართო და საფუძვლიან გაშლას ელიან, ისევე როგორც ელიან პუბლიკაციას ჩემი ერთწინადადებიანი ნოველები თუ მოთხრობები, მაგრამ არავინ იცის, დამიბეჭდავს თუ არა მათ ირაკლი რედაქტორი და თუ არ დამიბეჭდა, დამიბეჭდავს თუ არა მათ შოთა რედაქტორი ან თუ ამანაც არ დამიბეჭდა, დამიბეჭდავენ თუ არა მალხაზ და შადიმან რედაქტორები და თუ ამათაც არ ქნეს, დამიბეჭდავს თუ არა მათ ვანო ახალრედაქტორი და თუ ამანაც არაო, დამირჩება 12 წლის თუ 12 დღის ნაშრომ-ნაწერი გამოუქვეყნებელი და ის იქნება, მაგრამ ამასაც არა უშავს — სადაც ის იმდენი დაუბეჭდავი, დაე, ესენიც იქ იყოს, ოღონდ კი ეს ტექსტი, რომელიც ვერა და ვერ დავასრულე, ირაკლი რედაქტორის მონიშნულ ორ გვერდში ჩაეტიოს და თუ ვერა, ირაკლი რედაქტორს ვთხოვ, აიღოს ის ერთადერთი წერტილი, რომელიც ამ ტექსტს ადრე იქნება თუ გვიან, არ ასცდება და სადაც უნდა, იქ დასვას, ვთქვათ, აი, აქ.

ჯუანშერ ტიკარაძე

* * *

დაბერდა და დაპატარავდა დედაჩემი...
დაბერდა და დაპატარავდა
საქართველო.

* * *

ჰა,
შორიდანვე მოჩანს მისი ანალანდი,
მიტაცებულ ცას ელექტრონის ცივი დაფიონით შენთებული
და უსუსური ვარსკვლავების დამბნელებელი.
შორიდანვე,
შორიდანვე იგრძნობა ის,
როგორც იგრძნობა აღსასრული დაბადებაში
ან როგორც ახალგამოჭედილ სატევარზე იგრძნობა
ხვალინდელ დღეს დაღვრილი სისხლი,
და ფხაჭნის წამით ყურთასმენას რომელიღაც უცაბედი ხმა
(*რა ხმა იყო ეს ამოზრდილი აღარყოფნის ლურჯი ძრწოლიდან?*
ან უმიწაწყლო მდუმარებას რატომ ბადებდა?)
და მისი ექო გავეშებული უძლურებით ეხეთქება სხვა სამყაროს უხილავ ჭიშკარს,
ხოლო ამქვეყნად
სიზმრების დრეკად ბუნკერებში შერეკილ ვნებებს
აგიჟებს,
როგორც მეხთატეხა
ძველი რადიოტრანზისტორის ხრინწიან ტალღებს...
სძინავს ახლა ფიქრს. გზებსაც სძინავთ. სძინავთ ლეგენდებს.
განადგურების დაუცხრობი და ცხარე ჟინი, ჟინი სიძვის, გაძღომის ჟინი,
ბედნიერების შხამიანი მოლანდება, ვერცხლის წყურვილი,
ხორცის ლოცვებში მბორგავი სვე, კერპების წყევლა,
უკვდავების შემშლელი ნდომა, ჰაერი ფუჭი — მოხვეჭილი, მოსახვეჭელი,
მზეების ლიბრი, მზვაობრი ზმანებები, შური და ბოღმა,
ეპიდემიები —
ერთმანეთის წუთხს შეზელილი უარსო მასად,
მათრობელა და მწველი წუნწუხი —
აპოკალიფსის ცეცხლზე შედგმულ ქვის ამ გობში ზანტად ბუყბუყებს.
და დროა, დროა!..
აი, მიჰყვება რუტინულ ხვედრს არსებობის დასავალისკენ
მდინარის ფერმიხდილი კალაპოტი
(*ბიუსტჰალტერის ბრეტელის ზოლი ნამზეურზე*)
და თითქოს ამ მდინარისვე წიაღიდან ამოდის ამმდინარისვეფერი ჩვილი რიბირაბო
და ნება-ნება ედება ყოველდღიური სასწაულის მომლოდინე ქვეყნიერებას:
დარცხვენილი ეოსის ვარდისფერი თითები ილანდება ჯერ,
მერე — ასფალტსა და რკინა-ბეტონში განამარხებული გიგანტური ქმნილების
კონტურები,
უნაყოფო ცა და ნამუსახდილი მიწა,
ერთმანეთს მიჯრით მიხორხლილი უსახური მასივები,
და წამით, წამით,
ვიდრე მომაკვდავი ღამის კონვულსიებში ახალი დღე კიდევ ერთხელ დაიბადება,
ვიდრე ამოსაწვერი მზის პირველი ათინათი
მაცდურ მირაჟებს ააცეკვებს ფანჯრის რაფებზე
და ატყდება უმისამართო სრბოლა და ბორიალი,
წამით, წამით,
ამ ერთი წამით ყუჩდება და იყინება ყველაფერი
და განწირული იმედების უსაშველო და ნაჩვევი სევდა ეშლება მოდარაჯე თვალს
კერპებისა და დემონების სიმაღლიდან...
ეს ქალაქია.

* * *

აურიკინე ბიძია რომ ილეოდა —
სულისა და ხორცის გაყრის ჟამს,
სამყაროსა და საჩრდილოს მიჯნაზე —
თავადაც ვეღარ გაიგო,
ვის ჰკითხა უკანასკნელად
(აქ დასარჩენ ქვეყნიერებას?)
თუ პირველად
(უხილავი სარკიდან გამოსულ სიკვდილს?)
აჩემებული,
საძულველსაყვარელი,
მის ლანდს, სახელსა და კაეშანს შეზრდილი სიტყვები:
აურიკინე, ბიძია?!

სტუმრები

„როგორიღაც იყო ჩვენი ერთმანეთთან შეხვედრა, დღემდე ვერ გამომირკვევია“.
ლადო აღნიაშვილი, „სპარსეთი და იქაური ქართველები“.

შარა,
მტვრიანი და მოსაწყენი,
ზემოთ და ზემოთ,
ფერდობზე შეფენილი სოფლისკენ მიიკლაკნებოდა.
უახლოესი დაბიდან დილაბნელზე გამოსული მოგზაური
ამ შარაზე ცხენს უხალისოდ მიაჩიქჩიქებდა.
სოფლის განაკიდეს,
წყაროსთავს,
ქალები დამსხდარიყნენ და ჭურჭელს ავსებდნენ.
გზისპირს ხორბლის ყანა გასდევდა ლამის პირველ მოსახლემდე.
ყანაში ორი გლეხი მუშაობდა:
ერთი ყანისკენ წყალს არუებდა,
მეორე ბარავდა.
ამასობაში მზე ნელა-ნელა აიწია შუბისტარისკენ
და ჯერაც დათოვლილი მთების ჩრდილს კალთები ფაქიზად აუკეცა.
დათბა, ცოტა ჩამოცხა კიდევაც.
თანდათან მარტოხელა მოგზაურიც მოახლოვდა.
იქაურს არ ჰგავდა,
ფარანგი საჰაბივით[1] ეცვა.
დამრუებელმა ბოლოჯერაც მოჩიჩქნა მიწა,
მერე ბარი მხარზე გაიდო,
მოგზაურს ერთი ალმაცერად გახედა წამწამქვემოდან
და ყანაში მომუშავეს გასძახა ძალიან მაღალი ხმით:
— *ბიჭო, ეიჰ! იადოლლა! იადოლლა!*
იადოლად ხმობილმაც ხელი ასწია,
ვითომდა მესმის და თქვი, რა გინდაო.
— *რა უყავ, ბიჭო, ი ჩვენი ვირი?*
— *შენ რაით გინდა? შინ არი.*
— *როგორ არ მინდა, პური უნდა წავიღო წისქვილში.*
— *ჩვენ გომშია, წადი და წაიყვანე.*
მოგზაურმა სადავე მოზიდა და მკვეთრად შეაყენა ცხენი.
ისეთი სახე ჰქონდა,
უეცრად თავბრუ რომ დაგეხვევა
და დროსა და სივრცეში რომ დაიკარგები.
მერე ხელი შუბლზე მოისვა,
თითქოს ეძინა და ახლაღა გამოფხიზლდაო.
ბიჭო, ეი! — დაუძახა დამრუებელს, — *შენ ვინა ხარ, გურჯი ხარ?*
დამრუებელს ყბა ჩამოუვარდა გაოცებისგან.
იდგა ასე
და მოგზაურს თავზარდაცემული მისჩერებოდა,
ვიდრე მეტყველების უნარს დაიბრუნებდა:
— *ჰო, გურჯი ვარ. შენ თვითონ კი ვინა ხარ? ჩვენებური საიდან იცი?*
— *მეც გურჯი ვარ, გურჯისტანიდან მოველ თქვენს სანახავად.*
— *იიი, გურჯი კი არა!!!*
— *ჰო, მართლა გეუბნები.*
— *მაშ, გურჯი ხარ?!* —
ხმა და თვალები აუწყლიანდა დამრუებელს
და ყანაში მომუშავეს ხელით ანიშნა,
აქეთ წამოდიო.
ქალებიც წამოხტნენ,
წყლის ჭურჭელი იქვე დაყარეს
და სოფლისკენ გაიქცნენ ფართხაფურთხით;
მირბოდნენ და ყველა გამვლელ-გამომვლელს ამცნობდნენ აქოშინებულები,
უცხო სიხარულით სახეალეწილები, —
ჩვენი ძველი მოდისო,
გურჯი მოდის გურჯისტანიდანაო!..
მოგზაური სოფელში რომ შევიდა,
გზაზე აუარებელი ხალხი გამოფენილიყო,
ქალი და კაცი,
დიდი და პატარა აქეთ-იქიდან მისძახოდა, —
აჰვალი[2] როგორა გაქვსო?
სალამ!
ჩაღი[3] როგორა გაქვსო?
მოგზაური ყველას თავს უკრავდა და მადლობას ეუბნებოდა,
მერე იკითხა, —
ალი მირზა ხანის სახლი რომელიაო?
შინ არ არის, ჰოქემთან[4] წავიდაო! — ყველამ ერთხმად მიაყვირა,
ვინაც კი კითხვა გაიგონა.
მაშინ ხოდარამ ხანის სახლი მიმასწავლეთო, — ითხოვა მოგზაურმა.
ორი-სამი კაცი წინ წაუძღვა,
დანარჩენები აქეთ-იქიდან ამოუდგნენ,
უკანაც მიჰყვნენ
და ისე შეიყვანეს ხოდარამ ხანის ეზოში,
როგორც ყეინი ბერიკაობაზე.
იმდენი გურჯი მოგროვებულიყო,
სულ გაეჭედათ ეზო, ბანი და დერეფნები.
მასპინძელი შეშინდა,
ემანდ სახლი არ დამიქციონო,
და როგორღაც უიმედოდ სთხოვა ხალხს,
ჩამოდით,
თორე ბევრნი ხართ და ბანი ჩამოწვებაო,
მაგრამ ყურიც რომ არავინ შეიბერტყა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანაც ჩაიქნია ხელი და ბედს მინებდა.
მერე სიჩუმე ჩამოვარდა უეცრად,
მთელ სოფელში უჩვეულო დუმილმა დაისადგურა,
შეწყდა ნიავის შრიალი,
ბავშვების ჟრიამული,
ძაღლების ყეფა,
საქონლის ბღავილი,
ქათმების კრიახი,
წუთით გარინდდა ყველა და ყველაფერი —
ეს ცა,
ეს მიწა,
ამ მიწის ნაძალადევი სტუმრებიცა და მათი სტუმარიც
და მოახლოვდა თითქოს უხილავი, შორეული, დაკარგული, წართმეული,
მხოლოდ სიზმრად ნანახი
და ცხადად მოლანდებული...
და შენც სტუმარი რომ ყოფილიყავი იქაურობის,
უხორცო და წამიერი სტუმარი,
ერთი შეხედვითაც შეატყობდი ამ სიჩუმეში,
დამხვედრ-ჩამოსულთ გული როგორ ძალუმად უძგერდათ და უტოკავდათ.
სამასწლიანი სიმარტოვისა და უთვისტომობის ამბავს ჰყვებოდა გული.
ჰყვებოდა ქართულად,
უბრალო, სადა,
ახალენაადგმული ბალღისთვისაც გასაგები სიტყვებით.
ისე ჰყვებოდა,
როგორც მხოლოდ გულს შეუძლია
ტკივილისა და სიყვარულის მოყოლა ამ სამყაროში.

---

[1]ფარანგი — უცხოელი, ევროპელი; საჰაბი — ბატონი.
[2]აჰვალი — ჯანმრთელობა.
[3]ჩაღი — გუნება.
[4]ჰოქემი — გამგებელი, მოურავი.

* * *

გამშრალი ცრემლი,
დაშრეტილი ხმა,
მხრებში შემდგარი შინაურები...
ვინ გაიგებს უკვე ოთხმოცდაათს მიღწეული დედის ტკივილს,
იმქვეყნად შვილიც კი რომ გაასწრებს.

* * *

ღამდება მზე და თენდება მთვარე.
დროა, დრომ ქენჯნა ცეცხლით დაღაროს.
შემომაშველე ვაზნები, თორემ
მე შევასკდები შუბლით სამყაროს.
ო, იფშვნებიან სიზმრები, — Ole! —
მაგრამ სიკვდილიც სხვაგან დამალეს.
მიდის გზა, ვნების რჩება სიმდორე,
ღამდება მზე და თენდება მთვარე.

* * *

ჯერ მეგონა, რომ *მე* არასოდეს დავბერდებოდი.
მერე — არასოდეს მოვკვდებოდი.
მერე მეგონა, რომ *მე* ხელახლა არასოდეს დავიბადებოდი.
მერე — არასოდეს დავბერდებოდი.
მერე...

გადამეხდება

გადამეხდება შენს ძუძუზე ხალის კოცნისთვის.
გადამეხდება ცრუ სიზმრების დარგვისათვის ქალაქის გულში.
გადამეხდება ეჭვებისთვის, დანანებისთვის.
გადამეხდება მითვისებული ჰაერისთვის, მიტაცებული მთვარისათვის,
მოპარული იმედებისთვის.
გადამეხდება უთქმელი და ნათქვამი სიტყვებისთვის.
გადამეხდება დილის ძილისთვის, ზამთრის მზეში გარინდებისთვის
და თრობისთვის გადამეხდება.
გადამეხდება სიცოცხლისთვის.
გადამეხდება.

მცველები

ახალდაღამებულზე,
როდესაც ჩავლილი დღის ანათრთოლი ჯერაც ხრჩოლავს მთვარის საკირეში
და იძინებს სოფელი,
იძინებს სოფელი და იღვიძებს სოფლის სასაფლაო.
— გაიღვიძე, ადამიანო, —
დეიდაჩემიც ეუბნება ბიძაჩემს, —
დაღამდა.
ბიძაჩემი წამოჯდება და თვალებს მოიფშვნეტს.
მთვარის თითებით ბაცად მოხაზული ძველებური ოდა მოჩანს ხევს გაღმა,
კიდევ — ერთი თითის დადება მდელო ოდის წინ
და ვეება ურთხმელის ეული სილუეტი მდელოს ბოლოში.
მოჩანს გორაკებზე გართხმული კუნაპეტი —
ბახმაროდან ადამიანების ნამოსახლარებისკენ დაძრული ტყე —
აგერ ჩატუეს ეზოზეც გადაუვლია უკვე
და რა შეაჩერებს?
აქ წვანან ახლა ყველანი —
მაშინდელი და ამჟამინდელი მეზობლები —
ჩატუეც, კოსოლიეც, ზინაიეც, გოდოიეც,
აქ,
ამ მიწაში მიწადიფშვნება მათი ძვლები და ნასიზმრალი მოგონებები,
აქ იღვიძებენ ღამღამობით მათი აჩრდილები,
მათი ნაგრამი კი რკინა-ბეტონის და ასფალტის აჩრდილებს ასდევნებია...

— გუშხამ იყო, — იწყებს ბიძაჩემი,
მაგრამ დეიდაჩემი აწყვეტინებს:
— ნუკრიეს დავესიზმრე წუხელ,
ბაღანეს ფარცაგი რაცხა არ შეემთხვას.
— ბაღანეს! — აჯავრებს ბიძაჩემი,
სულ აღარ ახსოვს, გუშხამ რა იყო, —
მაგხელა მე აგერ, ა, აქანე ვიწეი უკვე, კონცხოულაზე!
— მოგესპო გარდაცვალება! — გაგულისებული მიაწყევლის დეიდაჩემი,
მაგრამ ვერ აღწევს ბიძაჩემამდე თანამესამარის წყევლა —
იქამდეც გვარიანად აკლდა ყურს
და ახლა უკვე თავისი ნაფიქრალიც ძლივს ეყურება,
თან უსაშველო ხმაზე ღრიალებს ჭკუიდან გადასული კალაშა,
ატალახებული მიაგორებს წამოქცეულ ხეებს და ლოდებს —
ხუთი დღე-ღამე წვიმდა და მხოლოდ საღამოსპირს გადაიღო
და მერე მთვარეც ამოვიდა.
— ლამარა! ლამარა! — ეძახის ვიღაც დეიდაჩემს სასაფლაოს ბოლოდან.
— მობრძანდი! რომელი ხარ?! — ეპასუხება დეიდაჩემიც.
— ბაბილინე ვარ მე, ბუკისციხიდან,
ჩემს ნანაიეს შემოვუარე, რავარც იქნა,
ხომ იცი, აქანე მყავდა გამოთხოვილი!
— ჰო, ბაბილინე!
— სონიეს ჟივლერიე რომაა, სამებისელი, იგი იყო ჩემს გოგილესთან გამოსული!
— ხომაა მშვიდობა?!
— დედაშენს შემოუთვლია,
მნახოს,
სანამ მეც მამაშენივით სულ ჩავიფშვნებოდეო!
— მადლობა, ბაბილინა, შევუვლი ამ ღამეებში! — გასძახებს დეიდაჩემიც
და მერე ბიძაჩემს მიუტრიალდება, —
წამყობი?
გეიარ-გამეიარ, პაწა ფეხს გაშლი.
თვარა წევხარ სულ აქ, სიზმრადაც არავის ენახები...
გეყურება, ადამიანო?! —
მაგრამ ბიძაჩემს არაფერი ეყურება.
ცალი ხელით სახეს იჩრდილავს,
მთვარის შუქმა თვალი რომ არ მოსჭრას
და გაფაციცებული მისჩერებია კალაშას გაღმა თავის ეზო-კარს,
სადაც სამზადში შუქი ინთება,
მერე კი ეზოში მათი უმცროსი ვაჟიც გამობორიალდება:
წითური თმა კიდევ უფრო შეთხელებია და გაჭაღარავებია,
ლოყები ჩასცვენია და თვალებიც კიდევ უფრო ღრმად შემალვია ფოსოებში.
თუ კარგად არ დააკვირდები,
ვერც მიხვდები, ოდნავ რომ კოჭლობს —
ამ ოციოდე წლის წინ მოჭრილი წიფელის ქვეშ მოჰყვა
და ფეხი ბოლომდე ვეღარც მოირჩინა.
— რამ გააღვიძა? — შეწუხდება დეიდაჩემი, —
კუჭს აიტკიებდა ისევ! — და აქოთქოთდება აპილპილებული, —
ვეუბნებოდი,
წაი ქალაქში, მიხედე თავს-თქვა,
ძმაი არ ჰყავს იქინე თუ დაი,
ჯუკიეც იქ არ არის?
დაახვევდა ექიმებს,
მარა უკუღმართია მაიც შენსავით, —
ჩაიქნევს ხელს გარდაუვალს შეგუებულივით და გასძახებს გაღმა ნაპირს:
— ტარიელა, ტარიელა, უუ!.. ტაია, ბიჭო! —
ტარიელი მოწყვეტით გაჩერდება და მთელი ტანით დაიძაბება,
თითქოს მდინარის გაავებულ ყეფაში შორეული დაძახილი მოეყურაო —
მტკივნეულად ახლობელი და დავიწყებული,
დაბადებაზე ადრეც, გაუხსენებელი წლებიდან წამოსული —
და ეჭვით გახედავს კონცხოულას თხემს,
მერე მოეშვება,
ორ ნაბიჯსაც გადადგამს,
კუნძზე დასობილ წალდს ამოაძრობს და ხავსმოდებულ თხემლას მიაყუდებს,
მერე ჩამოჯდება თვითონ იმ კუნძზე,
თუთუნს ამოიღებს, გაახვევს, მოუკიდებს...
მოთვინიერებულ მოლანდებებს ბლანდავს მთვარიან ჰაერში თამბაქოს კვამლი.
მთვარიან ჰაერში ჩნდებიან და ქრებიან ადამიანები და ადამიანები
და მარტოა ახლა იგი აჟრიამულებულ მოგონებებში
და ამ უჟამო, გასაქრობად გადადებულ სიცარიელეშიც მარტოა —
კერიის ცეცხლის შემნახავი და ყველას მაგივრად მოდარაჯე,
მიწაში ჩაშლილი წინაპრების მაგივრად,
ქალაქში გადახვეწილი ძმების მაგივრად,
შვილების მაგივრად,
რომლებიც არასდროს ჰყოლია და უკვე აღარასდროს ეყოლება...
მერე ქრება სამზადში შუქი
და ბნელდება სარკმელი კონცხოულას გორისკენ გამზერილი.
მთვარეც აღარ არის ცაზე, დაუძინია.
კალაშაც დაიღალა ღრიალით.
— გუშხამ იყო, — წაიბუტბუტებს ძილმორეული ბიძაჩემი,
ისევ წამოახსენდება როდის-როდის წამოხსენებული.
— კაი ახლა, ენად ნუ გაიკრიფე, ბერიკაცო, —
ხმაში სითბო გაერევა დეიდაჩემს, —
დაიძინე,
გათენდება სადაცაა.
მაგრამ ბიძაჩემს არაფერი ეყურება მაინც,
და რომც ეყურებოდეს, მაშინაც ვერაფერს გაიგებდა —
სძინავს უკვე.
დეიდაჩემიც ხუჭავს დიდი ხნის წინ დახუჭულ თვალებს და იძინებს.
შორს კი,
აქედან შორს,
სადღაც ბახმაროს მთების გადაღმა,
ნება-ნება იცრიცება ჰაერის და მყარის შესართავი.
მაგრამ ამას ხეებზე შემომსხდარი მამლებიც კი ვერ ხედავენ.
თუმცა მამლებს დანახვა არც სჭირდებათ.
და სანამ მესამედ იყივლებენ გარიჟრაჟის მაუწყებლად,
სძინავს იქამდე სოფელს
და სძინავს სოფლის სასაფლაოსაც.

ვაკანსია

ყველაფერი უცნაურობა მე უნდა გადამხდეს, ყველა გიჟი მე უნდა გადამეყაროს... საოცარია... გუშინ სკოლაში ვიყავი გასაუბრებაზე, უფრო სწორად, კი არ ვიყავი — ვეგდე, ხოლო რატომ ვეგდე და არა ვიყავი, ამას ქვემოთ შეიტყობთ.

ვიღაც მიკნავებული ქალი დამხვდა დირექტორი — თმაგაწეწილი, გაქუცული ქაჯი. თავიდან ადამიანურად დაიწყო, პროგრამაში თუ არ ხარ ჩართული, შენი მიღება გაგვიჭირდება, მაგრამ მაინც შეიძლება, რამე მოხერხდესო. ვერ მივხვდი, რა უნდა ყოფილიყო ეს რამე, მაგრამ მიკნავებულმა მიმახვედრა, უფრო სწორად ამიხსნა, ეს რამე იყო ჩემი დასაქმება არაოფიციალურ სამსახურში. როგორც მიკნავებულმა მითხრა, სკოლაში ლიტერატურული თეატრის დაარსებას აპირებდა.

— მოკლედ, შეგიძლიათ, თითო ბავშვს ათი ლარი გამოართვათ... თუ ათი ცოტაა? ოცი იყოს... ოცი ლარი. წარმოიდგინეთ, რაც მეტი იქნება, მით უკეთესი, მაგრამ ამდენ ბავშვს ხომ უნდა დაკავება!

სხვა დროს შეიძლება, დავთანხმებოდი ასეთ შემოთავაზებას და, კაცმა რომ თქვას, თითქოს გასაკვირი და უცნაური არც არაფერია, მაგრამ ისეთი სკოლა იყო, ისეთი უცნაური და მოუსვენარი ბავშვები დამხვდნენ, რას მოვახერხებდი — ძალას გამაცლიდნენ, დამაოსებდნენ.

პირდაპირ უარი არ მითქვამს, დავაცადე, რას მეტყოდა. აი, მერე რაც მითხრა, ეს გახლდათ სისულელისა და იდიოტიზმის უმაღლესი გამოვლინება. ქალმა მითხრა, არ ვიცი, კოსტიუმები, გრიმები გექნება თუ არაო.

— აბა, რანაირი თეატრია?—ვკითხე გაოცებულმა.

— ლექსებს წააკითხებთ, პოეზიის საღამოებს ჩაატარებთ. რა, ცუდია? თუმცა შეიძლება, კოსტიუმებიც მოხერხდეს. მოხვალთ კვირაში ორი დღე...

აქ უკვე აღარ დავასრულებინე. ვთხოვე, გაჩუმებულიყო და ჩემთვის მოესმინა. ვუთხარი, ის, რასაც თქვენ მეუბნებით, სრული აბსურდია-მეთქი. ის კი ისე მისმენდა, ისე მისმენდა, ღმერთო ჩემო... ვერც შეამჩნევდით, მისმენდა თუ ესმოდა, ყურადღებას არც აქცევდა ჩემს საყვედურებსა და მოთხოვნებს, მაინც თავისას მიერეკებოდა.

— ქალბატონო, სჯობს, წავიდე! — ვუთხარი და ავდექი.

— მოიცადეთ, — მითხრა ქალმა.

თავის მდივანს ჩემი ინფორმაციის მოტანა სთხოვა.

შემოვიდა ოთახში ვიღაც მშიერი ბოლოქანქარა ყვითელი კაბითა და ჩაწითლებული თვალებით. სიფრიფანა ხელებით მიკნავებულს ფურცელზე ამობეჭდილი ჩემი ინფორმაცია, ეგრეთ წოდებული სივი, ჩაუფრიალა და გავარდა. მიკნავებულმა კითხვა დაიწყო.

— ესა და ეს, დაბადებული აქა და აქ, ამა და ამ ადგილას მუშაობდა! კარგია, ბრწყინვალე! მოკლედ, გადაწყდა! ჩემი მიზანია, ბავშვები დაუბრუნდნენ ლიტერატურას, თეატრს, ხელოვნებას! პირველ დღეს ვის მოიწვევთ? მოდი, რაჟდენ კვახაძე მოიწვიეთ. ძალიან მიყვარს რაჟდენი, საოცარი რეჟისორია, ბრწყინვალე ადამიანია. მოკლედ ასე, პირველად მოვიწვევთ რაჟდენს, მაგრამ მეორე? მეორე ვინ გყავთ გუნებაში?!

დედას გეფიცებით, ერთი ხანობა ვიფიქრე, გიჟია-მეთქი და შემეცოდა კიდეც საყვედურის სათქმელად, მაგრამ თავი ვეღარ შევიკავე და ვუთხარი, რისი ღირსიც იყო.

— ქალბატონო, მე მომწვევი გახლავართ? შიკრიკი ვარ? თუ მოწვევა შეგიძლიათ, მე რაღად გინდივართ? თუ მე ვარ, მე ვიყო, თუ რაჟდენია, რაჟდენი იყოს. გეუბნებით, ორი დღე ცოტაა, ბავშვებს ფული რაში გამოვართვა? რამე ხომ უნდა ვასწავლო? ამას გარდა, რას ნიშნავს თეატრი? სცენას, კოსტიუმებს, მუსიკას; მოკლედ...

ჯერ მშვიდად მისმენდა, მერე უცებ წამოჭყიტა თვალები, გაქუცულთმებიანი თავი ჩემკენ გადმოსწია და ჭუჭყიანი ვირთხა მიწოდა. ეს არ იკმარა, მუშტიც მომიღერა. მეგონა, დამარტყამს-მეთქი, მაგრამ გადაიფიქრა, თვალები მათრახივით დაატრიალა გარშემო და მიბრძანა, კაბინეტიდან გავთრეულიყავი.

მიკნავებულს ჩემი ინფორმაცია ხელიდან გამოვგლიჯე, დავხიე და ნაკუწები კაბინეტში მოვფანტე...

სახლში მისულს არავისთვის მომიყოლია, სადაც ვიყავი, უგუნებობა მოვიმიზეზე და მთელი საღამო ჩემს ატმის ხეებთან გავატარე ლიმონიანი ჩაის ჭიქით ხელში.

გვიან ტელეფონის ზარმა წამართვა ყურადღების რამდენიმე წამი. ის იყო, ის გადამხრჩვალი იდიოტი. ვერც წარმოიდგენთ, ისეთი რამ მითხრა.

— გრიმებში არის ხარისხი? — მკითხა ისეთი ტონით, თითქოს არც არასოდეს გვეჩხუბოს და ალერსიანი ხმით ჩაიხითხითა.

მუქარა

შუაღამეა. სუსტად განათებულ ოთახში ფანჯარასთან ორი გამხდარი კაცი ზის გაშლილ სუფრასთან. სუფრა ღარიბულია — მხოლოდ კიტრის მარინადი, თევზის კონსერვი, შავი პური და იაფფასიანი არაყი დევს. ოთახში სიჩუმეა, მხოლოდ საათის წიკწიკი ისმის.

დათუა ჭიქას იღებს და თედოს ეკითხება:

— სად გავჩერდით?

— არ მისმენ, კაცო? — კითხვას კითხვითვე პასუხობს თედო.

— როგორ არ გისმენდი, უბრალოდ რაღაცაზე ჩავფიქრდი. ეხლა რომელი საათია? ჩემს მანქანას ფარები არ უვარგა, დროზე თუ არ წაველი... — და დათუა ჩანგალს იღებს კიტრის მარინადის ამოსაღებად.

— წახვალ ხო, მა რას იზამ, დავლიოთ ჯერა. აი, რაღა დარჩა, — ამბობს თედო და თითქმის დაცლილ ბოთლს უკაკუნებს თითს.

— აი, გეფიცები სულ ორი წლის წინ უკეთ ვხედავდი, რა მამივიდა, ამის დედა ვატირე, ვეღარა ვხედავ, ბიჯო. ამ მანქანასაც აღარ დაადგა საშველი, რა ნათურები უნდა დავაყენო, რო არ გადაიწვას! მარა თენგიზას ბრალია...

ოთახში ცოტა ხანს დუმილია. დათუა ფიქრობს, რომელი თენგიზა ახსენა თედომ.

— არ ვიცი, რომელი თენგიზა? — დათუა ხვდება, რომ თედო ვერ მიხვდა, რომელი თენგიზა ახსენა.

— როგორ არ ვიცი, კაცო... — ატყუებს თედო და ხმაურით კბეჩს კიტრის მარინადს.

— ოოო... მაგას ბევრი უნამუსობა აქვს გაკეთებული, შუა გზაზე მიმიტოვა ეს მანქანაც... მოკლედ, მაგის... უნა მოვკლა, რა გეფიცები! უნა დავბრიდო! — და დათუა მუშტს ურტყამს მაგიდას.

— მერე კაცის მოკვლა ეგეთი ადვილია? ეჰ... უნამუსო ხალხს რა დალევს, შამოგევლოს ჩემი თავი. აი, რაღა დარჩა, თითოც გამოვა და ეგ არი.

— არა რა, თენგიზა უნა მოვკლა! — ამბობს ისევ დათუა.

— კარგი კაცო, რა ნახე, დადექ რა, რათ იმწარებ ლუკმას.

უცებ კარი იღება და ოთახში თედოს ცოლი, ლელა, შემოდის. ქალს ხელში ცელოფნის პარკში ჩაყრილი პომიდორი შემოაქვს და იქვე მაგიდასთან ახლოს ცარიელ სკამზე დებს.

— ცეცხლი უკიდია ბაზარს! — ამბობს ლელა, — უჰ... დათუა ყოფილა აქა. გამარჯობა, დათო! ბოდიში, რო ვერ დაგინახე, ისე ვარ დაქანცული...

დათუა ფეხზე დგება და მდაბლად უკრავს თავს ლელას გამარჯობის ნიშნად.

— რა დაგაქ, ქალო, შენ კიდე? — ეკითხება თედო და პარკიდან პომიდორს იღებს.

— დაიცა, კაცო, გავრეცხო მაინც! — ეჩხუბება ლელა და პომიდორს ართმევს.

— ნეტა შენა, რა! — ბურტყუნებს თედო და ჭიქას იღებს, — ეხლა მოდი, დავით, მშრომელ ხალხს გაუმარჯოს! — და თედო არაყს სვამს.

— მშრომელი კი არა, დამპალია ეგა. უი, თენგიზა თუ არ დავბრიდო... მაგას...

— რა თენგიზა, კაცო, მშრომელი ხალხი-მეთქი...

— ვინა? თენგიზა რისი მშრომელია, მაგას, ბიჯო... უი, რა... ეგ უნა მოვკლა!

— ვახ, კაცო, ამაიყვანე რა ყელში, მერე დაგიჭერენ, ბიჯო, გინდა ეგა? დალიე, დალიე, თენგიზა არა, ნიკიფორე. დალიე, მიდი...

— არა, შენ ვერ გაიგე, თედო. მაგას უეჭველად მოვკლავ, ციხეში წავალ... გადაწყვეტილია, ამაღამ დიდი პერესტრელკები უნდა მოვაწყო... მე გეუბნები, ძმაო, ამაღამ თენგიზა უნა მოვკლა.

— ვახ, კაცო, შარზე ხარ, რა. დამშვიდდი, კაცო, რა უნდა მოკლა, რა გინდა, მოდი რა, ტკბილად დაგვიწყია, ტკბილად მოვრჩეთ.

— ვინ უნდა მოვკლაო? — ეკითხება თედოს ლელა და გარეცხილ პომიდორს ჯამით დებს მაგიდაზე.

— არავინ, გადი! — პასუხობს უკმეხად თედო და პომიდორს იღებს.

— რა გგონია, გამბედაობა არ მეყოფა? — იჭიმება დათუა.

— ვინა თქვა, კაცო, როგორ არ გეყოფა, შე ოხერო, დღეს გაგიცანი? ხო ვიცი, როგორიცა ხარ, მაგრამ არ გინდა რა, შენი ჭირიმე, ოჯახში ვართ ჩემთან, დავლიოთ, ძმაო და...

— არა, არა! ციხეში წავალ. წავალ, პატრულს გავაჩერებ, გავარტყამ და თავს დავაჭერინებ, რა გინდა ეხლა, ვერ გავიგე, რო ვამბობ, რო თენგიზა უნა მოვკლა, ესე იგი, უნა მოვკლა. ვარ გამკეთებელი, გეუბნები!

— კაცო, ვიცი, რო ხარ გამკეთებელი, მარა არ გინდა რა, დაანებე, შეეშვი, მაგას...

— არა! — და დათუა გამეტებით არტყამს მაგიდას მუშტს, ბოთლი იქცევა და ფსკერზე დარჩენილი არაყი სუფრაზე იღვრება, — უნა მოვკლა!

— მოკალ, ძმაო! მოკალ, მიდი, მიდი, თორე მე უნდა მოგკლა, იცოდე. დავაი, მიდი. ადე ეხლავე და მოკალი! — თედო დგება და დათუას საყელოში ჰკიდებს ხელს, — ლელა, კარი გააღე, — უყვირის ცოლს.

ლელა გაუბედავად დგება, ჯერ თედოს უყურებს, მერე — დათუას, შემდეგ ცივად მიდის და კარს აღებს.

— გამიშვი, ბიჭო!—ყვირის დათუა.

— გაგიშვა კი არა, შენ განახებ მე, არ შააწუხა გული! მიდი, მოკალ. აი, აექ გელოდები. მიდი, გეუბნები!

— მივალ. ამაღამ ნახე, თუ ტელევიზორში არ ვიყო.

— გიჟია, ხალხო, ესა, გიჟია ეს ცეტი! — თედო კარს აღებს და კიბეზე ჩადის, მერე ჭიშკარს აღებს და დათუას ხელს ჰკრავს, — დავაი, მიდი, მოკალ და მოდი ისევ, ან მე მოგაკითხამ ციხეში!

თედო ჭიშკარს კეტავს, სახლში ბრუნდება. ლელა ჩუმად ზის ტახტზე დაღონებული და გაშტერებული საათს უყურებს. ასე გრძელდება ცოტა ხანს, მერე თედო წამოდგება სკამიდან, საძინებელში შედის და ფანარი გამოაქვს.

— სად მიდიხარ? — ეკითხება ლელა.

— უნდა მოვძებნო, სადმე არ წაიქცეს ის ტუტუცი.

ცუგრიტო

აგვისტოს ხვატი, სოფლის ცენტრი. ლამაზჭიშკრებიანი სახლების წინ კაკლის მაღალი ხეები დგას, ჰაერში ათასნაირი ყვავილის სურნელი ტრიალებს. ერთ-ერთი სახლის წინ ხის დიდი კუნძის გარშემო ოთხი ბიჭი ზის და კარტს თამაშობს.

უცებ საიდანღაც ნაცრისფერი კვამლი ჩნდება შორეული სივრცისკენ, ბიჭები კარტს ყრიან და კვამლს უყურებენ, მალე კვამლს ხმაური ემატება — რაღაც თუ ვიღაც საწყლად წკმუტუნებს. ბიჭები ერთმანეთს უყურებენ, არ იციან, რისი ხმაა. გადის ორიოდე წუთი და ხმაური უფრო იმატებს, კვამლიც დიდდება და ღრუბელს ემსგავსება.

სანდრო ბედავს და კვამლს უახლოვდება. ცდილობს სადღაც მიღმა გაიხედოს, ხედავს შორს, კვამლის უკან, კაცი მორბის, ხელში ჯოხი უჭირავს და ჩხუბობს.

ცოტა ხანში ნათელი ხდება ბიჭებისთვის, რომ მათ სიახლოვეს მათივე თანასოფლელი დათო მორბის, ხოლო ხვამლი თუ კვამლში გახვეული არსების ხმა ძაღლის წკმუტუნს ჰგავს.

— რა მოხდა? — ეკითხება ლექსო მიახლოებულ დათოს.

— რა მოხდა, ბიჭო, და მამაჩემი მან-

ქანას აკეთებდა, ახლოს ზეთი ედგა რკინის ჯამით, ძაღლმა გარშემო ირბინა, მერე ფეხი ჩაყო და მანქანის ზეთი თავზე გადაიმხო, ტანი ეწვის ამ საცოდავს, — დათომ დაასრულა და ღრუბელს ჯოხი დაარტყა. ისედაც შეწუხებული ცხოველი უფრო შეწუხდა, საზარლად დაიწკმუტუნა და არხისკენ გაიქცა.

— ესე რატო დაემართა? — ეკითხება დათოს სანდრო.

— მზეზე, ბიჭო!

— წყალში, წყალში! — ყვირის ლექსო და ქვას იღებს.

ყველა მიხვდა, რომ ლექსო ძაღლს არხში გადაგდებას უპირებდა, ძაღლიც თითქოს მიხვდა, რაც ელოდა და შორს გაიქცა. დაედევნენ, ასფალტზე ფლოსტების ფხაკუნის ხმა თიბვის ხმას დაემსგავსა, გავარდნენ ჩხუბითა და ყვირილით, ძაღლი დანგრეულ შენობასთან კუთხეში მიიმწყვდიეს და... მოულოდნელად სანდრომ ძაღლს პანღური უთავაზა და არხში ჩააგდო. ძაღლმა თავიდან შვებით ამოისუნთქა, თითქოს დამშვიდდა, მერე შეშინებულმა წამოყო თავი და მაღლა წამოვიდა, უნდოდა, თათი რაიმესთვის გამოედო, მაგრამ წინ მხოლოდ ბეტონი იყო.

— ბიჯო, არ დაიხრჩოს! — აყვირდა დათო, — ვაი, ჩემი ცუგრიკა, ცუგრუმელა! ჩემი ლაბრადორი! ინგლისური ძაღლია, ბიჯო! — აყვირებულმა დათომ თავში წაიშინა ხელები და მოთქმა-გოდებას მოჰყვა.

— დაიცა, დაწყნარდი, დავით! ვუშველით რამეს, მთავარია, რომ ცეცხლი აღარ წაეკიდება! — თქვა სანდრომ და არხს მიუახლოვდა, — მინდა, ქეჩოში მივწვდე, მაგრამ ჩქარა მიჰყავს დინებას! რაღა ეხლა ააჩქარეს ეს არხი!

— ნუ გეშინიათ, წელან რომ მოვდიოდი, ერთგან ნაგავი ეყარა და უსათუოდ იქ გაიხლართება! აი, ნახავ! — და გიგამ ბრძენი კაცის თვალებით გადაჰხედა ბიჭებს.

— მოიცა, ფეხს გავუწვდი! რომც მეცეს, სქელი ჯინსია და ვერ გახევს! — თქვა სანდრომ და ფეხი წყლისკენ გაიშვირა.

ლაბრადორი სანდროს შარვლის ტოტში ეცა, მერე სანდრომ ფეხი აიქნია, დათო მიეშველა და ძაღლი ასფალტზე აისროლეს. საცოდავი ცხოველი გიგანტურ ზღარბს ჰგავდა — პატარა ბეწვი ეკლებს უგავდა, შეშინებულ თვალებს საწყლად აბრიალებდა.

— გაშრება და ეგ არის! — თქვა დათომ.

— ხო, აბა, რას იზამს! — შეაგულიანა დათო სანდრომ.

— ხო, ხო... აბა... — თქვა გიგამ და ისევ ბრძენის თვალები დაატრიალა.

— ჩემი ჯინსი ნახეთ! — და სანდრომ ფეხი მაღლა ასწია, შარვალი ორგან იყო გახეული.

— უი... — შეიცხადა დათომ.

— რა უი, შენი ცუგრიტოს ბრალია, მაგრამ არა უშავს! ხვალ ჯინსის გამყიდველს უნდა ვუსაყვედურო, ფეხში თუ არავინ გესროლა, ვერაფერი გახევსო, მითხრა. როგორც ჩანს, შენს ძაღლს ტყვიაზე მკვრივი კბილები ჰქონია, დავით.

გზად

დანგრეულ „რენოში“ ვსხედვართ, მივქრივართ, მივწუით კახეთის გზატკეცილზე. სადაცაა ლოჭინი უნდა ჩამოვიტოვოთ. ვართ ორნი — მე და მძღოლი ლევანა. სოფელში მივდივართ, მაღაზიისთვის სურსათი მიგვაქვს. დაბარგულია ფურგუნი, ცელოფნები ლამის ყურებზე ჩამოვიკიდოთ — საპნები, ვაფლები, ელემენტები, რა აღარ დევს, მოკლედ ლილოს ბაზარი გვაქვს პიპიაში. მივდივართ აცეტებულები, ჩვენია ტრასა. ორი ტრაილერი მოგრიხინებს და ეგ არი, ალაგ-ალაგ თუ ჩაირბენს რამე. უცებ ლევანა ანელებს სვლას, გაბეცებული იყურება, მერე სმენად გადაქცევა და სრული შეჩერება. „ვახ, ბიჭო, რასა აქვს ხმა, დაღრიცა ტვინი“. ვუსმენ, ვაქოქინებ, ადგილზე ვაღრიალებინებ ძრავს, ვითომ რამე გამეგება მანქანის, ტარებაც პირველ ბოძამდე ვიცი, ჩემი მძღოლობა არ გაიშვა. დაიცა, ვეუბნები, ავიდეთ სოფელში, ბიძაჩემს ვანახოთ, ხო იცი, მასტერია. ქოქავს, ვწყდებით ადგილს, დროდადრო ისევ ანელებს, სისხლს მიშრობს, ტვინს ბურღავს, თან მეკითხება, რისი ხმააო. „რავი, რისი ხმაა, ლევან. ძრავია, რა“, ვეუბნები გამწარებული. ისე, დანგრეული „რენო“ კია — ნარახუნები და ნაწივლები, როდინდელი ნაყიდი ყავს, თვითონაც არ ახსოვს. ეგეთი „რენო“ ალენ დელონს და პიერ რიშარს რო ანახო, ეგენიც ვერ გაიხსენებენ, დე გოლის პაპის ბალღობას ეკუთვნის ალბათ. მივდივართ, მივგრიხინებთ, ტვინს ღუნავს ლევანა, მერე საერთოდ ხტება, ძრავს ხდის და ტლინკსა ყრის სიბრაზისგან, ეს უეჭველი მოკვდება აქაო, ამბობს. ეგ არ ვიცი და მეკი ვკვდები — მშია, მცივა, ცოტა მაჟრიალებს კიდეც. მგონი, სიცხეს მაძლევს, მთელი ლილო, ნავთლუღი დამახვეტინა, არ მოისვენა, ეხლა კიდე... როგორც იყო, აყენებს საშველს, ვიძვრებით. „დაიცა, ლევანჩიკ, ძმაო“, ვეუბნები და იქვე სალონის საბარგულიდან დისკს ვაძლევ, ლევანა დისკს მაგნიტოფონში დებს და რაღაც ინგლისურ დებილობას ამღერებს. მანქანის ხმა რომ აღარ ესმის, ცოტა წყნარდება...

დილაა და მირეკავს, მადლობა, რომ წამომყევიო. რა მოუვიდა მანქანას-მეთქი, ვეკითხები. გასაწმენდი იყო ძრავიო, მეუბნება. მატყუებს რაღაცას, გასაწმენდი ძრავი ეგრე უნდა ღმუოდეს? ან ეგებ არც ღმუოდა, არც ეგ არის დიდი მცოდნე მანქანის და არც — მე, ფაქტია.

მე მძარცველი

დილაადრიან დამირეკა მეგობარმა, რამდენიმე სიტყვა მითხრა, შენი ნახვა მსურს, საქმე მაქვსო და ტელეფონი გამითიშა. „გამითიშა თუ ანგარიში ამოეწურა“ — ვკითხე თავს და სასწრაფოდ მოვემზადე გასასვლელად. ციოდა. შემოდგომა იყო — წვიმიანი, ჟინჟღიანი შემოდგომა. მოვიხურე ლაბადა, თავზე შლაპა დავიხურე და გავედი. წვრილი წვიმა ბურუსში ირეოდა — ყველგან ნისლის კორიანტელი, ნაცრისფერი ღრუბელი, ერთფეროვნება. მივედი ავტობუსის გაჩერებასთან, დავჯექი ვერხვების სიახლოვეს, დავუცადე ტრანსპორტს. არ დააყოვნა, მალე მოვიდა. ავედი, მოვნახე ადგილი ფანჯარასთან, დავჯექი და როგორც მგზავრობისას ვიცოდი, მაღაზიის ვიტრინებს დავუწყე დათვალიერება. ორი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ სისუსტე ვიგრძენი. ძილი მომერია, ალბათ ამინდმა გამაბრუა. უჩვეულო რამ დამემართა, სკამზე ჩამომეძინა. ცოტა ხანში ხმა მაღვიძებს — „დამიჭირეთ, თუ შეიძლება“ — გავახილე თვალი და რას ვხედავ, ასაკოვანი ქალბატონი დგას წინ და ჩანთას მაწოდებს. მაშინვე ავტობუსის სალონი მოვათვალიერე. ვნახე, ხალვათობა იყო, მხოლოდ აქა-იქ იჯდა ხალხი. „დიახ, რა თქმა უნდა“ — ვუპასუხე და ჩანთა გამოვართვი. „არ გაგიკვირდეთ, ჩანთას ავტობუსში სულ ვინმეს ვაწვდი, ქვეყანა მძარცველებით გაივსო“ — მითხრა შემდეგ. გამეცინა, თქმა დავაპირე, ეგებ, მეც მძარცველი ვარ-მეთქი, მაგრამ არ მინდოდა, შემეშინებინა. ამის შემდეგ ავტობუსიდან მალე ჩამოვედი, მეგობარს მივაკითხე. დიდი ლამაზი ეზოს ჭიშკარი დაკეტილი დამხვდა. იქვე ელექტრო ყუთი ვნახე, ზედ ჩემი ტელეფონის ნომერი ავკრიფე, მონეტა ჩავაგდე, დავურეკე მეგობარს. „ეგ ხალხი დღეს პოლიკლინიკაში ვნახე“ — გავიგონე ნაცნობი ხმა. ისევ ის ქალბატონი იყო. როგორც მითხრა, იმ უბნის პოლიკლინიკის ექთანი იყო, სადაც ჩემი მეგობარი ცხოვრობდა. მეგობარი რაღაცას მოეწამლა, პალატაში იწვა და ჩემი ნახვა სურდა. მივყევი ექთანს. გზაში მითხრა, მაკაა ჩემი სახელიო, მე შლაპა მოვიხადე და თავი დავუკარი.

პედაგოგი

ერთ დღეს კიდევ მივედი სკოლაში ვაკანსიის თაობაზე, ამჯერადაც ხელოვნების მასწავლებლობას ვუმიზნებდი. სადღაც ვნახე განცხადება და მეც ავცეტდი, გადავირიე — აი, აქ კი უთუოდ დავიწყებ მუშაობას-მეთქი, ვთქვი და გავეშურე.

მივედი. ძალიან ლამაზი და დახვეწილი ინტერიერის სკოლა აღმოჩნდა — ახალი გარემონტებული იყო, კორიდორის კედლები საინტერესო ნახატებით გაეფორმებინათ, ჭერში ბუშტები და ლამაზი ქაღალდებისგან გამოჭრილი ყვავილები ეკიდა. პირველ საათზე დაბარებულმა ნახევარი საათით ადრე შევაღე კარი. ვხედავ, დირექტორის გარდა კიდევ რამდენიმე ადამიანი ზის (ქალები არიან). უეჭველია, რომ დირექტორმა სთხოვა თავის მასწავლებლებს გასაუბრებაზე დასწრება.

ქუდი მოვიხადე, მივესალმე, თან გულში ვიმეორებ: იმპრესიონიზმი... ნატურმორტი... ხელოვნების დარგები... კინო... „რა უნდა მკითხონ, რომ ვერ ვუპასუხო?“ — ვეკითხები თავს.

მომესალმნენ. მთხოვეს, პირდაპირ საკუთარ თავზე ლაპარაკზე გადავსულიყავი. დავიწყე საუბარი — მსახიობი ვარ და ხელოვნებათმცოდნეობის ლექციები მიტარდებოდა-მეთქი, ვეუბნები. მოვუყევი, რა გამოცდილებაც მქონდა — თეატრში ვმუშაობდი დრამატურგად, საბავშვო სპექტაკლებში მიმიღია მონაწილეობა... ვეუბნები, რომ ვარ ხელოვნებაში გარკვეული კაცი, რომ მიყვარს ხელოვნება და შემიძლია, არათუ პირველიდან მეოთხემდე, მეთორმეტე კლასამდეც კი ვასწავლო.

მისმინეს, მისმინეს და ბოლოს ერთი ქალი მეუბნება (არ ვიცი, დირექტორია თუ ვინ):

— არა, აშკარად ჩანს, რომ იცით (საიდან მიხვდნენ, არ ვიცი), უბრალოდ მაინტერესებს, შეძლებთ ბავშვების დაჭერას?

გაოგნებული ვუყურებ, არ ველოდი ასეთ კითხვას.

— როგორ თუ დავიჭერ? რას ნიშნავს, ქალბატონო, დავიჭერ თუ არა?

ქალი მეუბნება, რომ საშინელი ბავშვები არიან და ძალიან ცელქობენ; მეუბნება, რომ ძალიან რთულია მასწავლებლობა; მეუბნება, რომ ძალიან გამიჭირდება ბავშვების გაკონტროლება.

— დავუშვათ, ვინმე არ გისმენს?

— დავსჯი! დავტუქსავ!

— აკრძალულია. იცი, რა ინტრიგანი მშობლები არიან? გაგაციმბირებენ, ვინმეს ბავშვს რომ რამე უთხრა!

— მაშინ ავდგები და... არ ვიცი, გამოვძებნი რაიმეს. ვეცდები, დავაინტერესო რამით. თუ დავინახავ, რომ ჩხუბის ხასიათზეა, ვეტყვი, დახატოს ან გამოძერწოს მოკრივე; თუ ფეხბურთი უყვარს, ვეცდები, მათი საყვარელი საფეხბურთო გუნდის ლოგო დავახატინო.

ქალი გახარებული მისმენს, მერე ისევ მეუბნება, რომ პატარა ვარ ასაკით, შეხედულებაც პატარა მაქვს და ვერ შევძლებ ბავშვების დაჭერას.

— ვინმეს დაჭერა რომ მინდოდეს, ქალბატონო, პოლიციაში დავიწყებდი მუშაობას! რა კითხვებია! რა არის?! ჩემი მეგობრის მონაყოლი მაგონდება — გასტრონომში მივიდა, კონსულტანტად უნდა დაეწყო მუშაობა. გამომცდელი ეკითხება, რას ელით კომპანიისგანო, რას უნდა ველოდოო, მეგობარი პასუხობს, გასტრონომია და მოვედი, რომ კონსულტანტად დავიწყო მუშაობა... ვინმეს დაჭერა და გათოკვა ჩემი მიზანი არ არის. მე უნდა დავახატინო, გამოვაძერწინო, დავახელოვნო, მშვიდ და ესთეტიკურად განათლებულ ხალხად აღვზარდო... მინდა, ჩემს მოსწავლეს არ გაუჩნდეს სურვილი, ვინმეს რაიმე დაუშაოს. თუ ხელოვნების ჟანრების ახსნას ელით ჩემგან, გეტყვით, რომ, მაგალითად, იმპრესიონიზმი არის...

— დიახ! კარგია! ვიცით, რომ იცით! უბრალოდ მოხდა შემთხვევა, ერთ გაკვეთილზე ასაფეთქებელი ააფეთქეს! — მეუბნება სხვა ქალი, რომელიც დივანზე ზის და მარაოს დაკეცვა-გაშლითაა დაკავებული.

— თუ რამეს აფეთქებას დააპირებენ და ვინმე ყუმბარას ააგდებს, გავიქცევი! რა ვქნა მეტი! როგორც ჩანს, ეს გასაუბრება რაღაც ბლეფია და მე მივდივარ! ნუ მასულელებთ! — ვეუბნები და ოთახიდან გავდივარ. კორიდორში ფანჯარასთან ახალგაზრდები დგანან. ვხვდები, რომ მათ წარმოდგენა არა აქვთ იქ მყოფთა ხასიათზე.

სათვალიანი მძღოლი

ჩემს ქალაქში ახალი მოდა დამკვიდრდა — გზების ათხრა და ქუჩებისთვის ანტიკური იერის დაბრუნება. არ ვიცი, ეს უცხოელ სტუმრებთან თავის მოსაწონებლად არის გაკეთებული თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ ქუჩაში გასვლა ჭირს. უფრო სწორად, გასვლა იოლია, მერე იქ ამოძრავებაა ძნელი. კუ რომ დადებს კვერცხს და დაიკარგება, ასეა ეს მერიის მოყვანილი ხალხიც — ათხრიან გზას, ააქოთებენ მტვრისგან, დააყენებენ ბუღს და დაიკარგებიან. თუმცა მარტო მერიას ვერ დავემდურები, წყლის კომპანიაც კარგა გვარიან სამუშაოებს ატარებს თხრის დარგში.

ჩემი უბანი დაბალზეა გაშენებული, უფრო სწორად გაშენებული კი არა, ჩამოძონძილი. ზოგან სასტუმროა, პარიზს შეშურდება, ზოგან ჩამოჭმული, ინვესტორთან ვერმორიგებული ხალხის სახლი, ზოგან იტალიური ეზო, ზოგან დიდი, ლამაზი კორპუსი და ზოგან ისეთი ეზო, რომელსაც ხალხმრავლობის გამო თავისუფლად შეიძლება, ვუწოდოთ ბომბეი.

ქუჩა სასტუმროდან ჩამოდის და ბოლოში სამად იყოფა — მარცხნივ შემაღლებული ადგილია, მარჯვნივ ვიწრო გზა, რომლიდანაც ლამაზი მდინარე და მთელი მწვანედ შეღებილი კორპუსები ჩანს, ხოლო პირდაპირ დაღმართია, რომელიც მეზობელ რაიონში ჩადის.

აი, სწორედ იმ მეზობელ რაიონში ჩასასვლელ გზაზე იყო პატარა ორმო, თუმცა აღარც პატარა ეთქმის, მრგვალად, ჭის ფორმის, სუფთად ამოთხრილი ორმო, რომელიც კაციშვილმა ვერ გაიგო, ვინ დატოვა — კომპანიამ, მერიამ თუ თხუნელამ.

ვზივარ ერთ მზიან დღეს ბორდიურზე და ლუდს ვსვამ. როგორც გითხარით, დაბალზეა უბანი და მზე აჭერს, იბუგება გარემო. ჩემს გვერდით ერთი მეზობელია, რომელსაც ასევე ლუდის ბოთლი უჭირავს, ვსხედვართ და ვლაპარაკობთ ფეხბურთზე.

უცებ ვხედავ, ვერცხლისფერი „გოლფი“ უხვევს ჩვენკენ, დაბურული მინები აქვს და ვერ ვხედავთ, ვინ ზის შიგნით, უხვევს, ოდნავ იქნევს კუდს და უცებ... იმ ორმოსთან მძღოლი მკვეთრად იღებს გეზს მარცხნივ, მანქანა ჰაერში ბზრიალდება და სახურავზე ეცემა, იქნევს საბურავებს, როგორც ამობრუნებული კუ ფეხებს...

მივცვივდით გადარეულები, გზაში დავაგდეთ ლუდის ბოთლები, ვინ ჩივის ლუდს. გადმოდიან მანქანიდან ახალგაზრდა ქალი და სამიოდე წლის ბავშვი. ბავშვის დანახვაზე უფრო ავღელდი, ცუდად გამიხდა გული, კიდევ კარგი, არაფერი დაუშავდათ-მეთქი, გავიფიქრე.

მეზობლის მოვარდნაზე მივხვდი, რომ დიდი ხმა ჰქონია მანქანის დაცემას. იმდენად დამზაფრა სანახაობამ, რომ ასფალტზე რკინის დაცემის ხმა ვერც კი გავიგე.

— ესენი იცი, რისი ღირსები არიან? ესენი ღირსები არიან, ჟურნალისტები მოვიყვანო! — გმინავს მეზობელი ქალი, რომელსაც, როგორც ჩანს, სახლის დაგვა მიუტოვებია და ცოცხიან ხელს იქნევს.

— ვინ ესენი, კაცო? — კითხულობს მეგობარი.

— ვინ და მთავრობა! — პასუხობს ქალი.

— რანაირად ვერ დაინახეთ კი მარა? — ვეკითხები ქალს, — როგორ ვერ შეამჩნიეთ?

— არ ვიცი, ნუ. სათვალე მეკეთა, რა! — მპასუხობს კევის ღლაჭუნით ქალი, რომელსაც აშკარად ეტყობა, რომ საჭესთან ჯდომა არ აქვს მოწოდებად.

— გაანებე რა თავი, კიდე კაი, ბავშვს არაფერი უქნა! — მეუბნება მეგობარი ჩუმად.

წამოვედით. ცოცხიანმა ქალმა კიდევ კარგა ხანს იგაგანა, მერე ისიც წავიდა. ჩვენ ასფალტზე გაგორებული ბოთლები ავიღეთ და ურნაში ჩავყარეთ.

საღამოს გამოვედი გარეთ. ახალი ლუდი ვიყიდე და ისევ იმ ბორდიურზე დავჯექი. მალე მეგობარიც მოვიდა. ვისაუბრეთ. მე ვერ შევნიშნე, მან დამანახა, ორმო ვიღაცას ამოევსო, ზემოდან ასფალტი იყო გადასხმული. მეგობარმა ლუდი მოწრუპა და ისევ იმ თემაზე ალაპარაკდა, მაინც როგორ ვერ აარიდა, ან როგორ ვერ დაინახაო.

— სათვალე ეკეთა, ვერ გაიგე? — ვუთხარი შეწუხებულმა.

— კიდევ კარგი, ბავშვი არ დააზიანა მაგ დედა... — და მეგობარმა გულიანად შეუკურთხა სათვალიან ქალს.

XIII

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ ჩხეიძე

საგალობლად კაცისა და აქლემისა

რამდენი რამ წაგვიკითხავს:

კაცისა და ცხენის მეგობრობაზე.

კაცისა და ხარის მეგობრობაზე.

კაცისა და ძაღლის მეგობრობაზე.

კაცისა და ვირის მეგობრობაზეც კი შეიძლება დაწერილიყო რომანტიკული, პოეტური სულით გაჟღენთილი ციკლი მინიატურებისა.

და რა — კაცისა და თაგვის მეგობრობაზეც არა?..

ვკითხულობდით და... ძალდაუტანებლად არიალდებოდნენ ჩვენს თვალთახედვაში აბელიც, ენქიდუც, მინდიაც, და კიდევ სხვანიც, მათი სულიერი მოძმენი თუ შთამომავალნი: ჰენრი დევიდ ტორო იქნებოდა თუ ვაჟა-ფშაველა...

ხოლო აი კაცისა და აქლემის მეგობრობაზე ასეთი წარმტაცი და ამაღლებული ამბავი აქამდე არასოდეს წაგვეკითხა.

აქლემისადმი მიძღვნილ სახოტბო სტრიქონთაგან არაერთს კი შემოენათებინა კასიდებიდან, ხელშესახებად რომ მიგახვედრებდა ამგვარი მეგობრობის არსებობას, მაგრამ ნუთუ მღელვარე და ამაღელვებელ თავგადასავლადაც არ უნდა გავცნობოდით?

და აი ასეთი ამბავიც უნდა მოგვესმინა, უაღრესი დრამატიზმით განმსჭვალული, საბოლოოდ ტრაგედიითაც რომ უნდა დასრულებულიყო კაცისთვისაც და აქლემისთვისაც, მათ სულიერ სიახლოვეს რომ მაინც ვერაფერი გაჰყრიდა და ამაღლებულ სიმბოლოდაც გამოინასკვებოდა, მისტიკური ფონი იმთავითვე რომ აედევნებოდა ამ ურთიერთობას და, ცხადია, ამაღლებული სიმბოლოც მისტიკური შარავანდით დაიფერებოდა.

არადა აქამდე არა ვიცოდით რა იბრაჰიმ ალ-ქუნისა, ლიბიელი მწერლის, ბოლოსდაბოლოს ჩვენს ენობრივ სივრცეშიც რომ უნდა გამოჩენილიყო რომანით „ოქროს ქვიშა“ („ინტელექტი“, 2016) და ისეთი სანდო მეგზურის თანხლებით, როგორადაც წარმოგვიდგება დარეჯან გარდავაძე, კაცისა და აქლემის მეგობრობის ამაღლებულ სულს ხელშესახებად რომ განგვაცდევინებდა იმ დახვეწილი სტილისტიკისა და ექსპრესიის წყალობით, ქართულ ენობრივ სამოსსაც მარჯვედ რომ მოარგებდა არაბ მთხრობელს და მარტოდენ გარკვეულ წარმოდგენას კი არ შეგვიქმნიდა უდაბნოს ცხოვრების წესსა და მორალურ კოდექსზე, არამედ ამ სივრცის უშუალო მონაწილეებადაც გვაქცევდა, სადაც ეს მღელვარე თავგადასავალი უნდა გათამაშებულიყო.

აქამდე არა ვიცოდით რა იბრაჰიმ ალ-ქუნისაო...

დასავლეთს კი მოეხსენებოდა მასზე რაიმე?

მოეხსენებოდა, მაგრამ... სწორედ ის, რაც კარგა ხნით გადაუკეტავდა გზას ლიბიელ მწერალს მის თხზულებათა ასამეტყველებლად ევროპულ ენებზე.

მიზეზი გაცხადებულია დარეჯან გარდავაძის სტატიაში „უდაბნო და მისი თილისმა, სულიერი მისტიკა, დრო და ბედისწერა იბრაჰიმ ალ-ქუნის რომანში „ოქროს ქვიშა“, შესავლად რომ დაერთვოდა ქართულ გამოცემას, და იქიდან ვიგებთ, რომ მწერალი არამარტო დაამთავრებდა მაქსიმ გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტს მოსკოვში და შეისწავლიდა რუსულ ენას, მარქსისტულ ფილოსოფიასა და შედარებით ლიტერატურას, არამედ ლიბიის ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტადაც დაიწყებდა მუშაობას და სოციალიზმსა და პოსტკოლონიურ ლიბიას აირჩევდა თავისი პუბლიცისტური სტატიების უმთავრეს თემადაც და სულისკვეთებადაც.

და რა გასაკვირია, რომ დასავლეთს მისი მხატვრული ნააზრევიც იმთავითვე აღექვა ისე, როგორც იმ მოკალმეებისა, რომელნიც საბჭოთა იდეოლოგიური მანქანის მეშვეობით დაპროგრამებულნი კომუნიზმის პროპაგანდისტის როლს ვერა და ვერ სცილდებოდნენ.

ისინი რისი შემქნელნი იყვნენ, თუ არა იდეოლოგიზებული და შინაგანი ცენზურით მკვეთრად აღბეჭდილი პროდუქციისა, რომლის ვითომდა ლიტერატურული საბურველიც ვერა ფარავდა მათ ნამდვილ ზრახვებსა და მწერლურ უმწეობას.

არადა იბრაჰიმ ალ-ქუნი გატაცებული იყო იმ მაგიური რეალიზმითა და სუფიური ფაბულებით, რაც სრულიად შორდებოდა საბჭოთა იდეოლოგიასა და სოცრეალიზმის მოთხოვნებს და იმ კალაპოტში მიედინებოდა, რაც ასერიგად მახლობელია ევროპული მწერლობისათვისაც.

მაგრამ ამას აღმოჩენა სჭირდებოდა დასავლელი კრიტიკოსების მხრიდან.

აღმოჩენისათვის კი თვითონ ლიბიელ მწერალს უნდა შეეწყო ხელი და კიდეც გაირჯებოდა საამისოდ და ენერგიულადაც გაირჯებოდა, ჯერ პოლონეთში რომ დამკვიდრდებოდა და შეუდგებოდა ლიბიის ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტობას, 1994 წელს კი შვეიცარიაში გადასახლდებოდა და... იქ არაბისტ დოქტორ ჰართმუთ ფენდრიჰთან შეხვედრა მთლიანად შეცვლიდა ალ-ქუნის ცხოვრებას:

მანამდე ლოკალურ არაბულ გარემოში ჩაკეტილი, არადა, 60-მდე წიგნის ავტორი უცებ მოიხვეჭდა საერთაშორისო პოპულარობას და მის მიმართ ცნობისწადილი სულ უფრო და უფრო გაღვივდებოდა, ჯილდოს ჯილდოზე რომ მოიპოვებდა და მისი წარმატება იქამდე მივიდოდა, რომ ფრანგული ჟურნალი იბრაჰიმ ალ-ქუნის თანამედროვეობის 50 საუკეთესო რომანისტთა შორის დაასახელებდა და მას მომავლის მწერალსაც უწოდებდა.



უდაბნოს თილისმაო...

მართლაც თილისმურად იზიდავდა უდაბნო მწერალს, რომელსაც ეს განცდა მთელი სისავსით გადაჰქონდა თხრობაში, მთარგმნელის ცნობით, მისი ნოველებისა და რომანების სამზერი უდაბნოსკენ რომ არის მიმართული და უდაბნოს სუნთქვა, უდაბნოს ტონები ძალზე დიდი დოზით ამიტომაც იგრძნობა ალ-ქუნის ცხოვრებაშიც და ნაწერებშიც.

— ის რაღაც შინაგანი მეექვსე გრძნობით აღიქვამს უდაბნოს მაჯისცემას, უდაბნოს ცხოვრების ფილოსოფიას, სიკვდილ-სიცოცხლის კანონზომიერებასაც უდაბნოს ვექტორით, უდაბნოს პრიზმაში გამოტარებულს ხედავს. მისი მკითხველიც პირველივე გვერდებიდან გრძნობს, რომ უდაბნოს სცენები, ამდენი უცხო ტოპონიმიკა — უდაბნოს პატარა დასახლებების, მთების, ხეობების, ოაზისების სახელები, ამდენი დაწვრილებითი ეთნოგრაფიული დეტალი, ტუარეგების ყოფა-ცხოვრების, ზნე-ჩვეულებების ამსახველი ტრადიციები არაა გარეგნული, ზედაპირული ეგზოტიკის ელემენტების შემოტანა მკითხველის მოსახიბლად და მოსაზიდად.

ტუარეგები ვინ არიან და:

ბერბერული მოდგმის მომთაბარე ტომები, საჰარის უდაბნოს ძირითადი მოსახლეობა, აფრიკაში არაბეთის ნახევარკუნძულიდან შემოსულნი. ჩრდილო აფრიკის რამდენიმე სახელმწიფოში რომ დასახლდებოდნენ, მათ შორის სამხრეთ-დასავლეთ ლიბიაში. მატრიარქალური წყობის ელემენტები მათში დღემდე შემორჩებოდა. თუნდ: ქალები სახეს არ იფარავდნენ, კაცები კი თეთრი ან ცისფერი პირბადით დაიარებოდნენ და მხოლოდღა თვალები უჩანდათ.

ტუარეგთა ყოფა-ცხოვრებით რატომ დაინტერესებულიყო იბრაჰიმ ალ-ქუნი და:

თვითონ გახლდათ წარმოშობით ტუარეგი.

და „ოქროს ქვიშის“ მთავარ გმირადაც ტუარეგს რომ შეარჩევდა, რა გასაკვირია.

არაა გარეგნული, ზედაპირული ეგზოტიკის ელემენტების შემოტანა მკითხველის მოსახიბლად და მოსაზიდადო...

მაშ რა მიზანს ისახავს?

ბედისწერა, დრო, წუთისოფლის ცვალებადობა, უდაბნოს თილისმა და ადამიანთა ხვედრი მწერლის მიერ კლასიკური სუფიზმის პრინციპებითა და იშვიათი მხატვრული ძალით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს და ღრმა ძაფებით გადაწნულნი ითრევდნენ მკითხველს იმ ჯადოსნურ მისტიკაში, იბრაჰიმ ალ-ქუნის მხატვრულ სამყაროს რაც განსაზღვრავდა.

კლასიკური სუფიზმის პრინციპებს რომ ახსენებს მთარგმნელი, შემდგომ ამ ფორმულას ასე აზუსტებს: კლასიკური სუფიზმის დოქტრინა დღევანდელობაშიაო.

იბრაჰიმ ალ-ქუნი არ შეეხებოდა სარევიზიოდ ამ მოძღვრების ძირითად პრინციპებს, მაგრამ ცალკეულ დეტალებს კი შეუხამებდა თანამედროვეობას მწერლის უფლებით — რაც შეიძლება ღრმად შეეღწია სუფიზმის დანაშრევებსა და არსში და ამ მხრივ გაეთვალისწინებინა თავის დიდ წინამორბედ თანამოკალმეთა გამოცდილება.

„ოქროს ქვიშა“ უპირველესად მაინც კაცისა და აქლემის ამაღლებული, სიმბოლომდე აზიდული მეგობრობის სურათი და საგალობელი უნდა ყოფილიყო, იმ აქლემისა, ამლაყ მაჰრულად რომ იხსენიებოდა, ნახტომით აიჭრებოდა ჰაერში, ყალყზე დგებოდა ექსტაზით შეპყრობილი მოცეკვავის მსგავსად, დაღლილი კი ქვიშაზე ეცემოდა, ზურგზე წვებოდა და ხმამაღლა ერთ ისეთ მაგიურ ხმას ამოუშვებდა, უდაბნოში მოგზაურ მხედრებს თილისმასავით რომ ამხნევებდა შემოწოლილი მარტოობის გასაფანტავად.

„ამლაყი“ ჭრელს გულისხმობს, არაბული სიტყვიდან რომ მომდინარეობს: აბლაკ, — და ცხოველთან მიმართებით გამოიყენება. გიორგი წერეთელი თავის არაბულ-ქართულ ლექსიკონში არაბული „აბლაკის“ შესატყვის ქართულ-სვანურ ფორმად ისევ „აბლაკს“ რომ მიუთითებდა, დარეჯან გარდავაძე მაინც „ამლაყს“ უფრო ამჯობინებდა, სულხან-საბა ორბელიანისა და სხვა ლექსიკონები რა ფორმითაც მიუთითებდნენ ამ სიტყვას და ქართულ ტექსტთა კორპუსში დადასტურებული პრაქტიკაც აკი ამავე ფორმას გვიჩვენებდა.

„მაჰრული“ კი ჯიშიანს ნიშნავს და სწორედ მაჰრული აქლემებია, რემას წინ რომ მიუძღვიან. რაც შეეხება ეტიმოლოგიურ სათავეს ამ სიტყვისა, მას მაჰრა იბნ ჰიდანის იემენურ ტომთან მივყავდით.

და უხაიადს თავისი აქლემის ამლაყობა და მაჰრულობა ძალიან რომ გაიტაცებდა, ამიტომაც სთხოვდა ქელ აბადის ტომთა ცნობილ პოეტ ქალს: მასზე სახოტბო კასიდა შეთხზეო, — კასიდა, რომელიც ამლაყი აქლემის საუკეთესო თვისებებს განადიდებდა და მის თანდაყოლილ ნიჭს დითირამბს უძღვნიდა მეომარი რაინდებისა და გმირების დარად. და კიდეც ჩამოუთვლიდა ამლაყი მაჰრული აქლემის გამორჩეულ თვისებებს:

ჭრელიაო, მოხდენილია და გრაციოზულიო, ტანკენარიაო, ჯიშიანიაო, გამბედავი და ერთგულიაო...

მაგრამ გამოცდილ პოეტ ქალს უეცრად სიტყვა უნდა გაეწყვეტინებინა მისთვის:

— რაინდს უდავოდ ჩრდილს არ აყენებს თავისი მაჰრული აქლემის გამორჩეული თვისებების ჩამოთვლა და პატრონის პოზიციიდან მასზე საუბარი, მაგრამ სახოტბო კასიდას თავისი პირობები აქვს! შენს აქლემს არც ბრძოლაში მოუხვეჭია სახელი და არც ცეკვა-თამაშობებში!

გაწბილებისაგან უხაიადი უნდა შემცბარიყო, მაგრამ დარცხვენა მეგობრული შეხუმრებით დაემალა:

— მაგრამ ის ხომ ჭრელია!.. ისიც კმარა, რომ ჭრელია! განა აქამდე გინახავს ამლაყი მაჰრული აქლემი?!

შეხუმრებით ვითომ?

და არც მარტოდენ აქლემის გარეგნული სიჭრელე უნდა იწვევდეს კაცის ასეთ აღფრთოვანებას — მის სულს სწვდება, მის ერთგულებას ადამიანის ერთგულებისაგან არც განარჩევს და ეს იდუმალი თანაზიარობაა, სახოტბო კასიდის ღირსად რომ მიაჩნია უხაიადს თავისი აქლემი, თორემ განა რა ბედენაა ამ იშვიათ ღირსებათა ფონზე სახელის მოხვეჭა ბრძოლასა თუ ცეკვა-თამაშობებში!..

მაგრამ იმ პოეტ ქალსაც ვერ გაამტყუნებ, თუკი არ მომადლებია აბელისებური, ენქიდუსებური, მინდიასებური შინაგანი ჭვრეტისა და ცხოველთა იდუმალი ნაუბარის მოსმენის უნარი, ის, რაც ნიშანდობლივია უხაიადისათვის ისე, რომ თვითონაც არ გაეგება, ამ იშვიათი მადლით თუ აღვსილა.

ამ სულიერების კაცს თუ შეუძლია განიცადოს მთელი არსებით უდაბნოს არსი, მისი სიდიადე და თავისებური სილამაზე, ოღონდ მარტოს არა — აუცილებლად თავის ამლაყ მაჰრულ აქლემთან ერთად, ლამის ერთსულ და ერთხორც რომ უნდა იქცნენ და ისე იმოგზაურონ უდაბნოში, თითქოსდა მთელი სამყარო უნდა შემოიარონო.

მხოლოდ ასე თუ ეზიარებიან ჭეშმარიტ თავისუფლებას.

რაღა ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი მერანი და რაღა უხაიადი და მისი აქლემი!..

და უმთავრესი ერთისთვისაც და მეორისთვისაც ისაა, რომ: გარდაიარონ ბედის სამზღვარი!.. შეუყვნენ სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნას!.. ანტიკური გმირებივით თუ სუფი შეიხებივით შეეტოქონ ბედისწერას და თუნდ გაიწირონ მასთან რკენახეთქებისას, რაღაც მაინც უნდა დარჩეს მათი თავზეხელაღებული კვეთებიდან, რაღაც, რაც მოძმეთა მათთა სიძნელეს გზისას გაუადვილებთ.

უდაბნოში ორი სივრცე თუ რჩება ალ-ქუნის რწმენით, მაინც რა იგულისხმება ამ ორში?

სივრცე ღია უდაბნოში და სივრცე გულში!

სიჩუმეა ყურში? სიჩუმეა გულშიც.

სიწყნარეა უდაბნოში? სიწყნარეა გულშიც.

ალ-ქარმას წყარო სხეულს განბანს? სულს კი მხოლოდ უდაბნო განბანს. და სული კიდეც უნდა განიწმინდოს, გასუფთავდეს, დაცარიელდეს და გათავისუფლდეს. გაუადვილდეს — გამოვიდეს და შეერწყას მარადიულ სივრცეს, ჰორიზონტებს, კოსმოსს, ჰორიზონტს იქით რომ მივყავართ, კოსმიური სივრცის მიღმა. და შეერწყას სულ სხვა სამყაროს — საიქიოს, დიახაც საიქიოს:

— აქ, მხოლოდ აქ, ამ გადაჭიმულ ველებზე, ამ შიშველ უდაბნოში, სადაც სამი მხარე ხვდება ერთმანეთს — გაშლილი სივრცე, ჰორიზონტი და კოსმოსი, რათა მოქსოვონ ცის კაბადონი, რომელიც მიცურავს, რომ შეუერთდეს მარადისობას, საიქიო სავანეს!.. ეს ზეციური კავშირი, წმინდა სამების კავშირი ავრცელებს ნდობასა და დაჯერებულობას, ქსოვს სიწყნარის ძაფებს და თესავს სიჩუმესა და სიმშვიდეს გულში.

ხოლო ღვთაებრივ ცეცხლს რა შობდა გულში? მხოლოდ და მხოლოდ სევდა.

და ამით ახსნიდა იბრაჰიმ ალ-ქუნი მიზეზს იმისა, თუ რატომ უყვარს უფალს თავის მადიდებელთა შორის მარტოდენ ტანჯულნი და წამებულნი. და მეტიც — რატომ გამოსცდიდა სატანჯველით მხოლოდ იმას, ვინც უყვარდა.

ეს სიყვარული გადმოეფინებოდათ უხაიადსა და მის ამლაყ მაჰრულ აქლემსაც.

ამიტომაც უნდა გამოეცადათ სატანჯველი ასეთი უკიდურესი ძალით, სიმწრის ფიალას ბოლომდე რომ დააცლევინებდათ და აღსასრულიც ტრაგიკული ერგებოდათ.

სხვაგვარად ანკი როგორ გინდა გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იარო ბედის სამზღვარი?!.

როგორ გინდა იარო სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე?!.

ხოლო ცხოვრებაში ყველაზე სახიფათო რა შეიძლება ყოფილიყო?

თურმე ის ნიშნები, რომელთაც არად აგდებ ან მხედველობიდან გამოგრჩება. არადა — მინიშნება ხომ თვითვეა ბედისწერა.

ამას ირწმუნებოდა უდაბნო.

და რაკიღა უდაბნო ირწმუნებოდა, ამ გამჭვირვალე ქარაგმას უნდა მიხვედრილიყვნენ უხაიადიცა და მისი აქლემიც, ჩვენამდე კი იბრაჰიმ ალ-ქუნის მოეტანა და თან დაეჩივლა: ოჰ, ეს ნიშნებიო!..

ო, რა ძლიერ სახიფათო იყო ნიშანთა ენა! ფარული, საიდუმლო ენა, რომელსაც უდაბნო ისწავლებოდა!.. ის არასოდეს ლაპარაკობდა ღიად და აშკარად, რადგანაც შეუცნობელს მალავდა... რადგანაც ის თვითვე გახლდათ შეუცნობელი. შეუცნობელი კი ნიშანს ტყუილად არ იძლევა, არც ხუმრობა უყვარს. შეუცნობელი თვითონვეა ბედისწერა, ბედისწერის ენა კი მომაკვდინებელია!..

და ღმერთს ეაჯებოდა მწერალი, თუ რატომ ხდებოდა ასე, რომ:

როდესაც ბედისწერა განარიგებდა რაიმეს, ყველას ხდიდა პასუხისმგებლადა და დამნაშავედ, ყველას მტრად აქცევდა — ხალხსაც და საგნებსაც და უდაბნოსაც... ესეც თვისება უზენაესი ბედისწერისა, როცა წყვეტდა, რომ პასუხისმგებლობა ყველასთვის აეკიდებინა მხრებზე, რათა არ ყოფილიყო მხოლოდ ერთი დამნაშავე.

— როცა დანაშაულის თანამონაწილეა ყველა, მაშინ არ არსებობს დამნაშავე. ბედისწერა ყველაზე ოსტატურად შლის კვალს, გადაანაწილებს დანაშაულს, რათა შეუძლებელი გახდეს დანაშაულის ნამდვილი ჩამდენის პოვნა.

პასუხისმგებლობის ეს უკიდურესი შეგრძნება ძალდაუტანებლად წამოგვაგონებს ძველბერძენ ტრაგიკოსებს, სწორედ ასე რომ გაიაზრებდნენ ბედისწერას, და ლიბიელი მწერალი ღრმად რომ შეიცნობს და შეიგრძნობს ამ თვალთახედვას, თვითონაც კვალში ჩაუდგება ესქილეს, სოფოკლესა თუ ევრიპიდეს და თავისი რომანით „ოქროს ქვიშა“ მათ ტრაგედიებს ეხმაურება, როგორც მათი სულიერი მემკვიდრე.

ფორმა „ოქროს ქვიშისა“ თითქოს ამ დრამატული ქმნილებებითაა ნაკარნახევი, ან რაღა თითქოს, სწორედაც ის კომპოზიციური აღნაგობაა მოძებნილი, ძველი ბერძენი ტრაგიკოსებიც რომ მიმართავდნენ, ჩვენს დროში რომ დაბადებულიყვნენ და, ნაცვლად პიესებისა, რომანების დაწერა განეზრახათ.

წარმოსახვით სცენაზე არამარტო ამ ორ მთავარ გმირს გამოიყვანდნენ — კაცსა და აქლემს, არამედ ქოროსაც, რომელთაც თავისებურად განასახიერებს სუფ შეიხ მუსასა და თვითონ ავტორის მედიტაციები, მოხდენილად რომ გადაეწვნის უხაიადისა და ამლაყი აქლემის მღელვარებით აღსავსე თავგადასავალს, აქლემისა, რომელსაც უნდა დაემსხვრია ის გალია, საიდან თავდაღწევაც უფლის საჩუქრით უნდა დაგვირგვინებულიყო: მიმალული და უჩინარი საძოვრებით, გადავლილ ღრუბელთა წვიმა რომ აამწვანებს და ზეციურ ძღვენად წარმოდგება უდაბნოში.

თვით შიშველმა უდაბნომაც კი იცის, თუ როგორ დამალოს მოულოდნელობანი და სიურპრიზები, რათა მომთმენნი მისით დააჯილდოოს.

აგერ მაჰრულ აქლემს ბალახი უნდა ერგოს წყალობად, უხაიადს კი — დამალული სოკო.

ნუთუ უდაბნოს სოკოც წყალობაა?

თურმე — განძიც, და მასზე უკეთესი განძი არც არსებობს, რადგან ეს ის ნაყოფია, რომელიც ზეციდან ცვივა, არსაიდან უხვ წყალობად მოდის, მიწას აპობს და ამოდის, მისი სურნელი ვრცელდება ღია სივრცეში, ქარი ფანტავს და აბრუნებს მიწაზე, იელვებს ელვა, მას მოსდევს ქუხილი და... ჯადოსნური ნაყოფი იბადება შუაგულ არსაიდან.

აშკარად მაგიური იერი გადაჰკრავს სოკოს, ის იერი, რომელიც ასე ხელშესახებად ცნაურდება რომანის სტრიქონსა და სტრიქონს შუა და დროდადრო მკვეთრადაც ამოტეხს, სტილური ექსპრესია თავბრუს რომ გვახვევს და არამარტო შეგვაცნობინებს უდაბნოს იდუმალებას, არამედ ხელშესახებად გვაგრძნობინებს კიდეც.

ზაფხულის დასაწყისში უდაბნოს სოკოთი ტკბობას იბრაჰიმ ალ-ქუნი ზეციურ წყალობას უიგივებს, მიწიერ სამოთხეს და... დანანებით დასძენს: განა სამოთხე სამუდამოდ გასტანს თუნდაც ღვთის რჩეულთათვის?! განა სიტკბოება მარადიულია თუნდაც წინასწარმეტყველთათვისო?!.

აქლემი რომ დასნეულდება, პატრონი ლამის გადაყვება მის მოსარჩენად ზრუნვას, მაგრამ თავისას მაინც მიაღწევს დიდი რისკის ფასად და აქლემის გამოჯანსაღების პროცესი ყველაზე სათუთი, ლირიკული პასაჟებია რომანში. თუმც ისეთი დღეც უნდა დაუდგეს მასზე გადამკვდარ პატრონს, რომ უნდა შეელიოს და... ამით თავისთავს გამოუტანოს სასიკვდილო განაჩენი.

რაღაც იმგვარი განწყობილება ეუფლება, რაც ქართული ხალხური ეპოსის გმირს, არსენა ოძელაშვილი ბედისწერასთან შერკინების ჟამს ამ ექსტაზით რომ უნდა გაბრწყინდეს: თუ ძალით არავინ მომკლა, ნებით გამოვიჭრი ყელსაო...

და უხაიადისთვისაც დადევნებულ მკვლელებს რომ არ მოეღოთ ბოლო, თვითონვე გამოიჭრიდა ნებით ყელს.

და გრძნობ:

იქ, სივრცეებში კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს უხაიადი და ამლაყი მაჰრული აქლემი, უკვე მარადისობაში გადანაცვლებულნი და იმ სიმბოლურ სიმაღლეზე აზიდულნი, უჩვეულო მეგობრობის წარმტაც სერიას ახალი სუნთქვითა და ემბლემით რომ აღბეჭდავდნენ.

დიდებულ და კოლორიტულ გალერეას ახალ მითოსურ გმირებად შეემატებოდნენ, აუცილებელ პერსონაჟებად, მათ გარეშე რაღაც წახნაგი უეჭველად რომ დააკლდებოდა ამ ჯადოსნურ გალერეას.

თორემ აქამდეც ვიცოდით მეგობრობა:

ცხენისა და კაცისა.

ხარისა და კაცისა.

ძაღლისა და კაცისა.

ვირისა და კაცისა.

თაგვისა და კაცისაც.

და ადრე თუ გვიან უნდა ვზიარებოდით მეგობრობას კაცისა და აქლემისაც, არც ბრძოლებში რომ არ გამოეჩინა თავი და არც ცეკვა-თამაშობებში, მაგრამ გადასდევდა ის განსაკუთრებული მადლი, ყველასაგან რომ გამოარჩევდა, და თუ ვინმეს, იმ უხაიადს რომ შეეცნო და განეცადა ეს მადლი, ამ მეგობრობის წყალობით რომ უნდა შემორჩენოდა მხატვრულ ცნობიერებას კაცობრიობისა, იბრაჰიმ ალ-ქუნი დიდხანს რომ იქნებოდა გამოკეტილი თავის უდაბნოებსა და ოაზისებში, ვიდრე გაარღვევდა მოჯადოებულ წრეს და თავს დაიმკვიდრებდა იმ დასავლურ სალიტერატურო პროცესებში, ბევრნილად რომ განსაზღვრავს კაცობრიობის სვლას იმ შორეული სივრცეებისაკენ, სადაც კვლავინდებურად შეენაცვლება ერთიმეორეს უდაბნო და ოაზისი... ოაზისი და უდაბნო...

და მთავარია, უდაბნო კი აღარ გვაკრთობდეს, მის იდუმალ ძალასა და ანდამატს ვგრძნობდეთ, რათა მოგვეთილისმოს და გაგვაგონოს ახალ-ახალი საგალობელნი, მხოლოდ ზეცად დავანებულნი, თორემ თუკი მათ მიწიერ ქმნილებას მივანდობთ, უსათუოდ მიწვდება მურდალი ხელი და ისევე ჩაგიფერფლავენ, როგორც გულს...

მაგრამ... სადღაც ხომ მაინც გადაკვეთს ერთიმეორეს უდაბნო და ზეცა!..

სადღაც ხომ მაინც გადმოდგებიან ცის კაბადონზე კაცი და აქლემიც...

ცივი პეიზაჟი

პირველი დღე

ქარია... შემოდგომის ცივი მიმწუხრი... ყვითელი ფოთლები ჭალის გზებზე ცვივა, ხალიჩასავით ეფინება ზედ, ფშატისა და მაყვლის ბუჩქები ყვითელი ქურქით შემოსილან, მდინარის ნაპირთან დროდადრო იხვები სხდებიან, ნისკარტებს სილაში ჰყოფენ და წვრილ, ნაცრისფერ ბაყაყებს იჭერენ. ჭალაში ადამიანიშვილის ჭაჭანება არ არის, ქარისა და მდინარის ხმა ერთმანეთს ერთვის.

ქარი ხის ტოტს ატოკებს, ტოტი მეორე ტოტს ეჯახება, ბრუნდება, ხეზე დადებულ კვერცხს ხვდება, ნაჭუჭი ტყდება... შიგნით სიშავე ჩანს, მალე ნაჭუჭი უფრო იმტვრევა, შუაზე ტყდება, რაღაც მოძრაობს, ცდილობს, გამოძვრეს.

კვერცხიდან ჯავშნოსანი გამოდის — პატარაა, რბილი ჯავშანი და სუსტი სხეული აქვს, შემკრთალი ახამხამებს ქვიშასავით წვრილ თვალს და ცდილობს, გზა გაიგნოს.

ჯავშნოსანი მოძრაობს, ხიდან ვარდება და სილაში ეფლობა. სილა ცივია, თუმცა ჯავშნოსანსაც ცივი სხეული აქვს და ვერ გრძნობს სიცივეს. ცდილობს, გზა გაიგნოს, ოღონდ არ იცის — სად, ვისკენ, საით...

მეორე კვერცხი საღია და იმ ხეზე დევს, რომელზეც პირველი. კვერცხს ფოთლები და ქვიშა ეყრება. ქარი ისე ძლიერდება. მდინარის ხმაურს მისი ხმა ფარავს. ჭალაში ისეთი ხმა ისმის, თითქოს ათასი მხეცი ერთად დაეჭრათ.

პირველი მორთან მიდის. ცდილობს, ზედ აბობღდეს, მაგრამ არ შეუძლია — პატარა ფეხები აქვს და თავადაც პატარაა. მას სურს, ქარმა კვერცხი გადმოაგდოს, მერე თავად იცის, რაც უნდა გააკეთოს.

ქარი უფრო ძლიერდება, უკვე ქარიშხალია. ჭალის ყველა ბინადარი თავის სამალავში შემალულა, გარეთ გამოხედვას ვერც ერთი სულიერი ბედავს.

უცებ საიდანღაც უცხო ხმა ისმის. ვიღაც მდინარეს უახლოვდება, ჯავშნოსანს ხმა აშინებს და ჯავშანში იმალება.

მალე ხელი ეხება ჯავშანს. ხელი ცივია, თუმცა ჯავშნოსანს ცივი სისხლი აქვს და ვერ გრძნობს სიცივეს, ის დიდ შავ თვალს და სილასავით შავ თმას ხედავს. ჯავშნოსანი უყურებს თვალებს და შიში იპყრობს, არ იცის, რას უმზადებს მისი პატრონი.

ხელი ჯავშანს მაგრად ეხება, მერე თითით აკაკუნებს ზემოდან. შიგნით დამწყვდეულმა არსებამ არ იცის, როგორ მოიქცეს. თვალებს ხუჭავს და საკუთარ გულისცემას ისმენს.

ხელი ქვასავით ატრიალებს ჯავშნოსანს, მერე ისევ აკაკუნებს ზედ და მეორე ნაპირისაკენ ისვრის. ჯავშნოსანი ოდნავ სცილდება წყალს და ტალახში ეფლობა. ის ვერ გრძნობს ტკივილს, მხოლოდ გაოცება და შიშია მის სიახლოვეს.

მეორე დღე

მზიანი დღეა, ნაწვიმარი მიწა დამსკდარია. კალაპოტში მდგარი მდინარე სულმოთქმული, მშვიდად მიედინება. ტალღებთან სხვადასხვა ფრინველი მოდის, ყვირის, ფრთას იქნევს და სილაში ჯდება.

ჯავშნოსანი მძიმედ მიცოცავს, სხეულის აზიდვა უჭირს. ცდილობს, არ წაიფორთხიალოს, მაგრამ არ გამოსდის. ხვდება, რომ სილაში სიარულს სჯობს, მაგარ ზედაპირზე იაროს.

მოგვიანებით გზაზე გამოდის. მანქანის საბურავებისაგან დატოვებულ ორმოში დგება. ორმო, რა თქმა უნდა, უსწორმასწოროა და ალაგ-ალაგ ატალახებული. ჯავშნოსანს სიარული უჭირს, ფეხებს ძლივს მიათრევს.

ორმოდან ამოდის და მაღლა მიცოცავს — ზემოთ, მაჟალოებისკენ მიდის, დგება ერთ ადგილას. ხედავს, დიდი ჯავშნოსანი კვერცხს დებს და მიდის, უკან არ იხედება. უკან იხევს, მდინარისკენ იღებს გეზს.

მდინარე დიდდება, კალაპოტიდან გადმოდის, ხეზე დადებული კვერცხი გორავს, კენჭებზე ტყდება და იქიდან ახალი ჯავშნოსანი გადმოდის.

მესამე დღე

ქარია... მდინარე ისევ ადიდებულია. ვერხვის გაყვითლებული ფოთლები გზებზეა მოფენილი. მდინარის საზარელი გრიალი ისმის.

ჯავშნოსანი თვალს ახელს, ჯავშნიდან თავს ჰყოფს, სივრცეს ათვალიერებს. წყალი სახეზე ეხლება. შეშინებული ჰყოფს თავს ჯავშანში, მერე გარშემო იხედება — ხედავს, რომ ხე, სადაც კვერცხები იყო, იქ აღარ დევს, იქ აღარც მეორე ჯავშნოსანია.

მას არ შეუძლია, გაიქცეს, თუმცა სურს. ჯავშნოსანი ნელი ნაბიჯით შედის მდინარეში, ფსკერს ათვალიერებს — ხედავს წვრილ, მწვანე ბაყაყებს ლამში სანახევროდ ჩამალულებს, თავკომბალებს, თევზებსა და ხავსებს.

ხე არსადაა. ამიტომ მაღლა ამოდის, მერე ისევ მანქანის საბურავის კვალში დგება. ხედავს მაღალოებთან თეთრ, ლამაზ კვერცხს, რამდენიმე საათი წევს მიწაზე. იქ არავინ მოდის. ჯავშნოსანი უკან ბრუნდება.

ქარი იმატებს. სილას მდინარესთან ყრის. ხმელი ტოტები აქეთ-იქით ცვივა. ზოგიერთი სანახევროდ გამხმარი ჭადარი მოხუცივით იხრება, ლამის გადატყდეს.

ჯავშნოსანი მდინარესთან წევს. საიდანღაც ისევ ისმის ადამიანთა ხმა, მერე რაღაც გუგუნებს. ეს ძრავია, სატვირთოს ძრავი. ჯავშნოსანს ძარაში მსხდომი აყაყანებული ბავშვებით სავსე სატვირთო უახლოვდება. ჯავშნოსანი ქვებში იმალება. ბავშვები მდინარეში შედიან. ჯავშნოსანი ჩუმად ხედავს, ერთი ბავშვი მეორეს ჯოხს უღერებს, მეორე სადღაც მოზრდილ ხეს პოულობს და ისიც იმავეს აკეთებს.

შუადღეა. მზე გადასულია. ჯავშნოსანი ხეს ჯავშნით აწვება, მაგრამ ხე დიდია და ვერ ძრავს.

ცოტა ხანში ის ისევ საბურავის კვალშია, ისევ მაჟალოების სიახლოვეს ჩერდება რამდენიმე საათი. იქ ისევ არავინ მოდის.

ჯავშნოსანს მდინარის გაძლიერების ხმა ესმის. ნაპირთან ბრუნდება. ხე ისევ არ არის — მდინარემ წაიღო, ტალღამ შთანთქა, ტალღამ შთანთქა მისი გულიც, ცივმა ტალღამ, თუმცა ჯავშნოსანსაც ცივი სისხლი აქვს და ის ვერ გრძნობს სიცივეს.

ამირან ბასილაშვილი

იქაური ნოველები

ცაცო

იყო ასეთი ადამიანი, ცაცო — პატარა, სასაცილო და საყვარელი შესახედაობის ქალი. სოფლის მოხუცებს მოურჯულებელ ფრჩხილებს აჭრიდა.

ერთიც არის და სკოლიდან ვბრუნდებით. შუადღე იყო და მზე კარგად აჭერდა. ცაცომ სკოლის გვერდითა ორღობიდან ჩამოუხვია. საითაც ჩვენ მივდიოდით, მასაც იქით ედო გზა. უცნაური სიარულის მანერა ჰქონდა, ტერფების წინა ნაწილებით დადიოდა, ქუსლებს მიწას არ აკარებდა. ხელში ქოლგა დაეჭირა. მგონი, პირველად მაშინ გავიგე, ქოლგის ქვეშ წვიმის წვეთების გარდა მზის სხივებსაც რომ შეიძლებოდა, დამალვოდა ადამიანი.

ერთი ოხერი ბიჭი გვერია. მალ-მალე გახედავდა ცაცოს და წაიმღერებდასავით: „ცაცოო, ცაცოო...“ ჩვენთან სხვა ბიჭიც იყო, იმ პირველზე მეტად ოხერი. ყველა სიტყვაზე შაირი იცოდა, არც ახლა დაახანა და მეგობრის დაწყებული გააგრძელა: „ცაცო, ცაცო, მოდი, დაგაფაცო“. ბოლო სიტყვაზე ხმას დაუდაბლა და ცაცოს შეშინებულმა გახედა. ეს ყველასთვის მოულოდნელი იყო. ცაცო ქალი იყო, ბებიაჩვენების ტოლა და იმაზე უზრდელობა არ შეიძლებოდა. ბიჭს ეს გაუაზრებლად მოუვიდა, ისე იყო დაჩვეული შაირობას, ვეღარ მოისაზრა, ვიზე რას ამბობდა. ცაცომ ქოლგა ძალიან სწრაფად დაკეცა, ხმალივით ჩაავლო ტარში ხელში და შე ბოზიშვილოო, მოშაირისკენ გაქანდა. მოშაირემ მოკურცხლა. ცაცო იმას ვერ დაეწეოდა და არც დიდად მოუნდომებია. ამასობაში ილაანებს მივუახლოვდით. ცაცოს იქ უნდა აეხვია. გზა გადაკვეთა და აღმართს აუყვა. მერე უცებ შემობრუნდა და მომაძახა: „ბაბოშენ ფჩხილები არ გეეზარდა?“ ჩემს პასუხს არ დალოდებია, თვითონვე უპასუხა: „გეეზდებოდა, მა რა იქნებოდა, ფჩხილები იგეთი რამეა, მკვდარსაც კი ეზდება“.

იყო ცაცო. აღარ არი. მუდამ სიკეთესა და სიყოჩაღეს ასხივებდა ეს კალიასავით მოხტუნავე ქალი. სხვებიც ყოფილან და აღარ არიან. ჩვენც ვართ და ერთ დროს აღარ ვიქნებით. დავრჩებით მოგონებებად? ვიქცევით მოთხრობებად?

სამგლოვიარო ცეკვა

რაც თავი მახსოვს, პაპაჩემიც მახსოვს და რაც პაპაჩემი მახსოვს, ღიოლას ბიჭიც მახსოვს. ღიოლას ბიჭი, დიდსათვალიანი ოთარა, კუნტაანთ ალე, პაიჭაძე, ბინდიანი შალო, ხუტა, რომელსაც ბებიაჩემი ღუტას ეძახდა და დედაჩემის კლასელი ტაკლას ბიჭი პაპაჩემის სამეგობრო წრე იყო. დადიოდნენ და დაქეიფობდნენ.

პაპაჩემს ახალგაზრდობისდროინდელი ამბების გახსენება უყვარდა, ქეიფებისას რომ გადახდებოდათ ხოლმე. ღიოლას ბიჭს, ამ შობელძაღლს, ცოლის მოყვანა დაუგვიანდა — დაიწყებდა პაპაჩემი — პატარა ძმები დაენიშნენ, ეს კიდე დაეხეტებოდა უცოლოთ. რაც მაგის ცოლის ძებნაში ჩვენ დრო ვატარეთ და გართობა ვნახეთ. ერთხელ ერთგან ქალი მიგვასწავლეს, კარგი, პატიოსანი, მშრომელი. წაველით სანახავათ. ღიოლას ბიჭის ბედი რა ვთქვი — მივედით ოჯახში და დაგვხვდნენ ჩაშავებულები. პაპა მოკვდომოდათ. იმ დროს კი ეგეთ რამეებს დიდ ყურადღებას აქცევდნენ, ეს საქმე ორმოცამდე გადაიდებოდა. ამ გოგოს მამამ და მიცვალებულის შვილმა არ დაიშალა, სუფრა გააწყო, ისე არ გამოგვიშვა. კახეთში ეგრე ვინ იქცევა, არავინ, მაგრამ, ჰა და, გააკეთა კაცმა. დავსხედით იმ სუფრასთან და ერთი ხელადა რო უცბათ გამოვცალეთ და გოგომ მეორე შემოიტანა, ღიოლას ბიჭს გავკარ მუჯლუგუნი. თავი დაბლა დეეხარა და იჯდა გარინდებული. გოგო მალევე გავიდა. თურმე რატო არ შეეხედა — შავებში ყველა ქალი ერთნაირია, თან რაღა მგლოვიარე უნდა დამენახა პირველათო. დიდი ოხერი იყო. ხელადები უცბათ იცლებოდა. მოსაღამოვებულიყო და ჩვენც გვარიანათ შევთვერით. ზნე მქონდა, სიმთვრალეში მაგიდის კიდეს ხელებს შემოვადებდი და წკაპუნს ავუტეხავდი, ვითომ დოლი იყო და ვუკრავდი, თან პირით აკომპანიმენტს ვუკეთებდი, დუდუკს ვაჯავრებდი. კარგა რო გავახურე, მიდი, აბა, ჰა-მეთქი, ვუთხარი ღიოლას ბიჭს. რანაირადო, ხელი გაიშვირა კარისკენ, ვითომ მკვდრისკენ. სამგლოვიარო-მეთქი, ვუთხარი. წამოდგა ღიოლას ბიჭი, თავი გვერდზე გადააგდო, თვალები აიწყლიანა და ნელი მოძრაობით, თამაშ-თამაშით მაგიდას შემოუარა. აეს იყო ეს ამბავი. არ ვიცი, მასპინძლებმა დაგვინახეს თუ არა, მაგრამ ჩვენ იმ ოჯახში ქალის სათხოვნელად აღარ მივსულვართ. მეორედ კიდე ლაგოდეხში მოვხვდით — გააგრძელებდა პაპაჩემი — ხუტამა თქვა, მაიტა, აქ მოვიკითხოთ ქალი, იმერლებშიო. სოფლის ბოლოსკენ მიგვასწავლეს. მივედით. მანქანიდან გადმოვლაგდით და სახლისკენ წავედით. კარი შევაღეთ და დაძახებას ვაპირებდით, რო აივნისკენ გაგვექცა მზერა. აივანზე ქალი იდგა და წვერს იპარსავდა. უჩუმრათ გამოვიხურეთ კარი და უკან გამოვბრუნდით.

პაპაჩემის წლისთავი ახალი გასული იყო. ბებიაჩემმა მშენებლობა წამოიწყო, შენ დაინიშნები, შენი და გათხოვდება და ყველაფერი რიგზე უნდა იყოსო. პაპაჩემის ყველა ცოცხლადდარჩენილი ძმაკაცი გამოცხადდა ხუტას გარდა. ხუტა ანგელოზებს მიჰყავდათ, მაგრამ ეს ფეხს ითრევდა, აყოვნებდა, თითონაც წვალობდა და სხვებსაც აწვალებდა. პაპაჩემს უთქვამს, ვერ არი კარგად, აღდგომას წითელ კვერცხს ვერ დაიჭერსო, მაგრამ თითონ ვეღარ გაუგორა წითელი კვერცხი თავის მშობლებს, ვერც ჭიქა ღვინო წაუქცია იმათ საფლავებს და მერე ვეღარც ნაჭერი პასკა მიაყოლა. ასე იცის ხოლმე ცხოვრებამ, რატომ კი, ვერ ვიტყვი.

მშენებლობაზე პაპაჩემის ძმაკაცებმა ძველებურად, დაუღლელად იმუშავეს. მერე სუფრას შემოუსხდნენ და ალალი ლუკმა ჭამეს. ღვინოც მიაყოლეს და, რაღა თქმა უნდა, დათვრნენ.

სიმთვრალეში ღიოლას ბიჭს ენა ებმებოდა, ბლუვდებოდა. ვისხედით ეზოში, პაპაჩემის დარგული თხილის ხის ქვეშ ქართველურ სუფრასთან და ღიოლას ბიჭი მალ-მალე გაიშვერდა ხელს მთის ფერდისკენ, სადაც სასაფლაო მოეწყო სოფელს და იტყოდა: „აააგ... იქ ჩემი ძმმაკ...იიი...“ მერე მჯიღს ჩაიცემდა გულში და თავს გააქნევდა.

როგორც იქნა, წამოვიშალეთ. ლაპარაკ-ლაპარაკით წავედით ქუჩისკენ. გარეთ რომ გავედით, ბებიაჩემი იქ დაგვხვდა. ქიშოს ამოევლო და იმას ელაპარაკებოდა. ქიშო რემონტებს აკეთებდა. პაპაჩემს ერთხელ საქმე დაუვალებია, შვილიშვილი გამომყავს სამშობიაროდან და, აბა, შენ იცი, ყველაფერი დროით გააკეთეო. ქიშოს ჯერ ცოტა მოუყლურწავს, მერე კიდევ ცოტა, ეს ცოტა ნელ-ნელა გაბევრებულა. მერე უფიქრია, უფრო სწორად, აღარ უფიქრია, ამდგარა და დაუძინია. დილით ნამთვრალევი დახვედრია პაპაჩემს. ხარაჩოზე მდგარა. „რეიკას ხელი წამოვავლე და ფეხებში მოვდე, იმან კიდე ქაფჩა მესროლა, ჩამოხტა და გაიქცა. მესამე დღეს მოვიდა ნირწამხდარი. ერთი ტყაჩა გავადინე და ეგ იყო“. ამას ისეთი ტონით ამბობდა პაპაჩემი, სიამაყეშერეულ სინანულს ჰგავდა, ბოლომდე მართალი არ უნდა გონებოდა ის ერთი სილის გაწვნა.

ღიოლას ბიჭი კარგად იყო, მეტი რომ არ შეიძლება, ისე. ხან წინ გადაიხრებოდა, ხან — უკან. ქიშო რომ დაინახა, მოცოცხლდასავით. ახლოს მივიდა და საყელოში ჩაავლო ხელი. ქიშომ გაიცინა და აქ-იქ შემორჩენილი გაყვითლებული კბილები გამოაჩინა. ღიოლას ბიჭი რაღაცას ებურტყუნებოდა, მერე თავი გაუქანა და სახეში ჩაარტყა. ქიშო წაიქცა. ღიოლას ბიჭი ზემოდან გადააჯდა და ხელები დაუშინა. ჩვენ კარგა გვიან მივცვივდით. ღიოლას ბიჭი გამოვიყვანეთ, მაგრამ კიდევ იწევდა მამალივით. ქიშო ნელ-ნელა დგებოდა, ცხვირიდან სისხლს იწმენდდა და თან ამბობდა: „რას ამობ, შე ღმერთძაღლო, როდინდელი ამბავი, რას ამობ...“

რუსი

რუსი ალე რუსი სულაც არ იყო, დედა ჰყავდა უკრაინელი. კახელები ლიხს იქით ყველა ქართველს იმერელს ეძახდნენ, უფრო მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი სლავი ხალხის გარჩევაში ვერ შევიდოდნენ. კაცს თუ ქერა იერი დაჰკრავდა და რუსულის მსგავს ენაზე ლაპარაკობდა, რუსი იყო, მორჩა და გათავდა.

რუსეთმა რომ ტანკები და თვითმფრინავები მოგვისია, ტანკებმა ვერა, მაგრამ თვითმფრინავებმა კახეთამდეც მოაღწიეს და ბომბები აქაც ჩამოყარეს. ლტოლვილები და დედაქალაქს გამორიდებული ხალხიც მოაწყდა კახეთს. მომსვლელი ბევრი იყო. ჯემალას ცოლი ცხინვალიდან ჰყავდა. დიდძალი ხალხი დაატყდა თავს, ცოლის ძმები ოღლოჭიჭობით. ძლივს გამოუსწრიათ. მოვიდნენ დაღლილები, ომგამოვლილები, სიკვდილს თუ უარესს თვალებში ჩამხედავები. ჯემალას გვარიანად მოზრდილი სახლი ედგა, მაგრამ როგორც სახლების უმეტესობას კახეთში, მეორე სართული გასამართი ჰქონდა. ეს არ აღელვებდა ჯემალას, მოსულების ნაწილს მეზობელთან დააძინებდა. მეზობელი რისი მეზობელია, ომის დროს შენთან შემოკედლებულებს ორ საწოლს თუ ვერ გამოუძებნის. „ასე, ჩემო რუსო, ეს ხალხი დამაძინებინე როგორმე, გოგო-ბიჭები, დიდებს მოვათავსებ რაღაცნაირათ“ — უთხრა ჯემალამ რუს ალეს. რუსმა ხელები გაშალა, რაც თანხმობასა და მზადყოფნას ნიშნავდა.

გვიან ღამით გადაიყვანა მოსულები ჯემალამ ალესთან. ორი ახალგაზრდა ქალი იყო, ჯემალას ცოლისძმის რძლები, უფროსს ორი ბავშვი ჰყავდა — ბიჭი და გოგო, უმცროსს — ბიჭი, გორული ვაშლივით ლოყაწითელა. ამ ბავშვის ლოყებით თუ გამოხატულიყო ამ ოჯახისა და მთელი ქვეყნის იმედი. არ შეიძლება, ასეთი ლოყებისმქონე ბავშვის პატრონები ომს არ მოერიდონ, სიცოცხლე არ გადაირჩინონ, რათა მერე, წლების შემდეგ, ისევ დაუბრუნდნენ წინაპართა მიწას, ისევ ლოყაწითელა გოგო-ბიჭები გაზარდონ და თუ ომი ისევ დაიწყება, კვლავ გამოერიდონ, კვლავ იცოცხლონ, გაძლონ და მერე ისევ იქ დაბრუნდნენ, საიდანაც გამოიქცნენ.

დედა-შვილები ჯემალას ცოლის გაწყობილ საწოლებში ჩაწვნენ. ძილი ჩასაფრებულივით გამოხტა და თავი წაართვათ. წითელლოყება ბიჭი ვერ იძინებდა. „დედა, ეს კაცი რუსია, რამე რომ დაგვიშავოს?!“ „ნუ გეშინია, დე, რუსი არ არის, ასე ეძახიან, რუსი არ არის, დაიძინე“ — დედამ შვილს ლოყაზე ხელი მოუთათუნა და საბანი შემოუკეცა.

სახელი და მეტსახელი

იქ მეტსახელი ყველას აქვს. ყველა ვიღაცა, ვიღაცის ბიჭი, ვიღაცის შვილიშვილი ან ვიღაცაანთია. მეტსახელს საზოგადოება არქმევს ადამიანს და ის არ შეცდება, სიზუსტე არ უღალატებს. მეტსახელის დარქმევით ადამიანი სოციუმის სრულყოფილი წევრი ხდება. კაცის ნამდვილი სახელი კი ოჯახს გარეთ დავიწყებას ეძლევა. მერე დრო გავა, ათასგან ივლი, იხეტიალებ, მობრუნდები, სასაფლაოზე მოგიწევს გავლა — სანადიროდ, შეშა-ფიჩხის მოსატანად ან სალოცავში სადღეობოდ. გაიხედავ და ახალი ტრაფარეტები მოგხვდება თვალში. დააკვირდები და წერია სახელი და გვარი — ესა და ესაო, ფრჩხილებში კი მეტსახელი მიუწერიათ (რწყილა, ორგულა, ფაშა, ყიტა, ცხენა, იმერელი, ფეხა, კურკა, გამგე, იასონა, ბაჭია, ბოროტა, მერცხალა, ჯღაბა, მურტალო, წყეული, ჭუტე, კრუზო, უცხვირო, პუპლიკა, ტარზანა, გადაბმული...). მთელი ცხოვრება მეტსახელით ცხოვრობენ. კვდებიან და ნამდვილ სახელებს იბრუნებენ.

დაკრძალვა

მაღალი, ცოტა დიდთავა, შავი კაცი ეზოში დაუძახებლად შემოვიდა და სახლისკენ გაემართა. დაძახება საჭირო აღარ იყო. ამ დღეებში ამ ეზო-ყურეში არცერთი შემსვლელი არ დაიძახებდა. ან ვისი სახელი უნდა დაეძახათ? ვასილა აღარ იყო, მომკვდარიყო. ცალფეხა წასულიყო იმქვეყნად.

ზამთარი იყო, ყინავდა. ჭირისუფლები მიცვალებულის გარშემო დიდხანს ვერ ჩერდებოდნენ. ვასილა მეორე სართულზე მისაღები ოთახის გაყინულ კედლებში დაესვენებინათ. ჭირისუფლები ხშირ-ხშირად ჩამორბოდნენ პირველ სართულზე და შეშის ღუმელს ეფიცხებოდნენ, გაყინულ სხეულებს ითბობდნენ.

მაღალი კაცი ვასილას მეზობელი იყო, სამი სახლის იქით ცხოვრობდა. მოსულიყო თავისი მეზობლური ვალის მოსახდელად — საფლავის გასაჭრელად უნდა წასულიყო. მის შესახვედრად ვასილას ერთ-ერთი შვილიშვილი გამოვიდა. „წავიდნენ უკვე, ჯო?“ — შეეკითხა მეზობელი. ჰოოვო, თავი დაუქნია შვილიშვილმა. „მაშინ მეც ავდგები“ — თქვა მეზობელმა და უკან გაბრუნდა.

* * *

„გიავ, ქელეხ მარხვით აკეთებ?“ — ჰკითხა მეზობელმა ვასილას უფროს ბიჭს. „რა მარხვით, მარხვით რო გავაკეთო, კუბოი ვინ ამიწევს?!“ — გია ღუმელთან დახრილიყო და შეშას უკეთებდა. „რავი, იგრე გკითხე, მოდაა ეხლა“ — თქვა მაღალმა მეზობელმა, ჭუჭყიანი ბუშლატის ღილები გაიხსნა და ფეხი ფეხზე გადაიდო.

* * *

„რა კოხტა მიცვალებულია, შვილო, მამაშენი, სახეზე ნათელი აფენია, ფეხმოჭრილი კი წევს“ — ოთახიდან გამოსვლისას უთხრა ვასილას ცოლმა შვილს. კარი გამოიხურეს და გასათბობად გაემართნენ. აივნიდან ვიღაცები ჩანდნენ, ფეხით მოდიოდნენ, მოყინულზე მანქანით ვერ ამოვიდოდნენ.

შემოსულებს ვასილას ნაბოლარა გოგო შეხვდა. ვასილას დიშვილი იყო ქმრით. „ყავის დალევა ვერ მოვასწარ, ნონა მოდისო, მითხრეს, გამოვვარდი სატირლათ“ — დაიმორცხვასავით ვასილას გოგომ. „რას ამბობ, არა გრცხვენია, ჩემთან ტირილი რათ გინდა“, — უთხრა ბიძაშვილმა და გადაეხვია.

* * *

დაკრძალვის დღეც დადგა და თოვაც დაიწყო. გასვენებას აჭიანურებდნენ, თბილისიდან სტუმრებს ელოდებოდნენ.

— რატო არ გაასვენებენ, რაღას უყურებენ? — იკითხა მაღალმა მეზობელმა. ეზოში ცეცხლი დაენთოთ და მეზობლებს მის გარშემო მოეყარათ თავი. ამ მეზობელს ისევ ის ჭუჭყიანი ბუშლატა ეცვა და თავზე ცოტა უცნაური ქუდი ჩამოეფხატა. ქალაქიდან ხალხს ელოდებიანო, გამოეპასუხა ვიღაცა.

— ჯო, ინდური კინო ხო არ არი, აზრი ვერ გამაიტანონ, რა დალოდება უნდა?! — ოდნავ გაღიმებულმა წარმოთქვა და თუთუნის გახვევა დაიწყო.

* * *

ორხიდიანით აასვენეს ვასილა სასაფლაოზე. კუბოს ქვეშ ხალიჩა გაუფინეს და ისე დაასვენეს ძარაზე. ტყეში ნატარი მანქანა იყო, ნახერხი და ნაფოტები აქა-იქ მაინც ეყარა. ჭირისუფლები ფეხით გაყვნენ — ვისაც ეხალისებოდა, ვისაც არა და — მაღალი გამავლობის მანქანებში ჩასხდნენ. გაჭრილი საფლავისთვის ცელოფანი გადაეფარებინათ. ვასილას მიწა ელოდა, ცოტაც და კიდევ ერთ ადამიანს ჩაიკრავდა გულში, ხორცს ჭია-ღუას შეაჭმევდა, ძვლებს კი მიიბარებდა სამუდამოდ.

დიდხანს აქაც ვერ იტირეს. თოვამ მოუმატა. თოკი, თოკიო, დაიძახეს. „თოფი რად უნდათ, ბიძია?“ — ერთმა თბილისელმა გოგომ გაკვირვებული თვალები მიაპყრო გვერდით მდგომ კაცს, რომელსაც ჭუჭყიანი ბუშლატა ეცვა, ნიჩაბზე დაყრდნობილიყო და გაზეთში გახვეულ თუთუნს ეწეოდა. „რატო და ახალგაზრდობაში ჯარში მსახურობდა და ეხლა ზალპი უნა მოუწყონ,“ — ქალაქელი გოგოსთვის არ შეუხედავს, უკვე კარგად თოვლდადებული მიწის გროვისთვის გაეშტერებინა მზერა და პირიდან თუთუნის ნაწილებს აფურთხებდა.

გიჟი

ყველა სოფელს ჰყავს ექიმი, მღვდელი, მასწავლებელი, გიჟი, კოჭლი, ბრმა — რამდენიმე აუცილებელი პროფესიისა და გარკვეული ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანი.

ოფიციალური გიჟი არ მენახა, სანამ გიჟმა ავთომ ჩვენს სკოლასთან არ გამოიარა. მაღალი იყო, მხარბეჭიანი, ახალგაზრდობისდროინდელი სიმპათიურობა ბოლომდე ვერ გაექრო ჭკუიდან გადასვლას. გაბურძგნულ თმას იაფფასიანი კეპი ვერ უფარავდა. გრძელი თეთრი წვერი ჰქონდა, რომელსაც აქა-იქ სიყვითლე დაჰკრავდა. ნელ-ნელა მოდიოდა, ალაგ-ალაგ ჩერდებოდა და გზის მეორე მხარეს, სკოლის ეზოში გამოშლილი ბავშვებისკენ ხელებს იშვერდა და გვიყვიროდა, ჯოჯოხეთის ცეცხლში დაიწვებითო. ალბათ სხვა რამესაც ამბობდა, მაგრამ მე მარტო ეს სიტყვები დამამახსოვრდა. ავთოს, იქნება და მართლა სიგიჟით მოსდიოდა, მაგრამ თუ ჯოჯოხეთი მართლა არსებობს, იმ ბავშვებიდან ცოტანი არ ვიქნებით მისი კერძები. დიდი ხანია, ბავშვები აღარ ვართ, სულები გამოვიცვალეთ, ღმერთს უკან დავუბრუნეთ ის სული, ადამთან ერთად ჩვენს ნესტოებსაც რომ ჩაბერა.

ავთომ რა, ჩვენ ვიკითხოთ, ჭკუას მიუღწევლებმა და ჭკუიდან ვერგადასულებმა. ვერაფერი დაგვძრავს, ვერც იქით, ვერც აქეთ. მაგრად ვდგავართ.

ილო

შეგინდეგისას საბაწმინდის უბანში მოხვედრილს შეიძლება გალობის ან სიმღერის ხმა შემოგფეთებოდა. ეს ხმა ილოსი და დიაკვან მარკოზისა იყო. საღამოს ლოცვიდან სახლში ბრუნდებოდნენ. მწუხრ-ცისკარი ელოცათ, მოდიოდნენ მკლავგაყრილები ან ხელგადახვეულები და ხან მღეროდნენ, ხან გალობდნენ.

ილოს ყველა იცნობდა, ვინც საბაწმინდაში ერთხელ მაინც ყოფილიყო. ილოს ყოველთვის სუფთად ეცვა, ჯინსის ან ნაჭრის შარვლის საქამრეზე კი რკინის ძეწკვი ჰქონდა გამობმული, რომელიც ჯიბეში იკარგებოდა. ძეწკვზე უამრავი ბრელოკი, პატარა მაკრატელი, დანა იყო ასხმული. უამძეწკვოდ ილო სახლიდან არ გამოდიოდა. ხალხმა იცოდა ილოს გატაცება და ბრელოკებს, ძეწკვებს ხშირად ჩუქნიდნენ. ილო ძალიან ხარობდა, კოლექციას კიდევ ერთი ნივთი რომ ემატებოდა.

ილოს მეორე გატაცებაც ჰქონდა, უფრო საშიში, ვიდრე პირველი. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ოცნება არ აუსრულდა და საკუთარი „დრუჟბა“ არასდროს ჰქონია. ვერავინ აჩუქა.

ილო „დრუჟბის“ ხმას ყურს რომ მოჰკრავდა, ბავშვივით აღტაცდებოდა ხოლმე, სახე გაუბრწყინდებოდა და იწყებდა „დრუჟბასთან“ დაკავშირებული ამბების მოყოლას. ეს ამბები იყო აუარებელი და მრავალფეროვანი: როგორ დადიოდა ტიტიბაანთ ტარიელა თავისი ურჩი ვირითა და „დრუჟბით“ ტყეში და იქიდან დღეში სამ-ოთხ საპალნე შეშას ეზიდებოდა; ბირჟაზე ძმები ივანიჩები ამბობდნენ ბასილაანთ კაკოზე, ისეთი მაგარი მეტყევეა, რაც ის ცულითა ჭრის, ჩვენ „დრუჟბით“ ვერა ვჭრითო; ყაჩაღაანთ გივისა და გუგლუჭას გზაზე ჩხუბი მოსვლიათ და გივი დამუქრებია, აემ „დრუჟბით“ თავს მოგაჭრიო; იოველის ბიჭს თბილისიდან ახალი ყაიდის „დრუჟბა“ ჩამოუტანია, მაგრამ არ გამოსდგომია და უკან უნდა წაიღოს შესაცვლელად; ბაკურციხელ მეტყევეებს დიდი მუხა შეხვედრიათ, ექვსმა კაცმა ძლივს შემოვაწვდინეთ ხელიო, მიადგნენ თურმე და სამი „დრუჟბა“ ზედ მიაფშვნეს. ვიღაცას, ვინ იცის როდის და რა მიზნით, ხისთვის მავთულები შემოუჭერია. ხე გაზრდილა, ეს მავთულები შეუწოვია და მიუმალავს. ბაკურციხელებს მოუწევთ ახალი „დრუჟბების“ ყიდვა ან ხელობის შეცვლა...

იმ დღესაც „დრუჟბის“ სიყვარულმა გაიყვანა გარეთ. დეკემბერი იყო. მეზობელმა დაუძახა, ჩემთან გამო, ილო, შეშასა ვჭრიო. გავიდა. მჭრელი ქვემოთაუბნელი, სახედაჯირჯვლებული ბიჭი იყო, ავარიაში მოყოლილიყო და არ ვიცი, რა მოსვლოდა, სახე კი მუდამ ნაცემ-ნაბეგვს უგავდა. ახალი დაწყებული ჰქონდა შეშის დაჭრა, მაგრამ მალე დაამთავრებდნენ, ბევრი არ იყო. სახედასიებულმა ბიჭმა სიგარეტის ნამწვი მოისროლა, „დრუჟბა“ ამოქოქა და ილოს დაუძახა, მოდიო. დაქოქილი „დრუჟბის“ სახელურზე — ჯერ ერთი, მერე მეორე ხელი ნელ-ნელა მოაკიდებინა და თითონ განზე გაიწია. ილოს ბედნიერებისგან აკანკალებდა, ამიტომ ხეზე „დრუჟბის“ პირის დადებისას, აქეთ-იქით უხტებოდა და ხაზებს ავლებდა. ერთი მორი ჩამოვარდა, მერე — მეორე. მეზობელმა ხის დარჩენილი ნაწილი გამოსწია. ახლა უფრო თამამად დაადო ილომ „დრუჟბა“ ხის ზედაპირს. ბღუოდა „დრუჟბა“, თითქოს არ უნდა ხის ერთიანობა დაარღვიოსო, ზედაპირზე შეხებისას ხმა უმძაფრდებოდა, მერე ნელ-ნელა გაილაღებდა და მორიგი მორის დაცემისას, თითქოს ამოისუნთქავდა.

იდგა ილო, სახეანთებული, ტანზე ოფლმომდგარი. შუბლს იჭმუხნიდა ნახერხის მოხვედრისას. ხუჭუჭა თმაზეც დასდებოდა ნახერხი.

შეშის დაჭრას სუფრა მოჰყვა. ერთი ჭიქა ილომაც დალია და სახლში წავიდა. განცდილი სიხარულისგან თუ ალკოჰოლისგან სახლის კართან მისულმა ქვას ფეხი წამოკრა და წაიქცა. აქ ქვები ყოველთვის იყო, მაგრამ ფეხი არასდროს წამოუკრავს. იქნებ, ამ ქვებსაც ჰქონდათ მისია — ჩამსხდარიყვნენ მიწაში და იცდიდნენ.

იქაურები ამბობენ, ღმერთსაც კარგი უნდა თავისთვის და კარგები იმიტომ კვდებიან მალეო. ვითომ მართლა ასეა? ასეთი მოუთმენელია ღმერთი?!

იქაური ზღაპარი

ახალგაზრდა, არცთუ გამხდარ ქალს მოსახვევი წაუკრავს თავზე და ცომის მოზელა დაუწყია. მკლავები აკაპიწებული აქვს. ჯანიანი ქალია და ცომს მუშტებს ძლიერად უშენს. გამეცადინებული ჩანს ამ საქმეში — დამწყებიაო, ვერ იტყვი.

თამრო ახალი რძალია, ჯერ კიდევ პატარძლად მოიხსენიებენ უბანში. დედამთილს გაზაფხულზე წნევამ დაარტყა და ლოგინად ჩააგდო, თორემ თამროს ცოლის მოზელას არ დაანებებდა. ცომსაც მოზელდა და პურსაც გამოაცხობდა, ჩაეყუდებოდა გავარვარებულ თონეში, მაგრამ აღარ შეეძლო, რაიონში გათხოვილი გოგოს სახლში იყო, იწვა და საჭმელსაც ვეღარ ჭამდა თავისი ხელით.

თამროს ქმარი მუსიკოსი იყო, ბაკენბარდები მოეშვა და ულვაში დაეტოვებინა. მისი მუსიკოსობის ამბავი საქართველოს გასცდენოდა და საბჭოთა კავშირის დედაქალაქშიც კი მიეწვიათ რამდენჯერმე. უკრავდა გიტარაზე, დოლზე, „იამაჰაზე“ და სიმღერაც კარგად გამოსდიოდა. როგორც ამ პროფესიის ხალხს შეეფერებოდა, დღისით ეძინა და ღამით მუშაობდა — ქორწილში იყო, დღეობაში ან ძეობაში. ლხინის სუფრას რა გამოლევდა.

ცომი წამოფუვდა და ის იყო თამროს მეზობელთან უნდა გადაეტანა, რომ ეზოში ორი ქალი შემოვიდა. იქნებოდნენ ასე ოცდაათწლამდე, თამროს ასაკისანი, მაგრამ თამროსთან შედარებით უფრო მოვლილები იყვნენ — მათ ხელებს არც ცომში უმოგზაურიათ, არც ქათმებისთვის უყრიათ საკენკი და არც ძროხის ცურიდან ჩამოუწველიათ რძე.

ქერები იყვნენ, მაღლები და სასიამოვნოდ გამხდრები. კაცი ნაკლს ვერ უპოვიდა. ეტყობოდათ, რუსები უნდა ყოფილიყვნენ. საჩეხთან მოვიდნენ და თამროს გაკვირვებულ თვალებს რომ შეაწყდნენ, დათო აქ ცხოვრობსო, მერეღა იკითხეს. თამრო გაკვირვებიდან მალე გამოერკვა და, დიახო, უპასუხა. შენ ვინ ხარო, რუსის ქალებმა ურცხვად ჰკითხეს. მე დათოს და ვარო, მიუგო თამრომ. ცომის ჯამი სკამზე დააბრუნა და გოგოებს იქვე მდგარ ტახტზე მიუთითა, დასხედითო. თვითონ სამზარეულოში შევიდა, ძალიან მალე ლამაზი სუფრა გაანყო და მერე საძინებელში გავიდა. ქმარი გააღვიძა, სტუმრები მოვიდნენო. ვინ სტუმრებიო, დათომ, გვერდი შეიცვალა და ძილი განაგრძო.

თამრო საჩეხში გამობრუნდა, სტუმრებს სამზარეულოში შეუძღვა და სუფრასთან დასხა. სამზარეულოდან კვლავ საძინებელში დაბრუნდა, ქმარი მეორედ გააღვიძა და უთხრა, ყველაფერი გავამზადე, მე დედაჩემთან ჩავალ და დღეს იქ დავრჩებიო. დათო ისეთი ქმარი არ იყო, ბევრი გამოკითხვა დაეწყო — ცოლი ახალი მოყვანილი ჰყავდა და ახალმოყვანილმა ცოლმა მშობლების სახლში ხშირად იაროს, მითუმეტეს, თუ ისინი ახლოვე ცხოვრობენ, დიდი ამბავი.

თამრომ გაფქვილული წინსაფარი მოიხსნა, გულგრილად ჩაიხედა სარკეში, ტახტზე მიგდებული ჟაკეტი აიღო და მხრებზე მოიხურა. ცომის ჯამი მენჯზე შემოიგდო და მეზობლისკენ გაეშურა და სანამ ეზოდან გავიდოდა, რუსის გოგოების არცთუ მოკრძალებული სიცილი შემოესმა.

ნინო სადღობელაშვილი

თავისუფლება ზღვის საჩუქარია

წარმოიდგინეთ, რომ არსებობს შავი ზღვის რესპუბლიკა და თქვენ მისი მოქალაქე ხართ. ეს კი ნიშნავს — დედამიწაზე ყველაზე მშვიდობიანი, პაციფისტური რესპუბლიკის მოქალაქეობას, პარლამენტს — დიდ ყავახანაში; დასვენების დღეებივით სასიამოვნო სამუშაო დღეებს; არავითარ დედაქალაქს (რომელიმე ქალაქს რომ გული არ დასწყდეს), არამედ ცენტრს — სრულიად შავი ზღვის სანაპიროს; არა კონკრეტულ, არამედ ნისლოვან-ბუნდოვან საზღვრებს, რათა რომელიმე მილიტარისტულ ქვეყანას არ მოუნდეს ამ საზღვრების ჯერ პოვნა და მერე შევიწროვება; ეს ნიშნავს პატარა ქვეყანას დიდი და ფილიგრანული დიპლომატიით; რესპუბლიკას ასეულობით ბენდით, ორკესტრით, ანსამბლით და მუსიკალური ჯგუფით; ორი პლაჟით — ერთი იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც შავი ზღვის რესპუბლიკას აღიარებენ, მეორე კი მათთვის, რომლებიც არ აღიარებენ...

შავი ზღვის რესპუბლიკის მოქალაქეობა შესაძლებელია — თუკი წაიკითხავთ გურამ ოდიშარიას ახალ რომანს „შენთან-უშენოდ“; თუკი ჩაერთვებით რომანის პერსონაჟების ხალისიან და მახილგონივრულ კამათში, მათთან ერთად შექმნით ახალი რესპუბლიკის კონცეფციას, მოინდომებთ და გაიზიარებთ მის იდეას... ეს არაა ალტრუისტულ-ლიტერატურული თამაში, გნებავთ ჰუმანისტური სიმულაცია, ეს ომის რეჟიმში დაბადებული ჯანსაღი ავანტურაა, დაღუპვისგან ხსნის ვერსია, რომელიც მხოლოდ ისეთ მწერალს გაუჩნდება, ვინც ყველაზე კარგად იცნობს ზღვას...

გურამ ოდიშარია ასეთი მწერალია. მისთვის ზღვა ბედისწერულ ტოპოსად იქცა და განსაზღვრა კიდეც მისი შემოქმედებითი არეალი, სტილი, ატმოსფერო. მის ყველა ტექსტში ზღვა ზუსტად ის „ნისლოვან-ბუნდოვანი“ საზღვარია („შენთან-უშენოდ“), უფრო სწორად — ის უსამანო სამანი, რომელთან შეხებაც ბუნებრივად ცვლის ყველაფრის არსს, ბუნებრივად ბადებს ახალ რეალობას, ამ რეალობაში მყოფობის კოდექსს.

რომანი „შენთან-უშენოდ“ ცოტა ხნის წინ დასტამბა გამომცემლობა „ინტელექტმა“. ეს რომანიც ერთგვარი გაგრძელებაა იმ უწყვეტი მხატვრული რეფლექსიისა, რომელზეც ზემოთაც აღვნიშნე და რომელიც გურამ ოდიშარიას პროზას ყველა სხვა ავტორისგან გამოარჩევს. ესაა ომის ანატომია — სკრუპულოზული ნიუანსებით, შემზარავი პარადოქსებით, ექსტრემალური სიყვარულით და სიძულვილით. ამ თემას უღრმავდება, ფსკერამდე სწვდება მწერალი და გვთავაზობს არა მხოლოდ მის მხატვრულად გადამუშავებულ ნარატივს, არამედ პირადად განცდილის და თავსგადახდენილის დამაჯერებლობით ბეჭედდასმულ სინამდვილეს, ერთგვარ ავტობიოგრაფიულ ჰორორს, რომელიც, შოკისმომგვრელი დრამატიზმის მიუხედავად, მაინც მსუბუქად, ლაღად, „ადამიანურად“ იკითხება...

სწორედ ეს აქცენტი — თხრობის და განცდის სიმსუბუქე — ყველაზე მკაფიოდ ახალ რომანში იგრძნობა, და მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნიც ომის პრე და პოსტ ისტორიაა (შესაბამისად, ძნელი ამბებით და ვერგანელებული ტკივილებით დამუხტული), მაინც რთულია, დაარქვა მას რომანი ომზე. თუ მაინც და მაინც, ბანალურად დავაკონკრეტებთ, ეს გახლავთ სიყვარულის რომანი. სიყვარულის — თავისი ყველაზე ღვთაებრივი, იდეალისტური გაგებით.

რომანის მთავარი გმირი, ზაზა, ზღვისპირა ქალაქის ბინადარია, პროფესიით მევიოლინე, რომელიც ომამდე სოხუმის ტურბაზის ჯაზ-ბენდში უკრავდა. მამის ნაჩუქარ, თავის დროზე მის მიერვე ბელგიურ სანადირო თოფში გაცვლილ ვიოლინოს თვითონვე დაარქვა „ფრანცი“ — მაშინდელი ლეგენდარული ფეხბურთელის, ფრანც ბეკენბაუერის საპატივცემულოდ. ზაზა ტიპური ზღვისპირელია — „შავი ზღვის რესპუბლიკის მოქალაქე“ — ლაღი და კეთილშობილი, ზომიერად მარტოსული, ბევრი ამბავით და ცოტა ირონიით (თვითირონიითაც), სიცოცხლის მიმართ ისეთივე დამოკიდებულებით, როგორითაც ზღვისპირელები ზღვასთან ურთიერთობენ... მევიოლინეს ჰყავს მეგობრები, რომელთაგან ზოგიერთი ომის დროს „მეორე მხარეს“ აღმოჩნდება, აქვს წარსული და აწმყო — ერთმანეთისგან გამომდინარე, თუმცა მაინც გაბუტული დედმამიშვილებივით ცალ-ცალკე მდგომნი, რომელთა შორის გაჩენილ სიცარიელეს სულ სხვა მუსიკა აქვს და ზაზა ამ მუსიკის მოსმენას სწავლობს, და რაც მთავარია — აქვს უამრავი სასიყვარულო თავგადასავალი, ერთმანეთზე საინტერესო, უცხო, ლამაზიც და ცოტათი ვულგარულიც, გრძლად მოსაყოლიც და ერთსიტყვიანიც, მათ შორის კი ერთი, ერთადერთი, რომელიც ყველა დანარჩენს სხივებივით ისრუტავს და მარადისობის ილუზიაში ახვევს მევიოლინეს. ბელა, ირინე, დალი, სამანტა, ქეთრინი, სელმა, ლანა... — ამბების სევდიანი და მშვენიერი ჰერბარიუმი, სადაც მკითხველს შეუძლია პატარა თამაშიც წამოიწყოს — რომელი ქალია უფრო მიმზიდველი? რომელი უფრო დამაინტრიგებელი? რომელი უფრო საბედისწერო?

თუმცა, ეს თამაში ავტორის მიზანი არაა. ის ამ ჰერბარიუმით სულ სხვა ამბავს ყვება. მისთვის მნიშვნელოვანი არა რომელიმე ქალი ან კაცია, არამედ, ზოგადად — ადამიანი ომში და ომს გარეთ, ადამიანი — დევნილობაში, თავისუფლების ძიებაში, გადარჩენისთვის ბრძოლაში. ამ ექსპრესიულ დინამიკაში კი გზამკვლევად სიყვარული ეგულება. რა შეუძლია სიყვარულს ყველაზე დრამატულ ვითარებაში, ან რა რჩება მისგან, როცა ადამიანები პირუტყვებად იქცევიან და ფლეთენ ყველაფერს, რაც მიეცათ ადამიანობის ჯილდოდ და მეგზურად?! რა არის ის, რაც გაგანია ომში, სახლის დატოვების წინ ცოცხს ააღებინებს ხელში დიასახლისს და დაიწყებს დერეფნების ხვეტა-ლაგებას, რა მოტივი აქვს ამ ერთი შეხედვით აბსურდულ ქცევას?! „მტერს“ სუფთა დაახვედროს სახლი და ვინმეს ის არ ათქმევინოს, აქ ბინძურ დიასახლისს უცხოვრიაო? თუ უბრალოდ, უკანასკნელად აღასრულოს თავისი ქალური საქმე, უფრო — ჩვევა? თუ, ამით იმედი ჩაიტოვოს გულში, რომ მალე დაბრუნდება და სახლი ისევ წესრიგში დახვდეს?.. ალბათ ყველაფერი ერთად და კიდევ ისიც, რომ ამ ქალში (კრებით „ქალში“, ვისაც ომის დროს საკუთარი სახლების, ქალაქების, სოფლების დატოვება მოუწია) მთავარი ინსტინქტი ისევ სიყვარულია და არა სიძულვილი, რომ ისინი ახალ ბუნდოვან რეალობაში მაინც სიყვარულით შედიან და ეს კი ტოვებს იმედის ნასახს, რწმენის მისხალს საიმისოდ, რომ საერთოდ, მომავალზე დავიწყოთ ფიქრი...

ომის ანატომია სამშობლოს განცდასაც სხვა დიაგნოზით წარმოაჩენს. სამშობლოც ამორფულ, პირობით ცნებად მოჩანს სისხლით გადაღებილ ცხოვრებისეულ სილუეტებში. სოხუმიდან უღელტეხილის გავლით დევნილი მევიოლინე ასეთ ფრაზასაც ამბობს: „სამშობლო დამემალა... სადღაც გამექცა...“ ტრაგიკული კი ისაა, რომ ეს მხოლოდ იმ ერთი, „უღელტეხილის“ ეპიზოდის ეიფორია არაა, ეს ძვალსა და რბილში გამჯდარი ფიქრია, გლობალური წყენა, თუ შეიძლება ასე ითქვას, რომელიც ომის შემდგომ წლებშიც მკაფიოდ რეზონირებს და საერთოდაც, ამ მძიმე შთაბეჭდილებით დაღავს ყველა სასიცოცხლო ნიუანსს. სამშობლოს გაქცევის, დამალვის ტრაგიკომიკური ანიმაცია თამაშდება ომიდან უკვე მრავალი წლის შემდეგ — დედაქალაქში, წყალდიდობის ღამეს, როცა სტიქიისგან იავარქმნილი ზოოპარკიდან გარბიან ცხოველები და მათზე, როგორც საზოგადოებისთვის საშიშ არსებებზე, ნადირობას აცხადებს მთელი ქვეყანა... სხვათა შორის, 2015 წლის ივნისში, თბილისში დატრიალებული ტრაგედია — წყალდიდობის ეპიზოდი — ამ კუთხით (მთლიანი პოსტსაბჭოთა დრამატული პროცესის კონტექსტში) პირველად მოინიშნა ჩვენი მწერლობის რეფლექსიაში და საინტერესო აქცენტით წარმოაჩინა: რაღაც საკრალურ-ბიბლიურ-მითოსური პერფორმანსი გათამაშდა თითქოს — ამბავი სტიქიებთან მებრძოლი ქვეყნისა/ხალხისა, რომელსაც სამშობლო გაექცა და რომელიც სამშობლოს გაექცა.

ამ მიზეზ-შედეგობრივი მეტაფორების დანახვა-შეგრძნება კი ისევ და ისევ სიყვარულითაა შესაძლებელი. სიყვარულის ენერგიაში ჩართული ადამიანი გამჭვირვალეა და ხედავს, შეიცნობს, გამტარია წარმავალობის და მარადისობის ცოდნისა. ასეთია რომანის მთავარი გმირი, მისი სიყვარულის ობიექტები, ასეთია ერთ-ერთი მკაფიო პერსონაჟიც — სანიჩი — ავანტიურისტი, მხიარული, ერთგვარი პირადი ფილოსოფიის აღმომჩენი და გამავრცელებელი, ფილოსოფიისა, რომელიც ყველაზე მეტად ზღვისპირა ქალაქში ხმიანობდა, იქაურობას „ერგებოდა“. ამიტომ, ომისა და დევნილობის შემდეგ, სანიჩის „მოძღვრებაც“ ისეთივე უკონტექსტო და ზედმეტი აღმოჩნდა, როგორც თავად სანიჩი, როგორც ყველა ფილოსოფოსი — სამყაროს საზრისით შეპყრობილი და ამის გამო მუდმივად დევნილი კოლექტიური სოციუმისგან...

„შენთან-უშენოდ“ თავისუფლების წიგნიცაა. რადგან, შეუძლებელია სიყვარული თავისუფლების გარეშე. მით უფრო, თუ მისი ზღვარი ზღვაა, ანუ უსაზღვროა, უსამანოა. ასეთი თავისუფლების მოხელთება კი დევნილობის მდგომარეობაშიცაა შესაძლებელი, თუკი ფიქრს და გულს დაუთმობ. თუკი ფიქრსა და გულში შავი ზღვის რესპუბლიკას დააარსებ, იქნები მისი კანონმორჩილი მოქალაქე და გეცოდინება, რომ ერთ დღესაც, როცა შენგან მხოლოდ მიწა დარჩება, შენს ფიქრსა და გულში ნაცხოვრები თავისუფლება და სიყვარული დააბრუნებს შენს სამშობლოს მასთან, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება.

შემდეგი ნომერი გამოვა 17 იანვარს

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004